

The background of the page features a large, light blue circular seal of Tbilisi State University. The seal contains a central image of a ram, surrounded by a decorative border with various symbols. The text "UNIVERSITAS TPHILISSENSIS" is written in a circle around the central image, and the year "1918" is at the bottom. The Georgian text "თბილისის უნივერსიტეტი" is also present.

შრომის უსაფრთხოების გეგმა

„ვამტკიცებ“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ს
კანცლერის ხელმოწერა:

შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, გიორგი ხაბაზიშვილის და
სამსახურის მთავარი სპეციალისტის რამაზ პარკიას მიერ.

სარჩევი

1. პოლიტიკა
2. ბრძანებები
3. შრომის უსაფრთხოების შესავალი დასაქმებულთათვის
4. ინსტრუქტაჟები:
 - ავტოპარკი
 - დაცვის სამსახური
 - დამლაგებელი
 - ეკრანიან მოწყობილობებთან მუშაობა
 - ელექტრიკოსი
 - ელექტროშემდუღებელი
 - ზოგადი ელექტრო უსაფრთხოება
 - ერგონომიკა
 - მანქანა დანადგარებთან მუშაობა
 - მზარეული
 - ნარჩენების მართვა
 - პერსონალური დაცვის საშუალებები
 - საოფისე უსაფრთხოება
 - პირველადი დახმარება
 - საგანგებო სიტუაციების მართვა
 - სამაშველო გეგმა სიმაღლეზე მუშაობისას
 - სამზარეულო
 - საწყობი
 - სახანძრო უსაფრთხოება და ევაკუაცია
 - სიმაღლეზე მუშაობა
 - ჰიგიენა-მიკროკლიმატი
 - ქიმიკატები
 - სტომატოლოგია
5. ჟურნალები:
 - ალკოჰოლის შემოწმების ჟურნალი
 - ელექტრო ინსტრუმენტების აღრიცხვის ჟურნალი
 - ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი
 - ინდივიდუალური დაცვის საშუალებების აღრიცხვის ჟურნალი
 - ცეცხლმაქრთა შემოწმების ჟურნალი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა

ჩვენ გვჯერა, რომ სტაბილურ წარმატებას განაპირობებენ ადამიანები, უნივერსიტეტის მთავარი აქტივი მისი პერსონალი და სტუდენტებია, რომელთა შრომაც და განათლებაც პირდაპირ აისახება ქვეყნის და უნივერსიტეტის შედეგებზე და საყოველთაო კულტურის ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომ, ჩვენ არ ვიშურებთ ძალისხმევას, რომ დავიცვათ ჩვენი პერსონალის და სტუდენტების უსაფრთხოება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს, რათა უზრუნველყოს და შეინარჩუნოს უსაფრთხო გარემო დასაქმებულებისთვის, სტუდენტებისთვის და დაიცვას მათი ჯანმრთელობა საუნივერსიტეტო სივრცეში. ამ მიზნით, ხდება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკებისა და საფრთხეების აღმოფხვრა ან მინიმუმამდე დაყვანა, თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია.

ჩვენ დასახული გვაქვს და ვცდილობთ შევინარჩუნოთ შრომის და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტები და ვიმოქმედოთ ამ სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ჩვენი მიზნების მიღწევას ვუზრუნველყოფთ ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხების დაცვის საქმეში კომპლექსური მიდგომების დანერგვითა და უსაფრთხოების დაცვის მუდმივი გაუმჯობესებით. ეს უკანასკნელი შესაძლებელია ქვემოთ მოცემული პრინციპების განხორციელების გზით. ჩვენ ვუზრუნველყოფთ ამ პრინციპების მართვას, ხელმძღვანელობას, საჭირო კომუნიკაციებს და რესურსებს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ათვითცნობიერებს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას დასაქმებულების, მომხმარებლებისა და ზოგადად საზოგადოების შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აიღო ვალდებულება შემდეგზე:

- სულ მინიმუმ დაიცვას უნივერსიტეტთან დაკავშირებული შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი ნორმები და წესები, უმეტეს შემთხვევაში გადაჭარბებით შეასრულოს ეს მოთხოვნები, რათა არ დაუშვას პერსონალის, სტუდენტების დაშავება და მათი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება.
- დაშავებისა და ჯანმრთელობის ზიანის პრევენცია, რისკების შემცირება და შრომის უსაფრთხოების დაცვის მუდმივი გაუმჯობესება სამუშაო სივრცეში, ჯანმრთელობის დაცვის და შრომითი უსაფრთხოების საქმიანობის მონიტორინგის გზით.

- უზრუნველყოს, წინამდებარე პრაქტიკის და შრომის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების გაცნობა/ინფორმირება დასაქმებულებისთვის. ამ კუთხით, დასაქმებულებმა უნდა აიღონ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების დაცვის ვალდებულება, რათა დაიცვან საკუთარი თავი, სხვა დასაქმებულები და სხვა ისეთი პირები, რომელთა უსაფრთხოებაზე შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მათმა ქმედებებმა.
- უზრუნველყოს ყველა შესაბამის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება, სრული დოკუმენტირება და ზომების მიღება, დამაკმაყოფილებელი კონტროლის მექანიზმების დასაწერად.
- საფრთხეების იდენტიფიცირების მიზნით სისტემატიური მიდგომების, რისკების შეფასების, შესაფერისი და ეფექტური კონტროლის ზომების განსაზღვრა და დასაქმებულების ინფორმირება სწორი პროცედურების შესახებ.
- უზრუნველყოს საფრთხეების ამოცნობა, რისკების შეფასება და კონტროლის ზომების მიღება, რათა ზიანი არ მიაღწეს დასაქმებულების, სხვა კონტრაქტორების და კონკრეტულ ტერიტორიაზე დასაქმებული პირების, სტუდენტების ან საზოგადოების წარმომადგენლების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას სამუშაო პროცესების შედეგად.
- ყველა დასაქმებულისათვის მაღალი სტანდარტის სწავლება-ინსტრუქტაჟის უზრუნველყოფა მათ სამსახურებრივ მოვალეობებთან და ნებისმიერ ინციდენტთან დაკავშირებით, რაც მოცემულია უნივერსიტეტის რისკების შეფასების დოკუმენტში.
- დასაქმებულთა მიერ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მნიშვნელობის გაცნობიერება უპირატესი მოთხოვნაა და უნივერსიტეტის გზა-განვითარების მთავარი წინა პირობაა.
- თითოეული დასაქმებული პასუხს აგებს საკუთარი, კოლეგების და აგრეთვე სამუშაო სივრცეში/ამ სივრცის ახლომახლო მყოფი პირების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვაზე. დასაქმებულები უნდა იცვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო ხელმძღვანელობით, ინსტრუქტაჟით, წვრთნით, სწავლებით და აღჭურვილობით, რათა ამ უკანასკნელებმა შეძლონ ისარგებლონ უსაფრთხო სამუშაო მეთოდებით და იმუშაონ კომპეტენტურად.
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისი შესაძლებლობების ფარგლებში იზრუნებს შექმნას უსაფრთხო სამუშაო ადგილები და სისტემები, უზრუნველყოს უსაფრთხო ტექნიკური აღჭურვილობა, მასალებისა და ნივთიერებების უსაფრთხო მოპყრობა/შენახვა, ადეკვატური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი აღჭურვილობისა და შესაბამისი ინფორმაციის, წვრთნისა და ზედამხედველობის გაწევის პარალელურად.
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამართლებრივ მოთხოვნებს განიხილავს მინიმალურ სტანდარტად და საკუთარი ხელმძღვანელობისაგან მოელის მათი დასახული

მიზნების შესრულებას ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების უგულებელყოფის გარეშე.

- ჩვენი ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა მუდმივი მონიტორინგისა და პერიოდული განხილვის საგანია, რათა შესრულებული იქნას უნივერსიტეტის მიმართ არსებული სამართლებრივი მოთხოვნები, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მიზნები და ამოცანები.

„ვამტკიცებ“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ს

კანცლერის ხელმოწერა:

შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის, გიორგი ხაბაზიშვილის და სამსახურის მთავარი სპეციალისტის რამაზ პარკაიას მიერ.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტოპარკის გამართულ მოწესრიგებულ მუშაობაზე და უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის თაობაზე

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველის ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტოპარკის გამართული მოწესრიგებული მუშაობისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით უფლებამოსილ პირად განისაზღვროს , რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის ზედამხედველობა.
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში დასაქმებულთა უსაფრთხო და
ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად უფლებამოსილი პირის
განსაზღვრის თაობაზე**

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველის ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ: .

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში დასაქმებულთა უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფის მიზნით უფლებამოსილ პირად განისაზღვროს
2. უფლებამოსილი პირი ვალდებულია სამუშაო სივრცეში გააკონტროლოს დასაქმებულთა და სხვა პირთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნა და უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში ელექტროუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირის განსაზღვრის თაობაზე

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველის ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში ელექტროუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირად განსაზღვროს
2. ელექტროუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს ელექტროგაყვანილობის, ელექტროდანადგარების უსაფრთხოების მდგომარეობას.
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
4. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში დასაქმებულების მიერ გამოყენებული
სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის გაკონტროლების
მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ**

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველის ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში დასაქმებულების მიერ გამოყენებული სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის გაკონტროლების მიზნით, უფლებამოსილ პირად განსაზღვროს, რომელიც ვალდებულია დადგენილი პერიოდულობით უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის ზედამხედველობა.
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში სახანძრო უსაფრთხოებისა და სახანძრო სისტემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველის ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში სახანძრო უსაფრთხოებისა და სახანძრო სისტემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს რომელიც ვალდებულია დადგენილი პერიოდულობით უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის ზედამხედველობა.
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში სიმაღლეზე სამუშაოების განხორციელებისას მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში სიმაღლეზე სამუშაოების განხორციელებისას მოთხოვნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს(სახელი გვარი პ/ნ).
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში საუნივერსიტეტო ტერიტორიაზე ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველის ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/6 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ: :

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში საუნივერსიტეტო ტერიტორიაზე ჰიგიენურ - სანიტარული ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილ პირად განისაზღვროს , რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური



შრომის უსაფრთხოების შესავალი ინსტრუქცია
დასაქმებულთათვის.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- სამუშაოდ დაიშვებიან პირები რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი, გავლილი აქვთ აუცილებელი წინასწარი (სამუშაოზე მოწყობისას) სამედიცინო შემოწმება, ინსტრუქტაჟი და შესწავლილი აქვთ შრომის დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების საკითხები, შემოწმებულები არიან შრომის დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების, ელექტროდანადგარების მუშაობის და ნორმების ცოდნაში. სამუშაოზე ახლად მიღებული თანამშრომლები, უნდა იყვნენ გაცნობილნი უბედური შემთხვევის წარმოქმნისას საჭირო მოქმედებებთან და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესებთან.
- 2. მუშაობის პროცესში დასაქმებულმა უნდა გაიაროს აუცილებელი, პერიოდული სამედიცინო შემოწმება, სათანადო ინსტრუქტაჟები, შრომის დაცვის, სახანძრო-ტექნიკური მინიმუმის და დაზარალებულისათვის პირველადი დახმარების საკითხების სწავლება, შრომის დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების, ელექტროდანადგარების მუშაობის წესის და ნორმების ცოდნის გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება.
- 3. დასაქმებულმა, შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით უნდა იცოდეს შემდეგი: მუშაობის დროს წარმოქმნილი, ადამიანზე მოქმედი, მავნე საწარმოო ფაქტორები და მისგან დაცვის საშუალებები; სამუშაოს უსაფრთხოდ წარმოების წესები; საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევისდროს დაზარალებულისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენის წესები; პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთის ადგილმდებარეობა; ხანძრისქრობის პირველადი საშუალებების ადგილმდებარეობა და ხანძრის შემტყობინებელი სიგნალები; საწარმოო სანიტარიის, ელექტრო და სახანძროუსაფრთხოების მოთხოვნები;
- 4. მუშაობის პროცესში ადამიანზე შეიძლება იმოქმედოს შემდეგი სახის ძირითადად საშიშმა და მავნე საწარმოო ფაქტორებმა: მოძრავი შემადგენლობის მოძრაობამ; მოძრავმა სატრანსპორტო საშუალებებმა; მოძრავმა მანქანა-მექანიზმებმა; ტუმბოს, დასაცლელი, ასაწევი სატრანსპორტო და სხვა მოწყობილობის მოძრავმა ნაწილებმა; სიმაღლიდან ვარდნისპოტენციალის მქონე საგნებმა და ინსტრუმენტმა; ელექტრული წრედისაწეულმა ძაბვამ, რომლის მოკლე შეერთებამაც, შეიძლება გაიაროს ადამიანისსხეულში; სამუშაო ზონის არასაკმარისმა განათებამ; სამუშაო ზონაში ჰერისგადლიერებულმა დამტვერიანებამ და დაგაზიანებამ; ღია ადგილზე მუშაობისდროს მაღალმა და დაბალმა ტემპერატურამ, სამუშაო ზონაში ჰერისნესტიანობამ და მოძრაობამ; ადამიანის ორგანიზმზე სასუნთქი გზების, საჭმლისმომწელებელი სისტემის და კანის ზედაპირის საშუალებით მოქმედმა ქიმიურმაფაქტორებმა ფიზიკურმა გადატვირთვებმა; სიმაღლეზე მუშაობამ.

მუშაობის პროცესში დასაქმებული ვალდებულია:



შრომის უსაფრთხოების სამსახური

1. დაიცვას შრომის განაწესი;
2. იხელმძღვანელოს შრომისა და დასვენების პირობებით, რომელიც შეესაბამება შრომის კანონმდებლობით და სხვა ნორმატიულ აქტებით, გათვალისწინებულ შრომის და დასვენების პირობების მოთხოვნებს;
3. იქონიოს სუფთად სამუშაო ადგილი, არ დაუშვას იქ ნაწილების, მოწყობილობების და ინსტრუმენტის დაყრა;
4. გამოყენებული საწმენდი და სხვა მასალები გაიტანოს მათ შესაბამისად და შემდგომი უტილიზაციისათვის გამოყოფილ ადგილას;
5. მუდმივად ჰქონდეს მოწესრიგებული და სუფთა მდგომარეობაში იარაღი, მოწყობილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
6. შეასრულოს გამაფრთხილებელი, მაჩვენებელი და უსაფრთხოების წარწერიანი ნიშნების და მემანქანების მიერ გადმოცემული სიგნალების მოთხოვნები;
7. ზიანის მომტანი და საშიში საწარმოო ფაქტორების მქონე სამუშაოების შესრულების დროს ისარგებლოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
8. დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უშუალო ან ზემდგომ ხელმძღვანელს ნებისმიერი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში სიტუაციის წარმოქმნის, საწარმოში მომხდარი ყოველი უბედური შემთხვევის ან საკუთარი ჯანმრთელობის გაუარესების, მათ შორის მწვავე პროფესიული დაავადების (მოწამვლის) ნიშნების გამოვლენის შესახებ;
9. ხანძარფეთქებადი ავარიული მდგომარეობის წარმოქმნისას დასაქმებულზე შეიძლება იმოქმედოს აფეთების და ხანძრის საშიშმა ფაქტორებმა.
10. დასაქმებულები, რომლებიც ასრულებენ სამუშაოებს განსაკუთრებულ ტემპერატურულ პირობებში უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი პროფესიის და სამუშაოების სპეციფიკით გათვალისწინებული იდსებით, რომლებიც უნდა გამოიყენონ მუშაობის პროცესში.
11. შრომის დაცვის საწარმოთაშორისი მოთხოვნათა შესაბამისად სიმაღლეზე მუშაობის დროს დასაქმებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამცავი ქმრით, დამცავი ბაგირით და ჩაფხუტით, რომლებიც უნდა გამოიყენონ მუშაობის პროცესში.
12. აკრძალულია ღილებგახსნილი და სახელოაკაპიწებული სპეცტანსაცმლის ტარება. სასიგნალო მოსასხამი უნდა იყოს სპეცტანსაცმელზე ჩაცმული და შევრული.
13. მზრუნავ მექანიზმებთან მუშაობის დროს გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი სპეცტანსაცმელი, რომელიც მჭიდროდ ეკვრის დასაქმებულს, რაც ამცირებს მექანიზმში მოხვედრის/ჩათრევის რისკს.
14. სპეციალური და პირადი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა ინახებოდეს სანიტარულ-საყოფაცხოვრებო შენობაში გამოყოფილ და სპეციალურად მოწყობილ ადგილებში.
15. აკრძალულია სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების საწარმოს გარეთ გატანა.
16. დასაქმებული ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, სპეცტანსაცმლის მდგომარეობას, დროულად მოახდინოს მათი ჩაბარება გასარეცხად და შესაკეთებლად, ამავედროულად სპეცტანსაცმლის



შრომის უსაფრთხოების სამსახური

შესანახი ადგილი უნდა ჰქონდეს სუფთა და მოწესრიგებული.

17. დასაქმებული, რომელსაც კონტაქტი აქვს ნავთობპროდუქტებთან და სხვა ქიმიურ ნივთიერებებთან, უნდა იყენებდეს ტიპური ნორმების შესაბამის უფასოდ გასაცემ დამცავ, გამაუვნებელმყოფ საშუალებებს, რომელთა მოცილება ხელიდან შემდგომში შესაძლებელია წყლით დაბანისას.
18. ზამთრის პირობებში, დაბალი ტემპერატურის დროს, გარეთ მუშაობისას გასათვალისწინებელია სახის და ზედა სასუნთქი გზების დაცვა.
19. აკრძალულია სამუშაო ადგილზე საკვების მიღება და შენახვა. საკვების მიღება უნდა მოხდეს სასადილოში, ბუფეტში ან სპეციალურად მოწყობილ საყოფაცხოვრებო ოთახში.
20. სასმელად გამოყენებული უნდა იქნეს წყალი რომელიც აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს.
21. აკრძალულია არასასმელი წყლის, ან სასმელი წყლის დაღევა იმ ჭურჭლიდან, რომელიც ამისათვის არ არის განკუთვნილი. ასევე ტექნიკური სითხეებიანი ჭურჭლის შენახვა საკვების მისაღებ ადგილებში. ტექნიკური სითხეების შემცველ ჭურჭელს უნდა ჰქონდეს სათანადო წარწერა თუ რა სახის სითხე ინახება მასში და უნდა ინახებოდეს სათანადო ადგილზე.
22. ტრამვის მიღების ან ჯანმრთელობის გაუარესების, მათ შორის მწვავე პროფესიული დაავადების (მოწამვლის) ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დასაქმებულმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ თავის უშუალო ან ზემდგომ ხელმძღვანელს. სხვა თანამშრომლის მიერ ტრამვის მიღების შემთხვევაში აუცილებელია გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება (თუ გააჩია სათანადო ცოდნა) და სასწრაფოდ შეატყობინოს ამის შესახებ თავის უშუალო ან ზემდგომ ხელმძღვანელს.
23. შრომის დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევის, მოწყობილობის, იარაღის, დამცავი მოწყობილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დაზიანების შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მის უშუალო ხელმძღვანელს, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში - ზემდგომ ხელმძღვანელს.

დასაქმებულს ეკრძალება:

1. შეუდგეს მუშაობას შრომის დაცვის საკითხებზე ინსტრუქტაჟის გაუვლელად და შრომის დაცვის მოთხოვნათა ცოდნის რიგითი შემოწმების გარეშე;
2. შეუდგეს ახალ, სამუშაოს შესრულებას, რომელიც არ შედის მის ფუნქცია-მოვალეობაში, უშუალო ხელმძღვანელისაგან მიზნობრივი ინსტრუქტაჟის მიღების გარეშე, სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების შესახებ;
3. შეუდგეს სამუშაოს შესრულებას იმ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე, რომელიც გათვალისწინებულია სათანადო ინსტრუქციით, წესებით



შრომის უსაფრთხოების სამსახური

და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციით, ასევე დაზიანებული ან მათი გამოცდის ვადაგასული ინდივიდუალური საშუალებების გამოყენებით;

4. მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის დროს იმ ადგილებში ყოფნა, რომლებიც აღნიშნულია ნიშნით „ფრთხილად“!

5. გაჟონვის ნიშნების და დაზიანებული დამცავი აპარატურის მქონე საეკიპირო მოწყობილობის ექსპლუატაცია;

6. ელექტრომოწყობილობის დამცავი შემოღობვის შიგნით შესვლა;

7. ელექტრო სადენებთან, მომჭერებთან და სხვა ადვილად ხელმისაწვდომ დენგამტარ ნაწილებთან შეხება;

8. არასტანდარტული ელექტროგამათბობელი მოწყობილობის გამოყენება;

9. ღია გამათბობელი ელემენტების მქონე მოწყობილობით სარგებლობა და მათი უყურადღებოდ დატოვება ჩართულ მდგომარეობაში;

10. დაზიანებული ჩამრთველების, ავტომატური გამომრთველების და როზეტების გამოყენება;

11. მწყობრიდან გამოსული ელექტრომოწყობილობის, ელექტროდანადგარების და ელექტროინსტრუმენტის რემონტის დამოუკიდებლად შესრულება;

12. საკონტაქტო ხაზის მავთულებთან, ელექტროგადაცემის საჰაერო ხაზებთან და მათზე ჩამოკიდებულ უცხო საგნებთან შეხება, მიუხედავად იმისა ეხებიან ისინი მიწას, დამიწებულ კონსტრუქციებს თუ არა. ნებისმიერი ჩამოკიდებული, გაწყვეტილი და მიწაზე, ხეებზე, ან განძეულზე დაგდებული მავთულები წარმოადგენენ ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხეს. ისინი უნდა ჩაითვალოს როგორც ძაბვის ქვეშ მყოფი. არ შეიძლება მათთან მიახლოება 8 მეტრზე ახლოს, საჭიროა იმ საშიში ადგილის შემოღობვა და აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს ზემდგომ ხელმძღვანელს;

13. აწეული ტვირთის ქვეშ და მისი გადაადგილების გზაზე დგომა;

14. შემოსაღობი ბადეებითა და ფარებით დაუცველი მოწყობილობების მბრუნავი ნაწილების სიახლოვეს მუშაობა; (არსებობის შემთხვევაში აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს)

15. აუცილებლობის გარეშე მოწყობილობის მექანიკური და ელექტრული ნაწილების დამცავი გარსაცმების მოხსნა;

16. ტრანსპორტიორების და კონვეიერების აკრძალულ ადგილებში გადასვლა, მათ ქვეშ შეძრომა და საშიში ადგილების შემოღობვის შიგნით შესვლა;

17. სამუშაოს შესრულება თუ იმ ადგილზე სრიალებს იატაკი (დასვრილია ზეითი ან სხვა ნივთიერებით);

18. ხელების დაბანა ემულსიით, ზეთით, ნავთით და მათი გაწმენდა საწმენდი მასალითა და ნახერხით;

19. სამუშაო ადგილზე ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც იწვევენ ყურადღების გაფანტვას, როგორიცაა მობილური ტელეფონი, და სხვა. აღნიშნულის გამოყენება შესაძლებელია დასვენებისათვის გამოყოფილ ადგილებში;

20. საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილებზე (პოზიციებზე) უცხო პირთა დაშვება;

21. სამუშაოზე ყოფნა ალკოჰოლური, ტოქსიკური და ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში.

22. მივიდეს სამუშაო ადგილამდე და სამუშაოდან დაბრუნდეს სპეციალურად გამოყოფილი სავალი მარშრუტის გვერდის ავლით;

23. თამბაქოს მოწევა, სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

24. არ ისარგებლოს ღია ცეცხლით ადვილად აალებადი ხსნარების და წვადი მასალების სიახლოვეს; არ შეინახოს ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მომწამვლელი ნივთიერებები შენობაში, რომელიც არ პასუხობს სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს; ხანძრის გაჩენის თავიდან აცილების მიზნით, არ გამოიყენოს თბური დამცავის არმქონე ელექტრო ჩაიდნები, ელექტროქურები და სხვა გამათბობელი მოწყობილობები, თბოიზოლაციის მქონე არაწვადი ქვეშადების გარეშე;
25. მოგროვილი, ნახმარი საწმენდი მასალები მოათავსოს არაწვადი მასალისაგან დამზადებულ კონტეინერში, რომელსაც ეხურება სახურავი;
26. არ შეეხოს ჟანგბადით დატენილ ბალონებს და მათ რედუქტორებს, ზეთით დასვრილი ხელებით, ზეთით დასვრილი სპეცტანსაცმლით ან ზეთიანი საწმენდი ჩვრით;
27. მუშაობის დროს არ გამოიყენოს ნაპერწკალწარმოქმნელი იარაღი.
28. არ შეიძლება ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებთან მისასვლელი და საევაკუაციო გზების ჩახერგვა სხვადასხვა მასალებით და საგნებით.
29. დასაქმებული პასუხისმგებელია აღნიშნული ინსტრუქციის მოთხოვნათა შესრულებაზე.





შრომის უსაფრთხოების სამსახური





შრომის უსაფრთხოების სამსახური

უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

- მანქანის ტექნიკური მდგომარეობა უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ ნორმებს. გავლილი უნდა ქონდეს გეგმიური ტექდათვალიერება.
- ავტოპარკი აღჭურვილი უნდა იყოს: ხელსაწყოების კომპლექტით ავტომობილის მცირე შეკეთებისთვის; ცეცხლმაქრით; ავარიული გაჩერების სპეციალური ნიშნით; პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრებით;
- აუცილებელია, რომ მძღოლმა დაიცვათ მოძრაობის წესები, ყურადღებით იყავით სხვა მოძრავი მანქანების მძღოლების სიგნალების მიმართ.
- არ იმუშაოთ მანქანის შეკეთებისას გაუმართავი ხელსაწყოებით და აღჭურვილობით. გამოიყენეთ ხელსაწყოები მხოლოდ მათი დანიშნულებისამებრ.
- ტარა და შეფუთვა, რომლითაც ხორციელდება ტვირთების გადაზიდვა, უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი სახეობის ტვირთის ტარისა და შეფუთვისათვის დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს.
- ტვირთების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების ადგილებში აკრძალულია ღია ცეცხლის გამოყენება.
- ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დროს სამუშაოს შემსრულებლებმა უნდა დაიცვან მარკირების ნიშნებისა და შეფუთვებზე გამაფრთხილებელი წარწერების მოთხოვნები.

მძღოლებს ეკრძალებათ:

- სამსახურეობრივი მარშრუტის გზიდან არადანიშნულებით გადახვევა და გზაზე უმიზეზოდ გაჩერება ხანგრძლივი დროით.
- ავტომანქანის მართვის უფლების სხვა პირისთვის გადაცემა, ხელმძღვანელი პირების გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ან თუ, წინასწარ მითითებული არ არის მათ მიერ.
- ავტომანქანის პირადი დანიშნულებით გამოყენება, ხელმძღვანელი პირების გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.
- გარეშე პირების/საკუთარი ახლობლების/უცნობი მგზავრების გადაყვანა, ხელმძღვანელი პირების გაუფრთხილებლობის შემთხვევაში.
- ავტომანქანაზე არასამუშაო ტვირთების, საგნების, მასალების და სხვა ნივთების განთავსება ან მიმაგრება, გადატანის მიზნით.
- მართონ ავტომანქანა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან იმ სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც აქვეითებენ რეაქციას და ყურადღებას, ანდა ავადმყოფობისას, რაც ქმნის მოძრაობის უსაფრთხოების საშიშროებას.
- ავტომანქანის მართვისას ისარგებლონ მობილური კომუნიკაციის საშუალებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მძღოლი სარგებლობს ამ საშუალების ყურსასმენით ან ხმამაღალი საუბრის ფუნქციით და ორივე ხელი აქვს საჭესა და სიჩქარეთა გადამრთველზე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

სატრანსპორტო საშუალების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, ავტომანქანა უნდა განათავსონ სავალი გზის მარჯვენა სანაპირო ზოლზე, დაამონტაჟონ გამაფრთხილებელი ნიშნები და დაუყოვნებლივ შეატყობინონ ხელმძღვანელ პირებს

უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დაწყებამდე

- ავტოფარებიდან გასვლამდე, მძღოლი ვალდებულია შეამოწმოს ავტომობილის გამართულობა, ასევე გზაშიც აკონტროლოს მისი ტექნიკური მდგომარეობა.
- გამგზავრებამდე შემოწმებას ექვემდებარება მუხრუჭები, საჭის მექანიზმი, ბორბლები და საბურავები, ძრავა და ტრანსმისია, გარე განათება, კაბინა და დამატებითი აღჭურვილობა.
- არ მართოთ ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სამუხრუჭე სისტემის, სავალი ნაწილის გამართულობას. არის თუ არა ცეცხლმაქრი, პირველადი დახმარების ნაკრები, სპეციალური სამკუთხა ნიშანი, ავარიული გაჩერებისთვის.
- ადგილიდან გასვლამდე, ყველა აღმოჩენილი გაუმართაობა უნდა აღმოიფხვრას მძღოლის ან სარემონტო მუშაკების მიერ სატრანსპორტო საშუალებების მოვლისა და შეკეთების უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით.
- მანქანის საწვავით შევსება უნდა განხორციელდეს გამორთული ძრავით.
- ძრავის ამუშავებამდე გადაცემათა ბერკეტი უნდა იყოს ნეიტრალურ მდგომარეობაში.

უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დროს

- აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების ძარაში უცხო საგნების გადატანა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ცისტერნის, მისი საკეტების დაზიანება ან გადაზიდული საწვავის აალება.
- მოძრაობის დაწყებამდე მანქანის მძღოლი უნდა დარწმუნდეს, რომ გზაზე ხალხი არ არის, უნდა დაიწყოს მოძრაობა შეუფერხებლად, უხეშობის გარეშე, ყველაზე დაბალი სიჩქარით. განუხრელად დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები. არ გადააჭარბოს დასაშვებ სიჩქარეს.
- მძღოლი ვალდებულია, რომ დაბრკოლების წინ მიიღოს ზომები სიჩქარის შესამცირებლად ან სრული გაჩერების მიზნით. დაიცვას უსაფრთხო დისტანცია წინ მიმავალ მანქანასთან.
- წინ მიმავალი სატრანსპორტო საშუალების გასწვრება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც გზის კარგი ხილვადობაა, როცა ზოლი, რომელშიც მძღოლი აპირებს შესვლას, თავისუფალია საკმარის მანძილზე და ეს მანევრი ხელს არ უშლის სხვა მანქანებსა და ფეხით მოსიარულეებს.
- გზაჯვარედინზე და რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოებისას მძღოლმა უნდა შეამციროს მანქანის სიჩქარე და დარწმუნდეს, რომ გავლა უსაფრთხოა, დაიცვას მოძრაობის წესები, იხელმძღვანელოს საგზაო ნიშნებით.
- დაუცველ რკინიგზის გადასასვლელთან მიახლოებისას მემანქანე უნდა გაჩერდეს პირველ ლიანდაგთან არაუმეტეს 10 მ მანძილზე, დარწმუნდეს, რომ არ არის მოძრავი მატარებლები და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძოს მოძრაობა რკინიგზის გადასასვლელთან. გადასასვლელზე მოძრაობისას არ არის რეკომენდირებული გადაცემათა კოლოფის შეცვლა და გადაბმულობის გათიშვა, გაზის მკვეთრი გაშვება



შრომის უსაფრთხოების სამსახური

(ძრავის სიჩქარის შემცირება), რადგან ამ ქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს მანქანის გაჩერება გადაკვეთაზე.

- დაუშვებელია რკინიგზის ლიანდაგების გადაკვეთა ისეთ ადგილებში, სადაც არ არის მოწყობილი გადასასვლელი.
- გაუმართაობის გამო გზაზე მანქანის იძულებითი გაჩერების შემთხვევაში მძღოლი ვალდებულია მანქანის უკან 25-30 მეტრ მანძილზე დააყენოს საგანგებო გაჩერების ნიშანი - დადგენილი ფორმისა და ფერის სამკუთხედი ან წითლად მოციმციმე ნათურა და ასევე მიიღოს ზომები ავტომობილის გზის სავალი ნაწილიდან გადასაყვანად.
- თუ მანქანა ფუჭდება და შეუძლებელია გაუმართაობის დამოუკიდებლად აღმოფხვრა, მძღოლმა იძულებითი პარკირების ადგილი უნდა შეატყობინოს სახელმწიფო საგზაო ინსპექციას და კომპანიის ხელმძღვანელობას.
- გაფუჭებული ავტომობილის ბუქსირება ნებადართულია შემდეგი პირობებით:
- ტვირთი უნდა გადაიტვირთოს სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც ადაპტირებულია მისი გადაზიდვისთვის;
- მოქნილ სამაგრზე ბუქსირებისას ბუქსირებულ სატრანსპორტო საშუალებას უნდა ჰქონდეს მუხრუჭები და საჭე კარგ მდგომარეობაში, ხოლო ხისტი სამაგრზე ბუქსირებისას საჭის მართვა.
- ხისტი სამაგრის სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 4 მ, ხოლო მოქნილი - 4-დან 6 მ-მდე დიაპაზონში. მოქნილი სამაგრით ბუქსირებისას, მასზე ყოველ მეტრში უნდა დამაგრდეს სასიგნალო დროშები.
- ორი ან მეტი მანქანის ერთდროულად ბუქსირება დაუშვებელია.
- აალებადი სითხეების გადამზიდავ ავტომობილზე სიბნელის დადგომისას, ასევე დღისით ცუდი ხილვადობის შემთხვევაში, ყველა გარე განათების მოწყობილობა უნდა იყოს ჩართული.
- აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებით ისეთი ტვირთის გადაზიდვა, რომელიც არ არის გათვალისწინებული დოკუმენტაციით, სახიფათო ტვირთის გადაზიდვასთან არაუფლებამოსილი პირების გადაყვანა.
- ტვირთით მოძრაობისას მძღოლი უნდა დააკვირდეს ტვირთის მდგომარეობას და გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში გააჩეროს და მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად.
- გზის შეზღუდული ხილვადობის მონაკვეთებზე აუცილებელია სიჩქარის მინიმუმამდე შემცირება, გამაფრთხილებელი სიგნალების მიცემა და სიფრთხილით მართვა.
- გზის სავალ ნაწილზე მანქანის კაბინის დატოვებისას, მძღოლი ჯერ უნდა დარწმუნდეს, რომ არ არის მოძრაობა იმავე და საპირისპირო მიმართულებით.
- მძღოლის მიერ მანქანის დატოვება დასაშვებია მხოლოდ იმ ზომების მიღების შემდეგ, რაც გამორიცხავს დაგორების შესაძლებლობას მისი არყოფნის დროს.

უსაფრთხოების მოთხოვნები საგანგებო სიტუაციებში

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მასში მონაწილე მძღოლმა უნდა გააკეთოს შემდეგი:

- დაუყოვნებლივ გააჩერეთ და არ გადაადგილოთ მანქანა, ისევე როგორც ინციდენტთან დაკავშირებული სხვა ნივთები;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება ან მეხანძრეები;
- თუ ეს საჭირო გახდა, გაგზავნეთ უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული გამვლელი მანქანით ან წაიყვანეთ თქვენი მანქანით უახლოეს სამედიცინო



შრომის უსაფრთხოების სამსახური

დაწესებულებაში და შეატყობინეთ იქ თქვენი გვარი, მანქანის ნომერი და შემდეგ დაბრუნდით შემთხვევის ადგილზე;

- შეატყობინეთ მომხდარის შესახებ პოლიციას და კომპანიას, ჩაიწერეთ შემთხვევის თვითმხილველთა გვარები და მისამართები და დაელოდეთ პოლიციის თანამშრომლების მოსვლას;
- თუ შეუძლებელია სხვა სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, გაათავისუფლეთ სავალი ნაწილი, მანქანის კვალისა და საგნების პოზიციის დაფიქსირების შემდეგ.
- თუ სალონის კარი გაჭედილია, აუცილებელია გასასვლელად გამოიყენოთ გასახსნელი ფანჯრები ან გატეხეთ მინა და დატოვეთ სალონი.
- თუ საჭიროა გაუმართაობის აღმოფხვრა, რომელიც წარმოიშვა მართვის დროს, მძღოლმა უნდა გამორთოს ძრავა.
- ხანძრის შემთხვევაში, მის ჩასაქრობად უნდა იყოს გამოყენებული ცეცხლმაქრი.
- მანქანით გადაადგილება უნდა შეწყდეს ძლიერი წვიმის და ჭექა-ქუხილის, ძლიერი თოვლის, ნისლის შემთხვევაში, თუ შეუძლებელია გადაადგილება მხედველობის ძლიერი შეზღუდვის გამო.
- მძღოლს უნდა შეემდოს სასწრაფო დახმარების მოსვლამდე, დაზარალებულისთვის პირველადი დახმარების გაწევა. ყველა ღონე იხმაროს შემდგომი დაზიანებების თავიდან აცილებისთვის.

უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დასრულებისას

- სამუშაოდან დაბრუნების შემდეგაც შეამოწმეთ მანქანა. ახლად აღმოჩენილი დაზიანებების შესაკეთებლად და ასევე გეგმიური რემონტის საჭიროებისას, აუცილებლად შეატყობინეთ ხელმძღვანელობას.
- გაასუფთავეთ მანქანა ჭუჭყისაგან, ან თოვლისა და ყინულისგან.
- დააყენეთ ავტომანქანა მისთვის განკუთვნილ ადგილას.
- ზამთრის პერიოდში ავტომანქანის გარეთ დაყენების შემთხვევებში უზრუნველყავით, რომ არ მოხდეს ყინვის გამო ძრავის, რადიატორის და სამუხრუჭე სისტემის დაზიანება.



შრომის უსაფრთხოების სამსახური



დამლაგებლის პოზიციაზე დასაქმებულ ან/და
დალაგების სამუშაოების შემსრულებელი პერსონალის
შესავალი ინსტრუქტაჟი



შრომის უსაფრთხოების სამსახური



დამლაგებლის წესი.

1. დალაგება პირველ ყოვლისა დაიწყეთ ოთახების განიავებით, გააღეთ ფანჯრები, კარები.
2. დამლაგებლები ვალდებული არიან დალაგება-დასუფთავებისას გამოიყენონ ინდ. დაცვის საშუალებები (ხელთათმანები და ა.შ.) და დასუფთავებისას დაიცვან თანმიმდევრობა:



- ა) მტვერისაგან მაგიდებისა და ინვენტარის წმენდისას გამოიყენონ ქიმიური ან/და სპირტის შემცველი (საწმენდი) საშუალებები და ერთჯერადი ხელთათმანები.
 - ბ) მტვერისა და ნარჩენების მოგროვება-გატანისას გამოიყენება ერთჯერადი ხელთათმანი. დასრულების შემდეგ ხდება ხელთათმანის ნარჩენებთან ერთად გატანა.
 - გ) იატაკის წმენდისას და საწმენდი საშუალებების რეცხვისას გამოყენებული იქნას ქიმიური (სარეცხი) საშუალებები და ერთჯერადი/მრავალჯერადი გრძელმკლავიანი წყალგაუმტარი ხელთათმანი;
 - დ) ქიმიური საშუალებებით (სარეცხი საშუალებები) წმენდის დასრულების შემდეგ ახალი საწმენდი საშუალებებით (ტილო იატაკის, ინვენტარის) სველი წმენდით გაიწმინდოს იატაკი და ინვენტარი (სუფთა წყალში უნდა მოხდეს საწმენდი ტილოების გავლება)
 - ე) მაგიდებისა და მყარზედაპირიანი ინვენტარის გადაწმენდა უნდა მოხდეს სადენზიფექციო ხსნარით (ეთალონის სპირტი), რომლის დროსაც გამოიყენეთ ახალი საწმენდი ტილო და ახალი ერთჯერადი ხელთათმანი.
- შენიშვნა:** განსაკუთრებით კარგად უნდა გაიწმინდოს ისეთი ზედაპირები, რომლებთანაც ხშირად ხდება შეხება მომხმარებლის (მაგიდა, კარის სახელურები).
3. გაითვალისწინეთ! ქიმიური სარეცხი საშუალებებისა და სადენზიფექციო ხსნარების გამოყენებისას მათმა კანზე ან თვალზე მოხვედრამ, აქროლვადი აირების შესუნთქვამ შეიძლება დააზიანოს კანი ან/და გამოიწვიოს ალერგიული ფონი, ამიტომ მათი მოხმარებისას სასურველია გამოიყენოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, როგორცაა:
 - ა) ნიღაბი ან რესპირატორი (სასუნთქი გზების დასაცავად);
 - ბ) ერთჯერადი/მრავალჯერადი გრძელმკლავიანი წყალგაუმტარი ხელთათმანი რეცხვისთვის (კანის დასაცავად);

4. საწმენდი საშუალებების (ტილო) სარეცხად გამოყენებული ჭურჭელი გარეცხეთ და გაასუფთავეთ კარგად სადენზიფექციო ხსნარით.
5. ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ რეკომენდირებულია კარი და ფანჯრები 10 წუთის განმავლობაში დატოვოთ ღია, რადგან წმენდის დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ მოხდეს სამუშაო ადგილის განიავება.
6. დამლაგებლებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მენეჯერების ინფორმირება, რათა თავიდან იქნას აცილებული გართულებები.

დამლაგებლისთვის ზოგადი მითხოვნები;



1. დამლაგების პოზიციაზე სამუშაოდ დაიშვებიან 18 წელს გადაცილებული პირები.
2. მავნე და საფრთხის შემცველი გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს დამლაგებლის პოზიციაზე შემდეგია
 - ელექტრო დენი;
 - ქიმიური საშუალებები
 - მოძრავი ტექნიკა;
 - სრიალა სასიარულო ზედაპირი;
 - სამუშაო სიმაღლე (არა უმეტესი 2მ.);
 - დასველება;
 - მოუხერხებელი სამუშაო პოზა;
 - მძიმე ტვირთების გადატანა.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

3. ამ და სხვა შესაძლო საფრთხეების მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად დამლაგებელ განუხრელად უნდა იცავდეს კომპანიაში მოქმედ წესებსა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს;

4. დაესწროს შრომის უსაფრთხოების სფეროში თემატურ სწავლებებს და ინსტრუქტაჟებს;
5. სამუშაოზე გამოცხადდეს ფხიზელ (ალკოჰოლური, ტოქსიკური, ფსიქოტროპული, ნარკოტიკული თრობა დაუშვებელია) მდგომარეობაში;
6. ჯამრთელობის მდგომარეობის ნებისმიერი გაუარესების შემთხვევაში, არ შეუდგეს/შეწყვიტოს სამუშაოს, რის შესახებ ჩააყენოს საქმის კურსში ხელმძღვანელი;
7. დაუყოვნებლივ შეატყობინოს ხელმძღვანელს ნებისმიერი უწესრიგობის აღმოჩენის ან არასტანდარტული სიტუაციის წარმოქმნის შესახებ;
8. სამუშაო შეასრულოს ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების და ინვენტარის საშუალებით. დამლაგებელს თავისი მოვალეობების შესასრულებლად ეკუთვნის:
 - რეზინის ხელთათმანი;
 - სუნთქვის ორგანიების დაცვის საშუალება (სულ მცირე პირბადე);
 - ზოგიერთ სამუშაოს შესრულებისათვის მხედველობის ორგანოების დამცავი საშუალება (სათვალი);
 - თავშალი;
 - იატაკის გრძელ ტარიანი საწმენდი;
 - მტვერის ტილო ან მოკლე ტარიანი საწმენდი მოწყობილობა;
 - ცოცხი;
 - აქანდაზი;
 - ვედრო წყლის;
 - ნაგვის ასაგროვებელი სათავსო;
 - სარეცხი საშუალებები;
 - იატაკზე სველი/სრიალა ადგილის შესაზღუდი გადასატანი ნიშანი.

II სამუშაოს დაწყებამდე;

- 1.) სამუშაოს დაწყებამდე გამოიცვალოს სამუშაო თანსაცმელი.
- 2.) ვიზუალურად შეამოწმოს დაცვის საშუალებების და ინვენტარის მდგომარეობა და გამართულობა. უწესრიგობის აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს ხელმძღვანელს;
- 3.) სამუშაო სივრცეში ელ.სადენების არსებობის შემთხვევაში დარწმუნდეს რომ მათში დენი არ გადის, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღოს ზომები მათზე წყლის მოხვედრის ან ხელით შეხების ასაცილებლად;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

4.) გაითვალისწინოს, რომ სანიტარიის დაცვის მიზნით საპირფარეშოს საწმენდი/სარეცხი ინვენტარი უნდა ინახებოდეს განცალკავებულად სამომსახურეო სივრცის საწმენდ/სარეცხი ინვენტარისაგან. ყოვლად დაუშვებელია ერთი დაიგივე ინვენტარის გამოყენება ორივე სივრცეში.

III სამუშაოს შესრულების დროს



1. დამლაგებელი ვალდებულია შეასრულოს მხოლოდ მასზე მისი ხელმძღვანელის მიერ დავალებული სამუშაო; იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო არ შედის მის ძირითად მოვალეობებში ან ცდება მის ძირითად სამუშაო ადგილს, გაიაროს რიგარეშე ინსტრუქტაჟი, შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საფრთხეების შესახებ;
2. სამუშაო შეასრულოს სამუშაო ინვენტარის (ტილო, იატაკის საწმენდი ჯოხი, ცოცხი და ა.შ.) გამოყენებით, ამასთან გაუმართავი ინვენტარის გამოყენება დაუშვებელია;
3. იატაკის დაგვის დროს მტკერის ჰაერში აფრქვევის თავიდან ასაცილებლად რეკომენდირებულია იატაკის დანამვა ან ნოტიო ცოცხის გამოყენება;
4. ნაგავის, შუშის, სხვა სახის ნარჩენების აგროვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ხელთათმანებში. გატეხილი შუშის შეგროვება იატაკის ტილოთი დაუშვებელია (რათა მინის ნატეხის ტილოში შერჩენისას, იზრდება ტილოს გაწურვის დროს ხელის გაჭრის ალბათობა);
5. დაუშვებელია ნაგვის შეგროვების სათავსოში ნაგვის დატყეპნა ხელით, რათა გამოირიცხოს ხელის გაჭრის საფრთხე;
6. იატაკის სველი წესით დასუფთავების წინ სავალდებულოა: იატაკი გაიწმინდოს ბასრი და მჭხლეტავი ნივთებისაგან (შუშის ნატეხები, ლურსმანი და სხვა);
7. სველი იატაკის ან იატაკზე სისველის არსებობის შესახებ სავალდებულოა გაფრთხილებულ იქნეს ყველა ის პირი რომელსაც აქვს ამ ადგილან შეხება.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

8. წყლით ვედროს გავსება უნდა მოხდეს ვედროს სივრცის არა უმეტესი ორი მესამედით, რათა 1) გამოირიცხოს მისი გადატანის დროს წყლის იატაკზე დაქცევა; 2) ვედროს აწევის და გადატანის დროს შემცირდეს ფიზიკური დატვირთვა ორგანიზმზე;

9. საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებების გამოყენებისას სავალდებულოა დაცული იქნას შემდეგი წესები:

- დასაშვებია მხოლოდ ჯანრთელობის დაცვის ორგანოების მიერ ნებადართული საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებები;
- მაღალი კონცენტრაციის საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებების შეზავება უნდა განხორციელდეს ხელთათმანებში, სუნთქვის ორგანოების დაცვით;
- საჭიროების შემთხვევაში (ნივთიერების გაფრქვევა დროს) დამატებით გამოიყენოს სახის ან თვალების დაცვის საშუალებები;
- მაღალი კონცენტრაციის საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებების გამოყენება განხორციელდეს მხოლოდ რეზინის ხელთათმანებით და ჯაგრისით;
- საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებების შენახვა უნდა ხდებოდეს სხვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.
- საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებების გაფრქვევა არ უნდა ხდებოდეს უცხო პირებთან თანდასწრებით;

10. მტვერის ტილოთი გაწმენდის წინ უნდა დარწმუნდეთ გასაწმენდ ზედაპირზე ბასრი და მჩხლეტავი ნაწილების არარსებობაში. გარდა ამისა უნდა დარწმუნდეთ გასაწმენდ ზედაპირის და მისი კონსტრუქციის მდგრადობაში;

11. ელექტროხელსაწყოების გაწმენდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ მათი სრული გაუდენურების შემდეგ, ამავდროულად დაუშვებელია მათი გაწმენდა სველი ან ნოტიო ტილოებით. ელ.სადენების, გამანაწილებელი ყუთების, როზეტების, შუქის გამომრთველების და სხვა მზგავსი მოწყობილობების გაწმენდა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მშრალი ტილოთი;

12. იატაკიდან ორ მეტრზე და მეტ სიმაღლეზე სამუშაოს შესრულება ნებადართულია მხოლოდ „დაშვება-განწესის“ საფუძველზე.

13. იატაკის ზედაპირიდან ორ მეტრზე მცირე სიმაღლეზე სამუშაოს შესრულებამდე აუცილებელია:

- დასადგომად გამოვიყენოთ ორკაპალა კიბე, ფართო საყრდენიანი სადგამი (ყოველივე საშუალების გამოყენება უნდა იყოს შეთანხმებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისთან);
- დავრწმუნდეთ სადგამის მდგრადობაში;
- დაუშვებელია საყრდენებით შემოფარგლურ საზღვრებს გარეთ გადახრა (გადაყირავების ასაცილებლად);

შრომის უსაფრთხოების სამსახური

- სადგამზე დგომის და მუშაობის დროს უნდა იყოს დაცული „სხეულის სამი საყრდნელი ადგილის წესი“;



1. სამუშაო ინვენტარი უნდა იქნას შენახული მისთვის განკუთვნილ ადგილზე, მანამდე კი იგი უნდა იქნას გარეცხილი სადენზიფიცირო ან სარეცხი ხსნარით და გამშრალდეს;
2. ნაგავი და უვარგისი საწმენდი საშუალებები განთავსდეს ნაგვის შესაგროვებელ ადგილას ან გადაიყაროს;
3. მოვაწესრიგოთ დაცვის საშუალებები და შეინახეთ ისინი მომავალ გამოყენებამდე;
4. დაიბანეთ ხელები და სახე თბილი წყლით და საპნით. სარეცხი საპნის გამოყენების შემთხვევაში კანი დააამუშაოთ დამარბილებილი და მკვებავი კრემით;
5. ხელმძღვანელს შეატყობინეთ სამუშაოს შესრულების დროს გამოვლენილ ან შემჩნეულ ყველა სახის უწყსროგობის შესახებ.



შრომის უსაფრთხოების სამსახური



დაცვის სამსახური



შრომის უსაფრთხოების სამსახური

დაცვის სამსახურის თანამშრომლის პოზიციაზე სამუშაოდ დაიშვებიან პირები, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, გაიარეს სამედიცინო შემოწმება, მიიღეს ცოდნა შრომის უსაფრთხოებაში.

სამუშაოზე ახლად მიღებულმა თანამშრომელმა უნდა გაიაროს შესავალი ინსტრუქტაჟი და პირველადი ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე. შესავალი ინსტრუქტაჟის ჩატარებისა და ცოდნის შემოწმებაზე კეთდება აღნიშვნა შესავალი ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალში.

პირველადი ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე ტარდება ამ ინსტრუქციის მიხედვით თვითოეული მუშაკისათვის ინდივიდუალურად.

განმეორებითი ინსტრუქტაჟი ტარდება 3 თვეში ერთხელ მაინც.

სამუშაოს დაწყების წინ, განსაკუთრებით საშიშ პირობებში, უნდა ჩატარდეს მიმდინარე ინსტრუქტაჟი და გაიცეს განწესი - დაშვება, რომელიც განსაზღვრავს მუშაობის უსაფრთხო პირობებს.

ინსტრუქტაჟის ჩატარების შედეგად მიღებულ ცოდნას ამოწმებს ინსტრუქტაჟის ჩამტარებელი.

დასაქმებული, რომელმაც გაიარა ინსტრუქტაჟი და გამოავლინა არადამაკმაყოფილებელი ცოდნა, სამუშაოზე არ დაიშვება.

სამუშაო ადგილზე ჩატარებულ პირველადი, განმეორებითი და არაგეგმიური ინსტრუქტაჟების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩამტარებელი პირი აკეთებს ჩანაწერს სამუშაო ადგილზე ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალში.

სამუშაო ადგილი

სამუშაო ადგილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს გაგრილება გათბობის სისტემით, განიავების შესაძლებლობებით (ბუნებრივი ან/და ხელოვნური), ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, სასმელ სამეურნეო დანიშნულების წყლით, სან. კვანძით და მოსასვენებელი სივრცით.

იდს და აღჭურვილობა

დაცვის სამსახურის თანამშრომელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეც ტანსაცმლით, დამცავი სპეც ფეხსაცმლით, სპეცტანსაცმლით, ამრეკლი ჟილეტით, ავარიული სანათით, მუდმივი კავშირის შესაძლებლობით.

სამუშაო სივრცეში გადაადგილება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე აკრძალულია.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

დაკისრებული მოვალეობები

სამუშაო ადგილზე გამოცხადებისას, დაცვის სამსახურის თანამშრომელი უნდა დარწმუნდეს, რომ სამუშაო სივრცე კონტროლირებადია და გადაიბაროს ცვლა, მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი ინციდენტის შესახებ რომელსაც ქონდა ადგილი წინა ცვლი პერიოდში.

დაკისრებული მოვალეობის განხორციელებისას დაცვის სამსახურის თანამშრომელი უნდა იყოს ფხიზლად და ნებისმიერი არასტანდარტული სიტუაცია შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებს.

აკრძალულია ისეთ სამუშაო სივრცეებში გადაადგილება, სადაც არ არის განათება, იდენტიფიცირებულია როგორც განსაკუთრებით საშიში ზონა, შესაძლებელია არსებობდეს ჩასავარდნი ადგილები, მაღალი ზიანის პოტენციალის მქონე სივრცეები.

სამუშაო ადგილი დასაქმებულმა უნდა შეინახოს სისუფთავეში და წესრიგში. არ გამოიყენოს კუსტარული ელექტროდანადგარები, ღია სპირალიანი გამათბობლები.

აკრძალულია სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის ქვეშ გამოცხადება და ყოფნა.

სამუშაო ადგილზე უცხო პირების და ასევე თრობის ქვეშ მყოფი ადამიანების დაშვება აკრძალულია.

დასაქმებულის მიერ ამ ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას დადგენილი წესის მიხედვით.



შრომის უსაფრთხოების სამსახური



ელექტროსის ინსტრუქცია



II. ელექტრო უსაფრთხოების მოთხოვნები

1. გადასატანი ელექტროინსტრუმენტებით და ხელის ელექტრული მანქანებით სამუშაოდ დაიშვება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი - პერსონალინ ვისაც აქვს ელემენტარული ტექნიკური ცოდნა ელექტრომოწყობილობების შესახებ, ელექტრომოწყობილობებთან მუშაობის უსაფრთხოების წესების ცოდნა, მკაფიო წარმოდგენა ელექტროდენით გამოწვეულ და დენგამტარ ნაწილებთან მიახლოების საფრთხეებზე.
2. გადასატანი ელექტროინსტრუმენტის და ხელის ელექტრული მანქანით სამუშაოების ჩატარება დასაშვებია ელექტროდამცავი საშუალებებიდან (დიელექტრიკული ხელთათმანები, საფენები, ქვესადებები, ბოტები, კალოშები) ერთ-ერთის გამოყენებით მაინც ან ელექტროდამცავი საშუალების გამოუყენებლად, თუ ამ დროს მხოლოდ ერთი ელექტრომიმღები (მანქანა ან ინსტრუმენტი) იღებს კვებას გამყოფი ტრანსფორმატორიდან, ავტონომიური ძრავა-გენერატორის დანადგარიდან, გამყოფ-გრაგნილებიანი სიხშირის გარდამსახიდან ან დამცავი გამორთვის მოწყობილობის გავლით.
3. დისკოიანი ინსტრუმენტები აღჭურვილი უნდა იყოს დამცავი გარსაცმით.
4. მომეტებული საფრთხის და განსაკუთრებით საშიშ შემთხვევებში გადასატანი ელექტრული სანათების ძაბვა არ უნდა იყოს 50 ვოლტზე მეტი. განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში (ქვაბების დოლებში, კვმ-ის ნაკვეთურებში, მეტალის რეზერვუარებში და სხვა ამგვარში) მუშაობისას გადასატანი სანათების ძაბვა არ უნდა იყოს 12 ვოლტზე მეტი.
5. ხელის ელექტრული მანქანებით, გადასატანი ელექტროინსტრუმენტებით და სანათებით მუშაობის დაწყებამდე საჭიროა:
 - ა) დეტალების კომპლექტურობისა და მათი დამაგრების საიმედოობის შემოწმება;
 - ბ) მკვებავი კაბელის (შნურის), მისი დამცავი მილის და საშტეფსელო ჩანგლის წესრიგში ყოფნის, კორპუსის საიზოლაციო დეტალების, სახელურის და მუსების დამჭერის სახურავების, დამცავი გარსაცმების გამართულობაში დარწმუნება გარეგანი დათვალიერებით;
 - გ) ამომრთველის მუშაობის ვარგისიანობის შემოწმება;
 - დ) დამცავი გამორთვის მოწყობილობის ტესტირება (აუცილებლობის შემთხვევაში);
 - ე) ელექტროინსტრუმენტის ან მანქანის მუშაობის შემოწმება უქმ სვლაზე;
6. დაუშვებელია ხელის ელექტრული მანქანების, გადასატანი ელექტროინსტრუმენტების და სანათების გამოყენება, თუ მათზე ან მათ დამხმარე მოწყობილობებზე აღმოჩნდა დეფექტები და არა აქვთ გავლილი პერიოდული შემოწმება.
7. ელექტროინსტრუმენტების, ხელის ელექტრული მანქანების, გადასატანი სანათების გამოყენებისას მათი სადენები და კაბელები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს დაკიდებული. დაუშვებელია სადენების და კაბელების უშუალო შეხება ცხელ, ნესტიან და ზეთიან ზედაპირებთან ან საგნებთან. ელექტროინსტრუმენტის კაბელი დაცული უნდა იყოს შემთხვევითი მექანიკური დაზიანებისაგან.
8. ძაბვის გაქრობისას ან მუშაობაში შესვენებისას ელექტროინსტრუმენტები და ხელის ელექტრული მანქანები უნდა გამოირთოს ელექტრული ქსელიდან.
9. მომუშავეებს, რომლებიც იყენებენ ელექტროინსტრუმენტებს და ხელის ელექტრულ მანქანებს, ეკრძალებათ:
 - ა) ხელის ელექტრული მანქანების ელექტროინსტრუმენტების, თუნდაც მცირე დროით, სხვა მომუშავეებზე გადაცემა;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- ბ) ხელის ელექტრული მანქანების და ელექტროინსტრუმენტების დაშლა და რაიმე რემონტის ჩატარება;
- გ) ელექტრული მანქანის, ელექტროინსტრუმენტის სადენებით გამაგრება, მზრუნავ ნაწილებთან შეხება ან ბურბუშელის, ნახერხის, ნაქლიბის მოცილება მათ სრულ გაჩერებამდე;
- დ) ინსტრუმენტის, მანქანის მასრაში მუშა ნაწილის ჩადება ან ამოღება, აგრეთვე ინსტრუმენტის რეგულირება მისი ქსელიდან გამორთვის გარეშე;
- ე) მისადგმელი კიბეებით მუშაობა. სიმაღლეზე სამუშაოების დროს უნდა მოეწყოს მყარი ხარაჩოები ან ხიდურები;
- ვ) ქვაბების დოლებში, მეტალის რეზერვუარებში და ა.შ. გადასატანი ტრანსფორმატორების და სიხშირის გარდამქმნელების შეტანა.
10. აკრძალულია:
- ა) ელექტროსადენების და კაბელების გადამხმების და ბოლოების იზოლაციის გარეშე დატოვება;
- ბ) დროებითი ელექტროგაყვანილობის და ელექტროხელსაწყოების კვებისათვის დამაგრძელებელი ელექტროსადენების გამოყენება, თუ მათი დანიშნულება არ არის განპირობებული საავარიო და დროებითი სამუშაოების წარმოებით;
- გ) ელექტროქსელში ჩართული ელექტროგამაცხელებელი ხელსაწყოების, აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების უმეტესაწყოოდ დატოვება (მათ შორის, „მოლოდინის“ რეჟიმში), გარდა ელექტროხელსაწყოებისა, რომელთა სადღეღამისო მუშაობის რეჟიმი გათვალისწინებულია ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციით;
- დ) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ელექტროდანადგარების და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების ელექტროქსელში ჩართულ მდგომარეობაში დატოვება იმ სათავსებში, სადაც არ იმყოფება მორიგე პერსონალი, გარდა მორიგე განათებისა, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა, სხვა ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური ხელსაწყოებისა, რომელთა მუშაობა განპირობებულია მათი ფუნქციონალური დანიშნულებით და/ან გათვალისწინებულია მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციით.
11. ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოზე დაიშვება 18 წელს მიღწეული შესაბამის კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელსაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება.
12. ელექტროსაშემდუღებლო დანადგარის მუშაობის დროს უნდა იყოს დამიწებული. ძირითადი საშემდუღებლო მოწყობილობების გარდა დამიწებული უნდა იყოს უშუალოდ ტრანსფორმატორის ის საშემდუღებლო მეორადი გრაგნილის მომჭერი, რომელზეც შეერთებულია უკუგამტარი.
13. ელექტროტექნიკური მოწყობილობების გამოყენებამდე საჭიროა იზოლაციის შემოწმება, ხოლო გამოყენებისას - ექსპლუატაციის წესების დაცვა. მუშებს უნდა ჰქონდეთ სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებები.
14. ელექტრომესადუღებელ აპარატებსა და მათ მკვებავ წყაროებში გათვალისწინებული და დაყენებული უნდა იყოს ძაბვის ქვეშ მყოფი ელემენტების საიმედო შემოღობვა.
15. დახურულ სათავსში ელექტროსაშემდუღებლო სამუშაოების შესრულების პროცესში სამუშაო ადგილები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვენტილაციით ან განიავებით.
16. პერსონალს უტარდება პერიოდული სწავლება წელიწადში ერთხელ ან წარმოების მენეჯერის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის გადაწყვეტილებით ტექნოლოგიური ცვლილებების ან ელექტროუსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

III. ელექტროშემდუღებლის უსაფრთხოების ინსტრუქცია



შრომის უსაფრთხოების სამსახური

1. ელ. შედუღებით სამუშაოებზე არ დაიშვებიან 18 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პირები, ელ.შემდუღებლად დაშვებულ პირებს გავლილი უნდა ქონდეთ სპეციალური სწავლება და შემოწმება ინსტრუქციისა უსაფრთხოების ტექნიკის დარგში.
2. უსაფრთხოების ტექნიკის საინსტრუქციო მოთხოვნებზე შემოწმებებს ელ.შემდუღებლები გადიან ყოველწლიურად.
3. სამ თვეში ერთხელ ელ.შემდუღებლებს უტარდებათ უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე გეგმიური ინსტრუქტაჟი.
4. პიროვნება, რომელიც დაარღვევს უსაფრთხოების ტექნიკის წესებს ექვემდებარება არაგეგმიურ გამოცდას ინსტრუქციისა და წესების ცოდნაზე.
5. ელ.შედუღების დაწყების წინ აუცილებლად შეამოწმეთ იზოლაცია შედუღებული გამტარებისა და ელ. საჭირისისა, ასევე ყველა კონტაქტის შეერთების სიმკვიდრე, დაუშვებელია იზოლაციის დაზიანება.
6. აკრძალულია ელ.შედუღების წარმოება ღია მოედანზე ქუხილისა და წვიმის დროს.
7. შემდუღებელი ვიდრე დაიწყებდეს მუშაობას მოვალეა გააფრთხილოს ახლო მომუშავეები.
8. ელ.შედუღების დროებითი მოწყვეტისას ელ.შემდუღებელი ვალდებულია გამორთოს შედუღების აპარატი.
9. თითოეული ელ.შემდუღებელი მომუშავე ღია ელექტრო რკალით, რკალის სხვიებისაგან სახისა და თვალების დაცვისათვის უნდა სარგებლობდეს ნილბით ან დამცავი შუშებით. შედუღების დენისთვის 10 ამპ-301 მმ. 100 ამპერზე მაღლა 300ამპ. 300-30-300 300 ა-დან 500 ა-მდე. ეს 500 (ე.ი ელექტრო მიწა).
10. შებრუნებითი გამტარის სახით აკრძალულია შენობის მეატალური კონსტრუქციის გამოყენება ან რკინა ბეტონის კონსტრუქციის არმატურის ან დამიწების კონტურების ან განსაზღვრული მოწყობილობების კარკასების გამოყენება.
11. იმ ჭურჭლების შედუღების წინ, რომელშიც აალებადი სითხე ინახება ეს ჭურჭელი კარგად უნდა გაირეცხოს და გაიწმინდოს.
12. წვადი მასალების და სითხეების ჭურჭლის შედუღებითი სამუშაოები დასაშვებია მხოლოდ მათი გაწმენდის გარეცხვის შემდეგ ღია ლუქით, სახურავით ან ღა ონკანით.
13. აკრძალულია ელ. შედუღების წარმოება წნეების ქვეშ მყოფ ჭურჭელზე.
14. აკრძალულია ელ.შედუღების წარმოების ადგილებში ცეცხლსაშიში მასალების (ბენზინი, ნავთი, აცეტონი, სპირტი და სხვა) შენახვა.
15. ელ. შემდუღებელი და მისი დამხმარე უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებით სპეცტანსაცმელსა და ხელთათმანეში. ტანსაცმლის აალების შემთხვევაში ცეცხლი ჩააქრეთ, წვად ტანსაცმელზე უვარგისი ნაჭრის ან უვარგისი გადასაფარებლის მიდებით.
16. განსაზღვრულ წრედში შემდუღებელი დენის ჩართვა ხელის ელ. შედუღების აპარატის დაყენება ხორციელდება ჩარმაზით ან კონაქტორით.
17. მკვებავის ჩართვისას ყველა მარკის სადენის გამოყენება აკრძალულია განსაზღვრულ წრედში.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

18. შედუღების გამტარების შეერთება ხორციელდება დაწნეხით შედუღებით დაპაიანებით, სპეცდამჭერებით. ახვევითი შეერთება აკრძალულია.
19. შედუღების ობიექტი მუდმივად უნდა დამიწდეს, გარდა ამისა უნდა დამიწდეს შედუღების ტრანსფორმატორის მეოთხედი წრის ის დამჭერი, რომელსაც უერთდება ნაკეთობისაგან მიმავალი პროვოდი (უკუგამტარი).
20. დენის წრედის ჩართვა ან გამორთვა უნდა მოხდეს ელ. შემკეთებლის მიერ, ამ ოპერაციის ჩატარება ელ.შემდუღებლებს ეკრძალებათ.
21. მკვებავ წრედს შორის და მოძრავ შედუღების აგრეგატს შორის გამტარის სიგრძე არ აღემატება მ. გამტარს უნდა ქონდეს მექანიკური დაზიენებისგან დამცავი.
22. გადასატან შედუღების მოწყობილობებში უკუგამტარი ისევ უნდა იყოს იზოლირებული, როგორც ძირითადი გამტარი.
23. შედუღებით სამუშაოების შესრულებისას ტენიან ადგილებში ან მუხლებზე ან წოლით მდგომარეობაში შემდუღებლები იყენებენ დიელექტრიულ ხალიჩებს შესადული ნაკეთობისაგან იზოლაციისთვის.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოთა ინსტრუქტაჟი





შრომის უსაფრთხოების სამსახური

პროფესიული საფრთხის ცნობარი

წინამდებარე ცნობარი სტანდარტული ფორმით მოიცავს იმ საფრთხეების ჩამონათვალს, რომლებთანაც შეხება შეიძლება ჰქონდეს ელექტრო და აირ შემდუღებელს მისი ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის დროს. წინამდებარე ცნობარი წარმოადგენს ინფორმაციის და არა რეკომენდაციის წყაროს.

დაზიანებებისა და დაავადებების გამომწვევი მიზეზების ცოდნის გათვალისწინებით, უფრო მარტივია სათანადო ზომების შემუშავება და გატარება პრევენციისთვის.

ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოთა უსაფრთხოების პრევენციული ზომები.

- სამშენებლო მოედნებზე ელექტროტექნიკური მოწყობილობების გამოყენებამდე საჭიროა იზოლაციის შემოწმება, ხოლო გამოყენებისას – ექსპლუატაციის წესების დაცვა. მუშებს უნდა ჰქონდეთ სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებები.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- ელექტროშესადულებელ აპარატებსა და მათ მკვებავ წყაროებში გათვალისწინებული და დაყენებული უნდა იყოს ძაბვის ქვეშ მყოფი ელემენტების საიმედო შემოღობვა.
- წვიმისა და თოვლის დროს ელექტროშესადულების სამუშაოთა შესრულება გადახურვის გარეშე დაუშვებელია.
- კონსტრუქციის ელემენტების ჭრისას მიღებულ უნდა იქნეს მათი ჩამოვარდნის საწინააღმდეგო ზომები.
- დახურულ სათავსში ელექტროსაშემდულებლო და აირსაშემდულებლო სამუშაოების შესრულების დროს სამუშაო ადგილები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვენტილაციით ან განიავებით.
- ჭურჭელი, რომელშიც მოთავსებული იყო წვადი სითხეები ან მჟავები, შედუღებამდე (ჭრამდე) უნდა გაიწმინდოს, გამოირეცხოს, გაშრეს და შემოწმდეს, რომ არ შეიცავდეს მავნე ნივთიერებების საშიშ კონსისტენციას.
- ჩაკეტილი დახურული ტევადობის შიგნით ელექტროსაშემდულებლო და აირსაშემდულებლო სამუშაოს ერთდროულად შესრულება დაუშვებელია.
- გაზის ბალონების გადაზიდვა, შენახვა, მიღება და გადაცემა უნდა განხორციელდეს საექსპლუატაციო წესების დაცვით.
- გაზის ბალონები დაცული უნდა იყოს დარტყმითი და მზის სხივების პირდაპირი მოქმედებისაგან, გამთბობი ხელსაწყოდან დაშორებული უნდა იყოს 1 მ-ზე მეტი მანძილით.
- გაზის ბალონები უნდა ინახებოდეს სპეციალურ მშრალ და განიავებად სათავსებში. ცარიელი და გაზით სავსე ბალონები უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე.
- სამუშაოს დამთავრების შემდეგ გაზიანი ბალონები უნდა ინახებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, სადაც უცხო პირთა შესვლა გამორიცხებულია. გადასატანი გენერატორი უნდა გათავისუფლდეს კალციუმის კარბიდისაგან და გადატანილ



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- უნდა იქნეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.
- ჟანგბადის ბალონების ექსპლუატაციის, შენახვისა და გადაადგილების დროს უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რათა არ მოხდეს ბალონის შეხება საცხებ მასალებთან ან ზეთის ლაქის მქონე ტანსაცმელსა და ჩვრებთან.
- დაუშვებელია აცეტილენის გენერატორების მოთავსება ხალხის მასობრივად ყოფნის ან გასასვლელ ადგილებში, აგრეთვე, კომპრესორებით ან ვენტილატორებით ჰაერის აღების ადგილებში.
- დაუშვებელია წნევის ქვეშ მყოფი დანადგარების საწვავითა და მავნე ნივთიერებებით შევსებული მილსადენების შედუღება, ჭრა და გაცხელება

აირით შედუღების პროცესში არსებობს აფეთქებისა და ხანძრის რისკი, რის შედეგადაც დასაქმებულმა შეიძლება მიიღოს კანის დამწვრობა, თვალების დაზიანება და მავნე ნივთიერებებისგან მოწამვლა. რეკომენდებულია, რომ ყველა აალეზადი ნაწილი მოაშორეთ საშიშ სივრცეს. შედუღების ტექნიკური სამუშაოების დროს უზრუნველყავით ზედამხედველობა და ხანძრის საწინააღმდეგო შესაბამისი ცეცხლმაქრები, მაგ., ფხვნილის ცეცხლმაქრი. მშენებლობებსა და სამონტაჟო ადგილებზე ტრანსპორტირებისთვის შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ ბალონების ურიკები. დაიცავით ბალონები წაქცევისგან და არ განათავსოთ ისინი გასასვლელებში, კორიდორებში, სითბოს წყაროსთან. გამოიყენეთ მხოლოდ შემოწმებული და დაშვებული წნევის რედუქტორები და ისე მიუერთეთ ისინი გაზის ბალონებს, რომ უსაფრთხოების სარქველების მოქმედებაში მოყვანისას საფრთხე არ შეექმნას ადამიანებს.




შრომის უსაფრთხოების სამსახური



1. შედუღების კვების წყარო უსაფრთხოდ ღია სივრცეში
2. შედუღების კვებისწყაროს გაყვანილობა
3. შემდუღებლის სამუშაო ადგილი სხვა სამუშაო ადგილებისგან გამოყავით ტიხრებით ან ფარდებით
4. გამოიყენეთ შესაბამისი დამცავი ფარები ან დამცავი ეკრანები დამცავი ფილტრით.



შრომის უსაფრთხოების სამსახური



მშენებლობებსა და სამონტაჟო ადგილებზე ტრანსპორტირებისთვის გამოიყენეთ

1. ბალონების ურიკები, 2. დამცავი სათვალე, 3. ფხვნილის ცეცხლმაქრი.



ელექტრო უსაფრთხოება



ელექტრობასთან დაკავშირებული საფრთხეები:

- ელექტროშოკი - იწვევს უნებლიე ხელის ჩაბლაუჭებას, გულის ფიბრილაციას, სუნთქვის შეჩერებას, გულის გაჩერებას, სისხლის და სისხლძარღვების დაზიანება;
- დამწვრობა (გარეგანი და შინაგანი) - გამოწვეული ელექტროშოკით;
- ხანძარი და აფეთქება - მოკლე ჩართვა, კაბელის დატვირთვა ჩართული ხელსაწყოებით და ა.შ.;
- ელექტრო რკალის წარმოქმნა - თვალის დაზიანება ულტრაფილეტის გამოსხივებით;
- მეორადი ეფექტები - დენის დარტყმის შედეგად უკუგდებისგან შეიძლება გამოიწვიოს მოტეხილობებისხვა სახის დაზიანებები;

დაზიანების (ელექტროშოკის) სიმძიმეს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

- ძაბვა - მაღალი ძაბვა, ცვლადი დენი და მუდმივი დენი;
- ხანგრძლივობა - დენის ზემოქმედების ხანგრძლივობა ადამიანზე უშუალო კონტაქტისას;
- საკონტაქტო ნივთიერება-ლითონი, სითხე და სხვა;
- გარემო ფაქტორები - მაღალი ტენიანობა, ტემპერატურა;
- დენის სიხშირე - ცვლადი დენი;
- დენის გზა/მიმართულება - სხეულზე გავლის მიმართულება (მაგალითად: გულ-მკერდის არეში გავლა, შესაძლო შედეგი -გულის გაჩერება-სიკვდილი);
- დენის გამტარობაზე წინააღმდეგობა - ადამიანის კანი წარმოადგენს დენის ბუნებრივ წინაღობას. მაგალითად: მშრალი კანისწინაღობა - 100 000 ომია, ხოლო ნოტიო/სველი და დაზიანებული კანის წინაღობა 1000 ომი. ნებისმიერი სახის ტანსაცმელი ასევე ეფექტსდაგავლენას ახდენს წინაღობაზე;
- კონტაქტის სახეობა - მაგალითად: ხელით, ტანით და ა.შ. რაც უფრო დიდია კანით შეხების არეალი სადენებთან, მით მეტიადაზიანების საფრთხე და სიმძიმე;

უბედური შემთხვევების გამომწვევი სავარაუდო წინაპირობები ელექტრო მოწყობილობებთან მუშაობისას:



შრომის უსაფრთხოების სამსახური

შეუსაბამო მოწყობილობის გამოყენება ფეთქებადსაშიშ გარემოში;

- ელექტრო მოწყობილობის გამოყენება სველ-ტენიან გარემოში არასათანადო დაცვის კლასის გარეშე;
- ელექტრო სადენების არასწორად გამოყენება - მაგალითად: ელექტროსადენების პირდაპირი მიერთება ბუდეზე ე.წ.

„შტეფცელის“ გარეშე;

- ფიზიკური დაუდევრობა - შტეფცელის გამოქაჩვა როზეტიდან კაბელით და არა სახელურით, ინსტრუმენტის გამტარით(კაბელით) ტარება, ჩაჭედილი, გამტარის მოხმარება დაზიანებული საიზოლაციო ფენით და სხვა;
- შეუსაბამო ან არაპროფესიონალის მიერ მოხმარება, ცუდი მოპყრობა, დაზიანებული და არასათანადოდ დაიზოლირებული კაბელი;
- დაზიანებული და დეფექტიანი ხელსაწყო მოხმარება;
- შტეფცელის ქიმიური დაზიანება, მაგალითად კოროზია და/ან სხვა;
- ელექტრო მოწყობილობების პერიოდული შემოწმების უგულებელყოფა.

პორტატული ელექტრო ხელსაწყოების გამოყენებისას უსაფრთხოებისთვის გასათვალისწინებელი საკონტროლო მექანიზმები:

- გამოიყენეთ მხოლოდ დამიწების მქონე ხელსაწყოები, საშიში ძაბვის არსებობის შემთხვევაში;
- უზრუნველყავით გაზრდილი დაცვა ამომრთველების საშუალებით(ე.წ.ავტომატი);
- სადენები განათავსეთ მაქსიმალური სიფრთხილით ისე, რომ აარიდოთ მათზე მანქანით გადავლის საფრთხეები;
- გამოიყენეთ ორმაგი იზოლაციის მქონე სადენები და ხელსაწყოები;
- გამოყენებამდე ვიზუალურად დაათვალიერეთ და შეამოწმეთ ხელსაწყო და ელექტრო სადენები მექანიკურ, ქიმიურ დაზიანებაზე;

სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების სისტემა:

- მხოლოდ კომპეტენტური პერსონალი;
- დიელექტრიკული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - ხელთათმანები და სხვა;
- მაიზოლირებული ხელსაწყოები და აღჭურვილობა;
- სამუშაო ადგილის მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს ელ.ხელსაწყოების გამოყენების პირობებს (ტენიანობა, სისუფთავე);
- სამუშაოები ელექტრო მოწყობილობებთან უნდა განხორციელდეს გათიშულ სესტემაში, დენის წყაროს ამორთვით



შრომის უსაფრთხოების სამსახური

მდგომარეობაში;

- ელექტრო წრედის ავტომატური ამომრთველის აუცილებელი არსებობა;
- ლოკალური დამიწების სერვისები - სადაც დამიწება ხდება უნდა იყოს თვალსაჩინო შესაბამისი ნიშნები;

- ელექტრო ინსტალაციები და მოწყობილობები უნდა იყოს ინსპექტირებული მუდმივ რეჟიმში საჭიროებისამებრ;
- პორტატული ხელსაწყოების ინსპექტირება ტექნიკური მონაცემების/პასპორტის შესაბამისად. ტესტირება ტექნიკური მომსახურების შემდეგ უშუალოდ სამუშაო პროცესში ხელსაწყო მუშაობისას.

სამაშველო პროცედურები ელექტრო ინციდენტების დროს:

- არ შეეხოთ დაშავებულს, რადგან ის შეიძლება კვლავ იყოს ელექტრო დენთან კონტაქტში, ასრულებდეს გამტარის როლს და მოხდეს პოტენციურად დამხმარის დაშავება (გარდაცვალება) ელექტრო შოკით;
- დაუყოვნებლივ მოახდინეთ ყველა წესის დაცვით ელ.ენერგიის გათიშვა წყაროდან ან შესაბამისი იზოლირებული დამხმარე საშუალებით, მოაცილეთ ელექტრო ენერგიის წყარო დაზარალებულს, მაგალითად: მშრალი, ტანისამოსი, მშრალი ხის მასალა, რეზინის ჯოხით და სხვა;
- დარწმუნდით საკუთარ უსაფრთხოებაში;
- დარეკეთ დახმარებისთვის;
- შეამოწმეთ სუნთქვა. თუ სუნთქავს წამოაყენეთ, ხოლო თუ არა, ჩაუტარეთ გულის და ფილტვების რეანიმაცია (გულის არაპირდაპირი მასაჟი, ხელოვნური სუნთქვა) პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელმა პირმა;
- დამწვრობის შემთხვევაში აღმოუჩინეთ შესაბამისი პირველადი მკურნალობა;
- დარწმუნდით, რომ დაშავებულს გაეწევა შესაბამისი სამედიცინო დახმარება;



შრომის უსაფრთხოების სამსახური





შრომის უსაფრთხოების სამსახური

ა) **მონიტორიანი მოწყობილობა** –ასობის, ციფრების, სიმბოლოების ან გრაფიკული გამოსახულების ამსახველი ეკრანი გამოყენებული გამოსახვის პროცესის მიუხედავად;

ბ) **სამუშაო ადგილი** – დასაქმებულისთვის განკუთვნილი ადგილი, დაკომპლექტებული ეკრანიანი/მონიტორიანი მოწყობილობით, რომელსაც შესაძლებელია თან ახლდეს: კლავიატურა ან სხვა შემყვანი მოწყობილობები, ასევე პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ამ ადამიანსა და კომპიუტერს შორის მაკავშირებელ რგოლს ქმნის; დამატებითი აქსესუარები; გარე მოწყობილობები, მათ შორის ტელეფონი, მოდემი, პრინტერი, დოკუმენტების დამჭერი, სამუშაო სკამი/სავარძელი და სამუშაო მაგიდა/სამუშაო ზედაპირი და უშუალოდ ამ აღჭურვილობასთან დაკავშირებული სამუშაო გარემო და ა.შ.

გ) **მონიტორიან მოწყობილობებთან მომუშავე დასაქმებული**– საქართველოს კანონით „შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ განსაზღვრული ნებისმიერი დასაქმებული, რომელიც მონიტორიან დანადგარს რეგულარულად იყენებს - დღეში არანაკლებ 4 საათის განმავლობაში.

სამუშაო ადგილების შეფასება

1. დამსაქმებელი ვალდებულია ჩაატაროს სამუშაო ადგილების შესწავლა-შეფასება დასაქმებულების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, განსაკუთრებით, როცა ეს ეხება მხედველობის დამაზიანებელ, ფიზიკურ პრობლემებთან და გონებრივ დამაბულობასთან დაკავშირებულ რისკებს. დამსაქმებელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები სამუშაო პირობების გამოსასწორებლად და ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ჩატარებული შეფასების შედეგად აღმოჩენილი რისკების შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად, აღმოჩენილი რისკების დამატებითი და/ან ერთობლივი შედეგების გათვალისწინებით.
2. დამსაქმებელმა უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმისათვის, რომ სამუშაო ადგილები აკმაყოფილებდეს წინამდებარე რეგლამენტის დანართში მოცემულ მოთხოვნებს.

სამუშაო ადგილი

თითოეული სამუშაო ადგილი ისე უნდა მოეწყოს, რომ მოსახერხებელი იყოს ნებისმიერი ადამიანისთვის და ნებისმიერი შესასრულებელი სამუშაოსთვის. ამ კონტექსტში ტერმინს „სამუშაო ადგილი“ მრავალმხრივი გამოყენება გააჩნია.

ა) ზოგადი მოთხოვნა

სამუშაო ადგილზე მონიტორიანი მოწყობილობის გამოყენება არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს დასაქმებულთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას .

ბ) მონიტორი

ბ.ა) მონიტორზე გამოსახული სიმბოლოები კარგად გამოკვეთილი და ფორმირებული უნდა იყოს, მათ ადეკვატური ზომა უნდა გააჩნდეთ და ამ სიმბოლოებსა და ხაზებს შორის ადეკვატური მანძილი უნდა იყოს დაცული.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ბ.ბ) გამოსახულება მონიტორზე უნდა იყოს სტაბილური, ციმციმისა და სხვა არასტაბილურობის გარეშე.

ბ.გ) დასაქმებულს მარტივად უნდა შეეძლოს მონიტორის სიკაშკაშის და/ან სიმბოლოებსა და ფონს შორის კონტრასტის რეგულირება, გარდა ამისა შესაძლებელი უნდა იყოს მონიტორის და მასზე გამოსახული სიმბოლოების გარემო პირობებთან ადვილად მისადაგება/დარეგულირება .

ბ.დ) შესაძლებელი უნდა იყოს მონიტორის ადვილად და თავისუფლად ბრუნვა და გადახრა, დასაქმებულის საჭიროების შესაბამისად.

ბ.ე) მონიტორისთვის ან რეგულირებადი მაგიდისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი/ცალკე საყრდენის გამოყენების შესაძლებლობა.

ბ.ვ) მონიტორი არ უნდა ირეკლავდეს და არ უნდა გააჩნდეს ისეთი ანარეკლი (სიკაშკაშე), რომელიც დასაქმებულს დისკომფორტს შეუქმნის.

ბ.ზ) დასაქმებულის თვალსა და მონიტორზე გამოსახულ დეტალს შორის (რომელსაც დასაქმებული აკვირდება) ოპტიმალური დაშორება დამოკიდებულია დეტალის ზომაზე და უნდა მერყეობდეს 500-დან 700 მილიმეტრამდე, ამასთან ხედვის დისტანცია არ უნდა იყოს 400 მილიმეტრზე ნაკლები.

გ) კლავიატურა

გ.ა) კლავიატურა განცალკევებული უნდა იყოს მონიტორისგან და შესაძლებელი უნდა იყოს მისი დახრა, რათა დასაქმებულს შეეძლოს მისთვის მოსახერხებელი სამუშაო პოზიის შერჩევა ხელებისა და მაჯის გადაღლის თავიდან აცილების მიზნით.

გ.ბ) კლავიატურის წინ უნდა იყოს საკმარისი ადგილი იმისათვის, რომ დასაქმებულს შეეძლოს ხელებითა და მაჯით სამუშაო ზედაპირზე დაყრდნობა.

გ.დ) ანარეკლის თავიდან ასაცილებლად კლავიატურას უნდა გააჩნდეს მქრქალი ზედაპირი.

გ.ე) კლავიატურის დიზაინი და კლავიშების ზომა კლავიატურის ადვილად გამოყენების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

გ.ვ) კლავიშებზე განლაგებული სიმბოლოები ადეკვატურად უნდა იყოს გამოკვეთილი და მათი გარკვევა მარტივად უნდა იყოს შესაძლებელი დასაქმებულის სამუშაო პოზიიდან.

მოძრაობის სიხშირე

სამუშაო ამოცანები, როგორებიცაა მაგალითად ბეჭდვა, ოპერატორებისგან მოითხოვს ბევრჯერ განმეორებად მოქმედებებს. რაც უფრო მეტი განმეორებების გაკეთება უწევს დასაქმებულს, მით უფრო სწრაფი და ხშირად განმეორებადი მოქმედებებია საჭირო და უფრო ინსტენსივობით იკუმშება კუნთები. უფრო მეტი განმეორებადობის მქონე ამოცანები მოითხოვს დიდ კუნთოვან ძალისხმევას და შესაბამისად, სჭირდება მეტი დრო დასასვენებლად და ძალების აღსადგენად იმისათვის, რომ კუნთები დაცული იქნას დაზიანებისგან.

დ) სამუშაო მაგიდა ან სამუშაო ზედაპირი



შრომის უსაფრთხოების სამსახური

დ.ა) სამუშაო მაგიდას ან სამუშაო ზედაპირს უნდა გააჩნდეს საკმარისად დიდი ნაკლებად არეკლვადი ზედაპირი, სადაც ეკრანი, კლავიატურა, საბუთები და სხვა აღჭურვილობა მოხერხებულად განთავსდება.

დ.ბ) საბუთების დამჭერი უნდა იყოს მყარი და რეგულირებადი, უნდა განთავსდეს ისე, რომ თვალისა და თავის არაკომფორტული მოძრაობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

დ.გ) დასაქმებულებს საკმარისი სივრცე უნდა გააჩნდეთ მათთვის კომფორტული პოზის მოსაძებნად და ფეხების განლაგების შესაცვლელად.

ე) სამუშაო სავარძელი

ე.ა) სამუშაო სავარძელი უნდა იყოს მდგრადი და უზრუნველყოს დასაქმებულის თავისუფალი მოძრაობა და მოსახერხებელი პოზა.

ე.ბ) სავარძლის სიმაღლე უნდა იყოს რეგულირებადი.

ე.გ) სავარძლის საზურგის როგორც სიმაღლის, ისე დახრის რეგულირება უნდა იყოს შესაძლებელი.

ე.დ) დასაქმებულს უნდა მიეწოდოს ფეხების სადგამი მოთხოვნისთანავე.

თუ სამუშაო სრულდება მჯდომარე მდგომარეობაში, დასაჯდომი სკამი უნდა იყოს მოსახერხებელი, შესაბამისი საზურგით ქვედა წელისთვის და შესაბამისი ფეხის დასასვენებელი საშუალებით, თუ მომუშავე ადამიანს არ შეუძლია ფეხის იატაკზე დალაგება.

სკამები უნდა იყოს მარტივი გადასატანი, აღჭურვილი მოძრავი ზურგით და რეგულირდებოდეს სიმაღლეში.

სამუშაო გარემო

სამუშაო გარემო არსებობს სამუშაო ადგილზე. იგი მოიცავს ფიზიკურ გარემოს და ზოგად განლაგებას.

ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი სამუშაო ადგილის მოცულობა მინიმუმ 12 მ³ უნდა შეადგენდეს, აღნიშნული ადგილი ისე უნდა იყოს დაპროექტებული, რომ დასაქმებულს ადვილად შეეძლოს მოძრაობა და პოზის შეცვლა.

გარემოსთან დაკავშირებული საკითხებია : ტემპერატურა, ტენიანობა, განათება და ხმაური.

1. **ტემპერატურისა და ტენიანობის** დონეები პირდაპირ ზემოქმედებს ადამიანის კომფორტზე და მუშაობის უნარიანობაზე. ზედმეტმა ტემპერატურულმა რეჟიმმა შეიძლება გამოიწვიოს დაღლილობა და კონცენტრაციის დაკარგვა, ასევე სიფხიზლის დაკარგვა;
2. სამუშაო გარემოს და/ან სამუშაო ადგილის **განათება** 300-700 ლუქსს უნდა შეადგენდეს, მონიტორსა და მის უკან არსებულ ფონს შორის საკმარისი კონტრასტი უნდა იქმნებოდეს, გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაოს სახეობა და დასაქმებულის მხედველობასთან დაკავშირებული მოთხოვნები.
ბ.ბ) მონიტორზე და სხვა აღჭურვილობაზე განათებისგან გამოწვეული შესაძლო ანარეკლი და სიკაშკაშე ხელოვნური განათების საშუალებებისა და სამუშაო ადგილის ერთმანეთთან კოორდინირებისა და განლაგების მეშვეობით თავიდან უნდა იქნას აცილებული.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

3. ანარეკლი და სიკაშკაშე

ა) სამუშაო ადგილები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სინათლის წყაროებმა (მაგალითად: ფანჯრები და სხვა ღიობები, გამჭირვალე ან სინათლის გამტარი ტიხრები და ხასხასა ფერების მქონე ნათურები ან კედლები) არ წარმოქმნან მონიტორზე პირდაპირი სიკაშკაშე და ანარეკლები.

ბ) ფანჯრებს შესაბამისი დამფარავი და რეგულირებადი მოწყობილობები უნდა გააჩნდეთ, რომლებიც სამუშაო ადგილზე შემოსულ დღის სინათლეს დაარეგულირებს.

4. ხმაური

ხმაური განისაზღვრება, როგორც არასასურველი ბგერა, შედეგად, არსებობს სუბიექტური ელემენტი იმის გადასაწყვეტად, თუ რა არის ხმაური და რა ითვლება ხელის შემშლელ და აუტანელ ხმაურად. ხმაურის ხარისხი განპირობებულია ფონური ხმაურის საერთო დონითა და, რაც ხშირად, დამოკიდებულია დღის მონაკვეთზე. მაგალითად, ხმაურის დონე, რომელიც დღის განმავლობაში საერთოდ შეუმჩნეველია, აუტანელი ხდება ღამის სიჩუმეში.

სამუშაო ადგილის მოწყობისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ მასში განლაგებული მოწყობილობების მიერ გამოცემული ხმაურის დონე 60 დეციბელს არ აღემატებოდეს, რათა ხმაურმა არ გამოიწვიოს ყურადღების გაფანტვა და საუბრისთვის ხელის შეშლა.

5. ტემპერატურა

სამუშაო ადგილზე გამოყენებულმა მოწყობილობამ ზედმეტი სიმხურვალე არ უნდა გამოსცეს, რათა დასაქმებულებს არ შეექმნათ დისკომფორტი. ამ შემთხვევაში ოპტიმალური ტემპერატურა 22 - 27°C-ს, ხოლო დასაშვები ტემპერატურა 18 - 30°C-ს შეადგენს.

6. გამოსხივება

ელექტრომაგნიტური სპექტრის ხილული ნაწილის გარდა ყველა სხვა სახის რადიაციის დონე ისეთ უმნიშვნელო მაჩვენებლებამდე უნდა იქნას დაყვანილი, რომლებიც დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნას გამოიწვევს.

7. ტენიანობა

ტენიანობის მისაღები დონე უნდა იყოს შენარჩუნებული 30-70%-ის ფარგლებში.

ერგონომიკული პრობლემების იდენტიფიცირება

სამუშაო ადგილთან დაკავშირებული ერგონომიკული პრობლემების დადგენა შესაძლებელია შემდეგი ორი პროექტიული ან რეაქტიული მეთოდით.

პროაქტიული მეთოდი

- ერგონომიკული შეფასება

ხორციელდება ადამიანის ფაქტორივი მეთვალყურეობა, ხდება დაკვირვება ადამიანის სხეულზე, მის სამუშაო პოზიციებზე, კიდურების მოძრაობაზე და ა.შ. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური დაკვირვება, თუმცა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამის შესასწავლად საუკეთესო მეთოდია გადაღება;

- სამუშაოს უსაფრთხოების ანალიზი;
- მუშახელთან კონსულტაცია.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

რეაქტიული მეთოდი

- **ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოხსენებები** - ეს ზოგჯერ შეიძლება იყოს ძალიან კარგი მაჩვენებელი, მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ზიანის მიყენება უკვე დაწყებულია, თუმცა მაინც არსებობს სიტუაციის მოგვარების შანსი.
- **დაზღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიები** - ასეთი პრეტენზიები შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც პრობლემა გარკვეული დროით აქტუალურია და სიტუაცია უმჯობესდება, ადამიანები განიცდიან ტკივილს და ტანვას, მათ ასევე შეიძლება დაკარგონ სამუშაო დრო ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო მოუწიოთ სამედიცინო მკურნალობა, და ამის შედეგად მათ სურთ მიიღონ კომპენსაცია.
- **ავადმყოფობა და გაცდენა.**

ფსიქოლოგიური პირობები

ერგონომიკული საფრთხეების შედეგად შეიძლება ასევე წარმოიქმნას ისეთი ფსიქოლოგიური პირობები, რომლებსაც შეიძლება გამოიწვიოს პროფესიული სტრესი. ემოციური ან ფსიქოლოგიური სტრესი გამოწვეულია:

- არარეგულარული სამუშაო მოდელის გამო;
- სამუშაო ცვლების ცვლილებების გამო;
- ღამის საათებში მუშაობის გამო;
- მარტო მუშაობის გამო;
- ორგანიზაციაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო;
- ზედმეტი სამუშაო დატვირთვის გამო;
- დროსთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და დედლაინის გამო და ა.შ.

სტრესი

სტრესი არ არის დაავადება; იგი წარმოადგენს ზედმეტი ზეწოლის მიმართ ბუნებრივ რეაქციას. სტრესის შედეგად შესაძლებელია მივიღოთ უკეთესი სამუშაო შედეგები და წარმოების დონე, მაგრამ ეს კარგი არ არის, რადგან ის ვეცდებით უარყოფით ზემოქმედებას როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ მდგომარეობაზე, კერძოდ, ისეთ დაავადებებს, როგორებიცაა:

- მაღალი სისხლის წნევა;
- პეფსული წყლული;
- კანის ფუნქციების დარღვევა;
- დეპრესია.

თამბაქოს კვამლის გამონაბოლქვისგან თავის დაცვა

სამუშაო ადგილები, მოსასვენებელი ოთახები და მოსასვენებელი სივრცეები ისე უნდა მოწყობილი იყოს, რომ არამწველი პირები თამბაქოს კვამლით გამოწვეული დისკომფორტისგან დაცულნი იყვნენ. აუცილებელია, თანამშრომლებს არ შეეძქნათ დისკომფორტი თამბაქოს კვამლის გამო. შესაძლოა, საჭირო გახდეს მწველების არამწველებისგან გამოყოფა ან მოსასვენებელი სივრცეებსა და ოთახებში თამბაქოს მოწევის აკრძალვა.

სანიტარული კეთილმოწყობა

სანიტარული კეთილმოწყობის მიზანია სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა ძირითადი კეთილმოწყობის საჭიროებებით (ისევე, როგორც ჯანდაცვით და უსაფრთხოებით) სამუშაო



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ჯგუფის ყველა წევრისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონდებიერებისთვის.

დასაბანი საშუალებების რაოდენობა

ზოგადად „სანიტარული კვანძების „ რიცხვი დამოკიდებულია სამუშაოზე მტოფი ადამიანების შესაძლო რაოდენობაზე . ისინი უნდა განლაგდეს იმავე შენობაში, სადაცმდებარეობს სამუშაო ადგილები. იმ შემთხვევაში, თუ მუშახელი ორივე სქესის წარმომადგენლებისგან შედგება, მაშინ „სანიტარული კვანძების „ ისე დასაბანი საშუალებების რიცხვი იქნება

- 1___5 ან ნაკლები თანამშრომლისათვის;
- 2___6-25 თანამშრომლისათვის;
- 3___26-50 თანამშრომლისათვის;
- 4___51-75 თანამშრომლისათვის ;
- 5___76-100 თანამშრომლისათვის .

100-ის ზემოთ ყოველი 25 თანამშრომლისთვის (ან 25-მდე) უნდა მონტაჟდებოდესდამატებითი სანიტარული კვანძები და დასაბანი საშუალებები.





შრომის უსაფრთხოების სამსახური



გადასაადგილებელი კიბე ხარაჩოს მოხმარების
ინსტრუქტაჟი



შრომის უსაფრთხოების სამსახური

1. ზოგადი მოთხოვნები სიმაღლეზე მუშაობის დროს

- 1.1. სიმაღლეზე სამუშაოებს მიეკუთვნება ის სამუშაოები, სადაც არსებობს 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე;
- 1.2. სიმაღლეზე მუშაობა წარმოადგენს მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა კატეგორიას და იქ დასაქმებული ყოველი პირი ვალდებულია სამუშაოს დაწყებამდე ხელმძღვანელისგან მიიღოს ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებული საფრთხეებისა და რისკების შესახებ;

1.3. სიმაღლეზე მუშაობისას შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების ზემოქმედება:

- სამუშაო ადგილის განლაგება მიწიდან (იატაკიდან) მნიშვნელოვან სიმაღლეზე და დასაქმებულის შესაძლო გადმოვარდნა ან მასზე რაიმე საგნის დაცემა;
- კონსტრუქციების ჩამოშლა (სტელაჟები, კიბეები და სხვა დამხმარე მოწყობილობა);
- დაცურება (ზედაპირის მოყინვა, დანესტიანება, დაზეთოვნება);
- ელექტროსადენებზე გამოდგება;
- მოძრავი მანქანები და მექანიზმები;
- სამუშაო სივრცეში ჰაერის მაღალი ან დაბალი ტემპერატურა;
- მჭრელი და ბასრი საგნები;
- სამუშაო სივრცის არასაკმარისი განათება;
- ფიზიკური გადატვირთვა.



- 1.4. სიმაღლეზე დამოუკიდებლად სამუშაოდ დაიშვება პირი 18 წლის ასაკიდან, რომელსაც გააჩნია სათანადო ცოდნა და კომპეტენცია, ამასთან ხელს უწყობს ჯანმრთელობა და არ აქვს უკუჩვენებები სამუშაოს შესასრულებლად, გავლილი აქვს ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების დაცვის შესახებ, ასევე გაიარა სწავლება და სტაჟირება შესასრულებელი სამუშაოების თაობაზე.

- 1.5. დასაქმებულები, რომლებიც პირველად ადიან მალევე სამუშაოებზე ვალდებული არიან იმუშაონ გამოცდილი თანამშრომლის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ,

- 1.6. დასაქმებული, რომელიც დაიშვება სიმაღლეზე სამუშაოებზე ვალდებულია:

შეასრულოს მხოლოდ ის სამუშაო, რომელიც განსაზღვრულია სამუშაო ან თანამდებრობივი ინსტრუქციით;

- შეასრულოს შიდა განაწესით განსაზღვრული მოთხოვნები;
- დანიშნულებისამებრ გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- დაიცვას შრომის უსაფრთხოებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- დაუყონებლივ შეატყობინოს თავის უშუალო ან ზემდგომ ხელმძღვანელს იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან სხვა პიროვნების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, მომხდარი ყოველი უბედური შემთხვევის, თავისი ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ;
- გაიაროს სწავლება სამუშაოების შესრულების უსაფრთხო მეთოდების და პირველადი დახმარების აღმოჩენის თაობაზე;
- გაიაროს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- იცოდეს ხანძრის ქრობის საშუალებების გამოყენება;
- შეეძლოს პირველადი დახმარების აღმოჩენა.

- 1.7. აკრძალულია სიმაღლეზე მუშაობა ჰაერის მაღალი და ძალიან დაბალი ტემპერატურის დროს; ძლიერი ყინვის შემთხვევაში; ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის დროს.
- 1.8. ტრამვის მიღებისა და თავის შეუძლოდ გრძნობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამუშაო, შეატყობინოს უშუალო უფროსს და მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას;
- 1.9. აღნიშნული ინსტრუქციის შეუსრულებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება დასაქმებულს.

2. მოთხოვნები სამუშაოს დაწყების წინ

2.1. სიმაღლეზე მუშაობის დაწყების წინ შესასრულებელი უსაფრთხოების წესები

- 2.1.1. სამუშაოს დაწყების წინ დასაქმებული ვალდებულია დაათვალიეროს სამუშაო ადგილი, მოაწესრიგოს იგი. გაათავისუფლოს ზედმეტი ნივთებისაგან, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საქმიანობის დროს;
- 2.1.2. სამუშაოს დაწყების წინ დასაქმებული ვალდებულია დაათვალიეროს აღჭურვილობა, დამხმარე მოწყობილობები, რომლის გამოყენებასაც აპირებს და დარწმუნდეს მათ გამართულ მუშაობაში, ასევე შეამოწმოს გადასატანი კიბე ხარაჩო;
- 2.1.3. სამუშაოს დაწყების წინ შეამოწმოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები
- 2.1.4. დასაქმებული ვალდებულია იცოდეს სამუშაო ადგილის მოწყობის ძირითადი მოთხოვნები

2.2. მოთხოვნები გადასატანი კიბეების მიმართ.

- 2.2.1. გადასატანი კიბეები დამზადებული უნდა იყოს გამძლე მასალისგან, უნდა მიმდინარეობდეს მათი სწორი მოვლა/ექსპლუატაცია და გამოიყენებოდეს დანიშნულებისამებრ.
- 2.2.2. აკრძალულია ისეთი გადასატანი კიბეების გამოყენება, რომლებსაც აკლია საფეხურ(ებ)ი ან აღენიშნებათ სხვა რაიმე დეფექტი.
- 2.2.3. საფეხურები ჩასმული უნდა იყოს ძელებში არსებულ შესაბამის (ამისთვის განკუთვნილ) ღრმულებში და უნდა იყოს კარგად დამაგრებული. ამ პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება ლითონისაგან დამზადებულ კიბეებზე.
- 2.2.4. საფეხურებს შორის დაშორება არ უნდა აღემატებოდეს 30 სმ-ს.
- 2.2.5. ოთხ მეტრზე გრძელი გადასატანი კიბე დამზადებული უნდა იყოს მყარი ლითონის მასალისგან.
- 2.2.6. კიბის ზედა ნაწილი (როდესაც კიბე ვერტიკალურ ან დახრილ მდგომარეობაშია) მიმაგრებული უნდა იყოს იმ ადგილზე, რომელსაც ის ეყრდნობა. თუ კიბის ზედა ნაწილის უსაფრთხოდ მიმაგრება შეუძლებელია, მაშინ ის სამუშაო ზედაპირზე მყარად უნდა დამაგრდეს. თუ კიბის ზედა და ქვედა ნაწილების დამაგრება ვერ ხერხდება, მაშინ ნიადაგზე/იატაკზე უნდა იდგეს ადამიანი, რომელიც აღკვეთს კიბის დაცურებას. კიბე მყარ ნიადაგსა და ზედაპირზე უნდა დადგეს და გამაგრდეს იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი ზედმეტი რხევა ან გაღუნვა.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- 2.2.7. იმ შემთხვევაში, თუ კიბის საფეხური გამოიყენება სამუშაო ადგილად, კიბის საფეხური მინიმუმ ერთი მეტრით უნდა იყოს დაშორებული ბოლო საყრდენი წერტილიდან.
- 2.2.8. კიბეს უნდა გააჩნდეს ვერტიკალური ღერძები და საფეხურები, რომლებიც არ უნდა იყოს დაზიანებული. კიბის საყრდენი უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში.
- 2.2.9. აკრძალულია არაქარხნული წესით, კუსტარულად დამზადებული კიბეების გამოყენება.
- 2.2.10. კიბე უნდა დაიდგას სათანადო კუთხით, სიმაღლის შესაბამისად, ხოლო კიბის ქვედა სადგამი კედლიდან გამოწეული უნდა იყოს კიბის სიმაღლის $\frac{1}{4}$ -ის მანძილით.
- 2.2.11. აკრძალულია კიბეზე ერთზე მეტი ადამიანის ასვლა. დასაქმებულს კიბესთან უნდა ჰქონდეს სამწერტილოვანი კონტაქტი.
- 2.2.12. კიბის დადგმის ადგილი სწორად უნდა იქნეს შერჩეული და, საჭიროების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშნებით.
- 2.2.13. მისასვლელ არეს კიბე უნდა აცდეს არანაკლებ ორი საფეხურით.
- 2.2.14. ღია ელექტროსადენებთან სიახლოვეს გამოყენებულ უნდა იქნეს მშრალი, დიელექტრიკული კიბეები.

გადასადგილებელი კიბე ხარაჩო

კიბე ხარაჩო გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სამუშაოების შესასრულებლად სადაც სამუშაოს შემსრულებელი ვერ წვდება კონკრეტულ სიმაღლეს და საჭიროებს დამატებით მოწყობილობას.



2.3. მოთხოვნები სამუშაოს დაწყებამდე:

- 2.3.1. კიბე ხარაჩოს მოხმარების დაწყების წინ საჭიროა მისი ნაწილების დათვალიერება, იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება ნაწილის მექანიკური დაზიანება, მისი გამოყენება აკრძალულია.
- 2.3.2. კიბე ხარაჩო უნდა იყოს მყარად დაყენებული სწორ ზედაპირზე ისე, რომ გამოირიცხოს მისი რყევა ექსპლუატაციის პერიოდში.
- 2.3.3. კიბე ხარაჩო წარმოადგენს სიმაღლეზე სამუშაოების ჩასატარებელ საშუალებას, მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით.
- 2.3.4. აკრძალულია კიბე ხარაჩოს არამიზნობრივად გამოყენება
- 2.3.5. საფრთხის შემცველი ფაქტორები:
 - დასაქმებულის სიმაღლიდან შესაძლო ვარდნა.
 - სიმაღლიდან სხვადასხვა საგნის ჩამოვარდნა და დასაქმებულის დამხმარეზე დცემა.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- წვეტიანი და ბასრ საგნებთან კონტაქტი.
- დაუმაგრებელი კიბე ხარაჩოს უეცარი დაგორება.

- 2.3.6. შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე უნდა აღიჭურვოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დარტყმაგამძლე ფეხსაცმელი, ამრეკლი ჟილეტი, თავის დამცავი ჩაფხუტი)
- 2.3.7. ტანსაცმელი არ უნდა იყოს დახეული, სახელოები უნდა იყოს შეკრული, ფეხსაცმლის თასმები კარგად შეკრული, ისე რომ თასმები არ იყოს გადმოკიდებული.
- 2.3.8. ჯიბეებში არ უნდა გეწყოთ ბასრი და მჭრელი საგნები.
- 2.3.9. შეამოწმეთ ფიქსატორები, რომლებიც მუშაობის პროცესში დაგორებას გამოიწვევენ.
- 2.3.10. შეამოწმეთ საფეხურების, გადაბმების საიმედოობა, საფეხურები არ უნდა იყოს დეფორმირებული.
- 2.3.11. შეამოწმეთ ბორბლები, რომლებიც თავისუფლად უნდა ტრიალებდნენ
- 2.3.12. აკრძალულია დაზიანებული კიბე ხარაჩოს გამოყენება. ყველანაირი დეფექტის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოთ უშუალო უფროსს
- 2.3.13. სანამ მუშაობას შეუდგებით, საჭიროა კიბე ხარაჩოს მყარად დაფიქსირება ზედაპირზე, ისე, რომ გამოირიცხოს მისი დაგორება ან გადაყირავება
- 2.3.14. კარგად დაათვალიერეთ სამუშაო არეალი, უნდა გამოირიცხოს ელექტროკაბელებთან კონტაქტი
- 2.3.15. კიბის საფეხურები არ უნდა იყოს სველი, ნამიანი, ზეთიანი და ა.შ.
- 2.3.16. სამუშაოს დაწყება წებადართულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდება მოსამზადებელი სამუშაოები და ყველა დამაბრკოლებელი გარემოება გამოირიცხება.

2.4. მოთხოვნები მუშაობის პროცესში

- 2.4.1. სამუშაოს შესრულებისას უნდა იყოთ მაქსიმალურად კონცენტრირებული შესასრულებელ სამუშაოზე
- 2.4.2. არ დააყენოთ კიბე ხარაჩო გადასასვლელებში, კარებში, სადარბაზოებში ან ნებისმიერ ადგილას, სადაც ისინი შეიძლება გადაგორდეს
- 2.4.3. მოერიდეთ კიბე ხარაჩოს დაყენებას ნებისმიერი ტიპის სატრანსპორტო საშუალების სიახლოვეს
- 2.4.4. კიბე ხარაჩოს გადაადგილებამდე გაათავისუფლეთ ხელსაწყოებისგან და აღჭურვილობისგან
- 2.4.5. ყოველთვის გამოიყენეთ საფეხურის მუხრუჭები/საკეტი,
- 2.4.6. კიბე ხარაჩო განათავსეთ სამუშაო არეალთან მაქსიმალურად ახლოს.
- 2.4.7. კიბე ხარაჩოზე ასვლა უნდა მოხდეს სახით კიბისკენ, სამწერტილოვანი კონტაქტის
- 2.4.8. არ დადგეთ მოაჯირებზე
- 2.4.9. არავითარ შემთხვევაში არ გადაადგილოთ კიბე, თუ მასზე იმყოფება ადამიანი
- 2.4.10. არასდროს დადგეთ ერთი ფეხით კიბეზე, ხოლო მეორეთი სხვა საგანზე (მაგ. თარო, სტელაჟი, ყუთი და ა.შ.)



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- 2.4.11. როდესაც დგახართ კიბის პლატფორმაზე არ შეეცადოთ მოიპოვოთ დამატებითი სიმაღლე ყუთებზე ან სხვა საგნებზე დგომით
- 2.4.12. პროდუქციის და ნივთების დალაგების/გადმოღების პროცესში აკრძალულია გადახრა და ძნელადმისაწვდომი ნივთის/პროდუქციის აღება/დადება
- 2.4.13. აკრძალულია ერთზე მეტი ადამიანის ყოფნა კიბე ხარაჩოს საფეხურებზე
- 2.4.14. აკრძალულია რაიმე ნივთის ან ინსტრუმენტის დატოვება/ჩამოკიდება კიბე ხარაჩოზე
- 2.4.15. კიბე ხარაჩო გადაგორებისას არ უნდა გამოედოს სტელაჟებს და თაროებს
- 2.4.16. სტელაჟებიდან და თაროებიდან პროდუქციის დალაგებისას/გადმოტანისას უნდა იყოთ მაქსიმალურად ყურადღებით.
- 2.4.17. პროდუქცია ისე უნდა განლაგდეს თაროზე, რომ არ მოხდეს მისი ჩამოვარდნა, ასევე ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა ნივთის ადვილად ხელმისაწვდომობას.
- 2.4.18. ჩამოსვლისას იყავით ყურადღებით, აუცილებელია მოაჯირზე ხელის მოკიდება

2.5. მოქმედებები საგანგებო და ავარიულ სიტუაციებში

- 2.5.1. საგანგებო და ავარიულ სიტუაციებში ატყობინებთ გარშემომყოფ პირებს, უშუალო ხელმძღვანელს და მოქმედებთ საგანგებო სიტუაციების გეგმის მიხედვით.

2.6. სამუშაოს დასრულებისას

- 2.6.1. გადაიტანეთ კიბე ხარაჩო მისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე
- 2.6.2. გაწმინდეთ დაბინძურებული საფეხურები, მოაჯირები
- 2.6.3. საფუძვლიანად დაიბანეთ ხელი საპნითა და წყლით.
- 2.6.4. ნებისმიერი გაუმართაობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ უშუალო უფროსს.



შრომის უსაფრთხოების სამსახური



მანქანა დანადგარებთან მუშაობის წესი



შრომის უსაფრთხოების სამსახური

წინამდებარე ცნობარი სტანდარტული ფორმით მოიცავს იმ საფრთხეების ჩამონათვალს, რომლებთანაც შეხება შეიძლება ჰქონდეს მანქანა-დანადგარებთან მომუშავეს მისი ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის დროს. წინამდებარე ცნობარი წარმოადგენს ინფორმაციის და არა რეკომენდაციის წყაროს.

დაზიანებებისა და დაავადებების გამომწვევი მიზეზების ცოდნის გათვალისწინებით, უფრო მარტივია სათანადო ზომების შემუშავება და გატარება პრევენციისთვის.

დანადგარებთან მომუშავე

მუშაკი, რომელიც მუშაობს მანქანა-დანადგართან.

სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეები

მუშაკმა, რომელიც მუშაობს მანქანა-დანადგართან შეიძლება მიიღოს მექანიკური დაზიანება, მოტეხილობა, დამწვრობა, შეექმნას სასუნთქი გზების პრობლემები ან ადგილო ჰქონდეს ინტოქსიკაციას.

მანქანა-დანადგართან დასაქმებული პირი იმყოფება ხელის ფიზიკური დაზიანების საფრთხის ქვეშ.

მისი სამუშაო ხშირად მოიცავს არაკომფორტულ სამუშაო პოზიციებს, მუდმივად განმეორებად მოძრაობებს, რაც შეიძლება გახდეს ფიზიკური ტრავმების და გარკვეული დროის განმავლობაში – ზურგის, ხელის და მკლავების ტკივილის მიზეზი.



**შრომის უსაფრთხოების სამსახური
სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეები**

შემთხვევითი საფრთხეები 	ინსტრუმენტებით და იარაღებით გამოწვეული გაჭრები და დაზიანებები	
	დამწვრობები გამოწვეული მოწყობილობების ცხელი ნაწილებით	
	ელექტრული ტრამვები, გამოწვეული უხარისხო მონტაჟით ან ხელსაწყოებით	
ფიზიკური საფრთხეები	ხელის გაჭრა – არასწორი პროცედურების შემთხვევაში	
ერგონომიკური, ფსიქოლოგიური და ორგანიზაციული ფაქტორები	განმეორებადი დაძაბულობის დაზიანება და სხვა ძვალ-კუნთოვანი პრობლემები, რომელიც გამოწვეულია განმეორებითი მოძრაობებით, გადამეტებული დაძაბულობით, უხერხულ პოზაში მუშაობით	
	ფსიქოლოგიური სტრესი, რომელიც გამოწვეულია სამუშაოთი უკმაყოფილობით მოწყენილობის, მონოტონურობის, დაბალი ხელფასის, მეწყვილესთან ან ზემდგომთან პრობლემებით.	

პრევენციული ღონისძიებები

	შეისწავლეთ ყველა რეკომენდირებული უსაფრთხოების ზომები.
	გამოიყენეთ საიზოლაციო ხელთათმანები. ატარეთ სახისა და თვალის დამცავები, რესპირატორი, გაითვალისწინე ავარიული ღონისძიებები და საგანგებო სიტუაციების მართვის პროცედურები.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

	წინასწარ შეამოწმე სამუშაო გარემო და შეაფასე არსებული რისკები.
	დარწმუნდით, რომ ძირითადი და ლოკალური გამწოვი სისტემა მუშა მდგომარეობაშია.
	დარწმუნდით რომ სამუშაო ადგილას არის საკმარისი ცენტრალური და ლოკალური განათება.
	დაათვალიერეთ მოწყობილობა და დარწმუნდით, რომ მასზე არ შეინიშნება რაიმე სახის გარეგანი დაზიანებები.

განმარტება და/ან აღწერა

1. მუშაობაში შესვენების დროს, ან ხელსაწყო სხვა ადგილას გადატანისას იგი ელ. ქსელიდან აუცილებლად უნდა გამოირთოს.
2. ელექტრო ინსტრუმენტის კაბელი უნდა იყოს დაცული შემთხვევითი დაზიანებისაგან, აგრეთვე ცხელი, სველი და ზეთიანი ნივთიერებების შეხებისგან. ყურადღება უნდა მიექცეს ხელსაწყო კაბელებს, რათ მუშაობის დროს არ მოხდეს მათი გაკვეთა ან რაიმე სახის დაზიანება, რამაც შეიძლება მოკლე ჩართვა და მომუშავის დაზიანება გამოიწვიოს.
3. ელ. ინსტრუმენტთან შემავეალი კაბელი უნდა იყოს დაცული გაცვეთისა და გადაღუნვებისაგან იზოლირებული მასალისაგან დამზადებული ელასტიური მილით. მილი დამაგრებული უნდა იყოს ინსტრუმენტის კორპუსის დეტალებზე და გამოშვებული კორპუსიდან არა ნაკლებ 5 სმ-ის მანძილზე. მილის გარეშე კაბელის მიერთება ინსტრუმენტთან აკრძალულია.
4. მუშაობის დროს გამოყენებული იქნას შესაბამისი ხელთათმანები და მშრალი ფიცარნაგი.
5. მანქანა-დანადგართან მუშაობისას ოთახში უნდა იყოს როგორც სათანადო სავენტილაციო სისტემა, აგრეთვე ლოკალური გამწოვი სისტემა.
6. მანქანა-დანადგართან სამუშაო ოთახში უნდა იყოს როგორც ცენტრალური ასევე ლოკალური სათანადო განათება.
7. დასაქმებული უნდა იყენებდეს შესაბამის რესპირატორს, სათვალეს და წინსაფარს.
8. ჩართული ინსტრუმენტის უმეტესაღყურეოდ დატოვება, ან მისი სხვა პირისთვის გადაცემა, ვისაც ნებართვა დაგამოცდილებ არა აქვს, აკრძალულია.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

9. ინსტრუმენტით მუშაობა აკრძალულია თუ:

- ✚ დაზიანებულია ელ. როზეტთან მიერთება, კაბელი ან დამცავი მილი; ამომრთველი მუშაობს
- ✚ არათანაბრად;
- ✚ კვამლის, ან სუნის გაჩენის დროს, რომელიც დამახასიათებელია იზოლაციის წვისას; კორპუსის დეტალზე, სახელურზე,
- ✚ ნაპრალის გაჩენის ან გატეხვის შემთხვევაში.





შრომის უსაფრთხოების სამსახური



შრომის უსაფრთხოება შეფ
მზარეულისათვის



შრომის უსაფრთხოების სამსახური

1. უსაფრთხოების საერთო მოთხოვნები

1.1. მზარეულის მოვალეობის შესასრულებლად დაიშვებიან პირები რომელმაც შეუსრულდათ 18 წელი, გავლილი აქვთ სამედიცინო შემოწმება და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხო მეთოდებზე.

1.2. შრომის უსაფრთხო მეთოდების ვალდებულებებში შედის.

- კონტროლი, წესები და სანიტარული ნორმების დაცვა სამუშაოს შესრულებისას სამზარეულოში და სასადილოში.
- უსაფრთხოების ტექნიკის და შრომის დაცვა.
- შემუშავება და კონტროლი უსაფრთხო მუშაობისთვის.
- დანადგარების, სამზარეულო ინვენტარის ტექნიკური აღჭურვილობის დაწყობა სანიტარული ნორმების დაცვით
- სამზარეულოს, სასადილოს, საწყობების სანიტარული მდგომარეობის დაჭერა დაკონტროლი.
- შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარულ ეპიდემიოლოგიური ნორმებით სამზარეულოს ინვენტარის

2. უსაფრთხოების მოთხოვნა სამუშაოს დაწყების წინ.

2.1. სწორად ჩაიცვან სამუშაო სპეც ტანსაცმელი, თმები დამალოს ქუდის ან სხვა სპეცთავსაბურავის ქვეშ.

ტანსაცმლის სამაჯურები შეიკრას ან აიკოტავოს იდაყვამდე. ტანსაცმელზე/ტანსაცმელში არ ატაროს ნემსები, ქინძისთავები, ჯიბეებში არ ატარონ მინა და სხვა მტკრევადი, მჭრელი საგნები.

2.2. აუცილებლად შეამოწმოს სისუფთავე და გამართულობა სამზარეულო ინვენტარის და მისი მარკირების

2.3. ემალირებული ჭურჭლის მთლიანობაში, ჭურჭლის მთლიანობაში (არ უნდა იყოს გაზარეული, ჩამოტეხილი კიდეები.

2.4. ჩართოს ვენტილირება.

3. უსაფრთხოების წესები მუშაობის დროს.

3.1. მუშაობის დროს დაიცვას უსაფრთხო შრომის მეთოდების ნორმები და სანიტარია.

3.2. თვალყური ადევნოს სამზარეულოს სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობას.

3.3. დაიცვას უსაფრთხოების ზომების მოთხოვნები ელექტრო დანადგარებთან, ელექტრო ინვენტართან მუშაობისას. ხორცის საკეპ, სლასერებთან დანებთან და სხვამჭრელ და მახვილ საგნებთან.

3.4. გააკონტროლოს დროულად ნარჩენების უტილიზაცია, სანიტარული ნორმების დაცვით.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

4. უსაფრთხოების ზომები ავარიული სიტუაციების დროს

- 4.1. ავარიული სიტუაციების დროს (ხანძარი, გათბობის სისტემის მილის დაზიანებისას, წყლის სისტემის, ელ.მოკლე ჩართვის დროს, საეჭვო ნივთების აღმოჩენისას და ა.შ.) დაუყოვნებლივ აცნობოს მენეჯმენტს. შემდგომ დაგვარად მიიღოს ლიკვიდაციის (ლოკალიზაციის) ზომები, შემუშავებული უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.
- 4.2. ტრამვირების შემთხვევაში (ჭრილობის, მოწამვლის, დამწვრობის) აღმოუჩინოთ პირველადი გადაუდებელი დახმარება, საჭიროების შემთხვევაში გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარება 112.


5. უსაფრთხოების წესები სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

- 5.1. სამუშაოს დამთავრების შემდეგ შევამოწმოთ სისუფთავე და ინვენტარის ვარგისიანობა.
- 5.2. გამოვრთოთ ყველა ელექტრო თუ გაზქურა.
- 5.3. გავწმინდოთ სამუშაო მაგიდები, ჭურჭელი, სამზარეულო ინვენტარი და გამწოვი.
- 5.4. გამოვიცვალოთ სპეც-ტანსაცმელი, დავიბანოთ ხელი საპნით.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის ტიპური ინსტრუქცია





შრომის უსაფრთხოების სამსახური

1. უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

1.1. პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის უფლება აქვთ პირებს, რომლებსაც გავლილი აქვთ უსაფრთხო სამუშაო მეთოდების, გაცნობითი ინსტრუქციის კურსი, პირველადი ინსტრუქცია სამუშაო ადგილზე.

1.2. პერსონალური კომპიუტერის მუშაობის დროს დასაქმებულზე შეიძლება გავლენა იქონიოს შემდეგი საშიში და მავნე წარმოების ფაქტორებმა:

- ელექტრომაგნიტური გამოსხივების გაზრდილი დონე;
- სტატიკური ელექტროენერგიის გაზრდილი დონე;
- შემცირებული ჰაერის იონიზაცია;
- სტატიკური ფიზიკური გადატვირთვა;
- ვიზუალური ანალიზატორების გადატვირთვა.

1.3. თანამშრომელი ვალდებულია:

1.3.1. შეასრულებდეს მხოლოდ ის სამუშაო, რომელიც განისაზღვრება მისი სამუშაოს აღწერით.

1.3.2. შეინახებდეს სამუშაო ადგილი სუფთა.

1.3.3. დაიცავდეს სამუშაო და დასვენების რეჟიმი სამუშაო საქმიანობის ხანგრძლივობის, ტიპისა და კატეგორიის მიხედვით (დანართი 1).

1.3.3. დაიცავდეს სახანძრო უსაფრთხოების ზომები.

1.4. კომპიუტერებთან სამუშაო სადგურები ისე უნდა განთავსდეს, რომ ერთი ვიდეო მონიტორის ეკრანიდან მეორის უკანა მხარეს მანძილი იყოს მინიმუმ 2.0 მ, ხოლო ვიდეო მონიტორების გვერდით ზედაპირებს შორის მანძილი მინიმუმ 1.2 მ.

1.5. სამუშაო ადგილები პერსონალური კომპიუტერებით სინათლის გახსნასთან დაკავშირებით უნდა განთავსდეს ისე, რომ ბუნებრივი სინათლე მოდის მხრიდან, ძირითადად მარცხნივ.

1.6. ფანჯრის ღიობები ოთახებში, სადაც პერსონალური კომპიუტერები გამოიყენება, აღჭურვილი უნდა იყოს რეგულირებადი მოწყობილობებით, როგორიცაა ჟალუზები, ფარდები, გარე ვიზორები და ა.შ.

1.7. სამუშაო ავეჯი კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებლებს უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- მაგიდის სამუშაო ზედაპირის სიმაღლე უნდა იყოს მორგებული 680 - 800 მმ ფარგლებში; ასეთი შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, მაგიდის სამუშაო ზედაპირის სიმაღლე უნდა იყოს 725 მმ;

- სამუშაო მაგიდას უნდა ჰქონდეს ფეხის ოთახი მინიმუმ 600 მმ სიმაღლით, სიღრმე მუხლის დონეზე მინიმუმ 450 მმ და გაფართოებული ფეხების დონეზე მინიმუმ 650 მმ.;

- სამუშაო სკამი (სავარძელი) უნდა იყოს ამწევი-მბრუნავი და რეგულირებადი სავარძლისა და საზურგეს დახრილობის სიმაღლეში და კუთხეებში, ასევე საზურგეს მანძილი სავარძლის წინა კიდიდან;

- სამუშაო ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს ფეხის საყრდენით, რომლის სიგანე მინიმუმ 300 მმ, სიღრმე მინიმუმ 400 მმ, სიმაღლის რეგულირება 150 მმ-მდე და სადგამის საყრდენი ზედაპირის დახრის კუთხე 20 გრადუსამდე; სადგამის ზედაპირი უნდა იყოს ღარიანი და ჰქონდეს 10 მმ სიმაღლის რგოლი წინა კიდეზე.;

- პერსონალური კომპიუტერის მქონე სამუშაო ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს დოკუმენტებისთვის ადვილად მოძრავი მაგიდით.

1.8. კომპიუტერების ოთახების აეროიონის ფაქტორის ნორმალიზაციისთვის აუცილებელია მოწყობილობების გამოყენება საჰაერო გარემოს იონური რეჟიმის ავტომატური რეგულირებისთვის (მაგალითად, MosCow-SA1 სტაბილიზაციის აეროიონიზატორი).

1.9. ორსულობის დროს და მუშეთი კვების დროს ქალებს არ აქვთ უფლება შეასრულონ ყველა სახის სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია კომპიუტერების გამოყენებასთან.

1.10. ამ ინსტრუქციის შეუსრულებლობის გამო, დამნაშავეები მართლმსაჯულების წინაშე წარდგებიან რუსეთის ფედერაციის შრომის კოდექსით განსაზღვრული შრომის შინაგანაწესის ან ჯარიმების შესაბამისად.

2. უსაფრთხოების მოთხოვნები მუშაობის დაწყებამდე

2.1. მოამზადეთ სამუშაო ადგილი.

2.2. შეცვალეთ განათება სამუშაო ადგილზე, დარწმუნდით, რომ ეკრანზე შუქი არ არის.

2.3. შეამოწმეთ აღჭურვილობის სწორი კავშირი ელექტრო ქსელთან.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

2.4.შეამოწმეთ ელექტრომომარაგების სადენების ექსპლუატაცია და სადენების შიშველი მონაკვეთების არარსებობა.

2.5.დარწმუნდით, რომ სისტემის ერთეული, მონიტორი და დამცავი ეკრანი დასაბუთებულია.

2.6.წაშალეთ მონიტორის ეკრანის ზედაპირი და დამცავი ეკრანი ანტისტატიკური ქსოვილით.

2.7.შეამოწმეთ მაგიდის, სკამის, ფეხის საყრდენის, მუსიკალური სტენდის, ეკრანის დახრის კუთხის, კლავიატურის პოზიციის, მაუსის პოზიციის სწორი ინსტალაცია სპეციალურ ხალიჩაზე, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალეთ სამუშაო მაგიდა და სკამი, ასევე კომპიუტერის ელემენტების ადგილმდებარეობა ერგონომიკის მოთხოვნების შესაბამისად და არასასიამოვნო პოზიციისა და სხეულის გახანგრძლივებული დამაბულობის თავიდან ასაცილებლად.

3. უსაფრთხოების მოთხოვნები ექსპლუატაციის დროს

3.1. კომპიუტერზე მუშაობისას თანამშრომელს ეკრძალება:

- შეეხეთ სისტემის ერთეულის უკანა პანელს (პროცესორი), როდესაც ძალა ჩართულია;
- გადართეთ პერიფერიული მოწყობილობების ინტერფეისის კაბელების კონექტორები, როდესაც ძალა ჩართულია;
- ნება ტენიანობის მისაღებად ზედაპირზე სისტემის ერთეული (პროცესორი), მონიტორი, კლავიატურის სამუშაო ზედაპირზე, დისკის დისკები, პრინტერები და სხვა მოწყობილობები;
- აღჭურვილობის დამოუკიდებელი გაკვეთის და შეკეთების ჩატარება;
- მუშაობა კომპიუტერი მოიცავს ამოღებულ;
- გათიშეთ აღჭურვილობა ელექტრომომარაგებიდან და გაიყვანეთ ელექტრო ჩანგალი, დაიჭირეთ კაბელი.

3.2. კომპიუტერთან უწყვეტი მუშაობის ხანგრძლივობა რეგულირებადი შესვენების გარეშე არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს.

3.3. რეგულირებადი შესვენების დროს, ნერვული და ემოციური დამაბულობის შესამცირებლად, ვიზუალური ანალიზატორის დაღლილობა, ჰიპოდინამიისა და ჰიპოკინეზიის გავლენის აღმოფხვრა და პოსტ-მატონიზირებელი დაღლილობის განვითარების თავიდან ასაცილებლად, სავარჯიშოების კომპლექტი.

4. უსაფრთხოების მოთხოვნები საგანგებო სიტუაციებში

4.1. In ყველა შემთხვევაში დენის კაბელი მსხვრევა, დამიწების mAlfunCtion და სხვა ზიანის, გამოჩენა იწვის, დაუყოვნებლივ გამორთეთ ძალა და ანგარიშს საგანგებო ხელმძღვანელი.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

4.2. არ დაიწყეთ მუშაობა პრობლემების მოგვარებამდე.

4.3. დაზიანების ან უეცარი ავადმყოფობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს ხელმძღვანელს, მოაწყვეთ პირველადი დახმარება ან გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება.

5. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დასრულების შემდეგ

5.1. მუშაობის ბოლოს გამორთეთ პერსონალური კომპიუტერი (ლექტოპი) და გამორთეთ ენერგია ელექტრო ქსელიდან გათიშვით.

5.2. ყურადღებით შეამოწმეთ სამუშაო ადგილი, განათავსეთ იგი წესრიგში. სწორად განათავსეთ მონიტორი, კლავიატურა და მაუსი.

5.3. დარწმუნდით, რომ დაცულია სახანძრო უსაფრთხოების წესები ოთახში,

5.4. განახორციელოს მეშვეობით სპეციალური ოთახი, ხოლო აფიქსირებს ფანჯრები limiters.

5.5. დაასუფთავეთ (გაწმინდეთ) პერსონალური კომპიუტერის (ლექტოპის) პლასტმასის ზედაპირები სპეციალური დატენიანებული ტილოებით ანტისტატიკური ეფექტით ან სუფთა ოდნავ ნესტიანი ქსოვილით, მონიტორის ეკრანი - სპეციალური ტილოებით.

5.6. კლავიატურის და მაუსის დეზინფექცია, განახორციელეთ ალკოჰოლზე დაფუძნებული ხსნარების ან ტილოების გამოყენებით, რომლებიც შეიცავს მინიმუმ 70% ალკოჰოლს.

5.7. დაიბანეთ ხელები საპნით.

5.8. აცნობეთ უშუალო ხელმძღვანელს მუშაობის დროს გამოვლენილი ხარვეზების შესახებ.

რეგულირებადი შესვენებების დრო დამოკიდებულია სამუშაო ცვლის ხანგრძლივობაზე, პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის ტიპსა და კატეგორიაზე

1. შრომითი საქმიანობის სახეები იყოფა 3 ჯგუფად: **A** ჯგუფი - მუშაობა კომპიუტერის ეკრანიდან ინფორმაციის წაკითხვაზე წინასწარი მოთხოვნით; **B** ჯგუფი - ინფორმაციის შეყვანაზე მუშაობა; **C** ჯგუფი - შემოქმედებითი მუშაობა კომპიუტერთან დიალოგის რეჟიმში. სამუშაო ცვლის დროს სხვადასხვა სახის სამუშაოსთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებისას, უნდა მიიღოთ ძირითადი სამუშაო კომპიუტერთან, რომელსაც სამუშაო ცვლის ან სამუშაო დღის განმავლობაში დროის მინიმუმ 50% სჭირდება.

2. შრომითი საქმიანობის ტიპებისთვის დადგენილია კომპიუტერთან მუშაობის სიმძიმისა და ინტენსივობის 3 კატეგორია, რომლებიც განისაზღვრება: **A** ჯგუფისთვის - ცვლაზე წაკითხული სიმბოლოების საერთო რაოდენობით (არაუმეტეს 60,000 სიმბოლო ცვლაზე); **B** ჯგუფისთვის - ცვლაზე წაკითხული ან შეყვანილი სიმბოლოების საერთო რაოდენობით (არაუმეტეს 40,000 სიმბოლო ცვლაზე); **B** ჯგუფისთვის - ცვლაზე კომპიუტერთან პირდაპირი მუშაობის საერთო დროის მიხედვით (არაუმეტეს 6 საათი ცვლაზე).



შრომის უსაფრთხოების სამსახური

3. 8-საათიანი ცვლისა და კომპიუტერზე მუშაობისას უნდა დაინიშნოს რეგულირებული შესვენებები:

- კატეგორიისთვის სამუშაო ცვლის დაწყებიდან 2 საათის შემდეგ და ლანჩის შესვენებიდან 2 საათის შემდეგ თითო 15 წუთის განმავლობაში;
- კატეგორიის სამუშაოსთვის სამუშაო ცვლის დაწყებიდან 2 საათის შემდეგ და ლანჩის შესვენებიდან 1.5-2.0 საათის შემდეგ 15 წუთის განმავლობაში თითოეული ან 10 წუთის შემდეგ ყოველი საათის მუშაობის შემდეგ;
- სამუშაოს III კატეგორიისთვის - სამუშაო ცვლის დაწყებიდან 1.5-2.0 საათის შემდეგ და ლანჩის შესვენებიდან 1.5-2.0 საათის შემდეგ 20 წუთი თითოეული ან 15 წუთის შემდეგ ყოველი საათის შემდეგ.

4. 12-საათიანი სამუშაო ცვლით, რეგულირებული შესვენებები უნდა დადგინდეს მუშაობის პირველ 8 საათში, 8-საათიანი სამუშაო ცვლით შესვენებების მსგავსად, ხოლო ბოლო 4 საათის განმავლობაში, სამუშაოს კატეგორიისა და ტიპის მიუხედავად, ყოველ საათში გრძელდება 15 წუთი.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

სამუშაო სახეობა	კომპიუტერთან მუშაობის ტიპების თითო ცვლაზე დატვირთვის დონე			რეგულირებული შესვენებების საერთო დრო, წუთ	
	ჯგუფი A სიმბოლოები ს რაოდენობა	ჯგუფი B სიმბოლოები ს რაოდენობა	ჯგუფი C საათი.	8 საათიან ი ცვლით	12 საათიან ი ცვლით
1.	20 000 მდე	15 000 მდე	2.0 მდე	30	70
2.	40 000 მდე	30 000 მდე	4.0 მდე	50	90
3.	60 000 მდე	40 000 მდე	6.0 მდე	70	120



შრომის უსაფრთხოების სამსახური



ნარჩენების მართვის ინსტრუქცია



პროფესიული საფრთხის ცნობარი

წინამდებარე ცნობარი სტანდარტული ფორმით მოიცავს საკანონმდებლო ნორმების მოთხოვნების მიხედვით იმ ნარჩენების მართვის საკითხებს, რომლებთანაც შეხება შეიძლება ჰქონდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალს სამუშაო პროცესის შესრულების დროს. წინამდებარე ცნობარი წარმოადგენს ინფორმაციის და არა რეკომენდაციის წყაროს. ორგანიზაციის პერსონალი ვალდებულია დაიცვას საკუთარი და სხვების ჯანმრთელობა და გარემო დაზიანებებისაგან გამომწვევი მიზეზების ცოდნის გათვალისწინებით, რაც აადვილებს სათანადო ზომების შემუშავება-გატარებას შემთხვევის და ინციდენტის პრევენციისთვის.

ტერმინთა განმარტება

- **ნარჩენები** - ნებისმიერი მასალა, ნივთიერება ან ნივთი რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს, ან ვალდებულია მოიშოროს
- **სახიფათო ნარჩენები** - ნარჩენები, რომლებიც ავლენენ ერთ ან მეტ სახიფათო თვისებას;
- **არასახიფათო ნარჩენები** - ნარჩენები, რომლებსაც არ მოიცავს „სახიფათო ნარჩენების“ განმარტება;
- **საწარმოო ნარჩენები** - სამშენებლო მასალების წარმოების პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ნარჩენი;
- **საყოფაცხოვრებო ნარჩენები** - საოფისე ფართებსა, პერსონალის სასადილოსა თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა სათავსებში წარმოქმნილი ნარჩენები, რომლებიც უშუალოდ არაა დაკავშირებული წარმოების პროცესთან;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- **ბიოდეგრადირებადი ნარჩენები** - ნებისმიერი სახის ნარჩენი, რომელიც ექვემდებარება ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, საკვების ნარჩენები, ქაღალდი, მუყაო და სხვა;
- **ტექნიკური ნარჩენები** - მანქანა-დანადგარების ტექ. მომსახურებისა და რემონტისას წარმოქმნილი ნარჩენები, რომლებიც საჭიროებს მართვის სპეციფიკური ზომებს (მაგ, ზეთები, დაზიანებული ნაწილები, აკუმულატორები და სხვა).

ნარჩენების კატეგორია

- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი;
 - ეკოლოგიურად საშიში ნარჩენი;
 - ტექნიკური ნარჩენი;
 - არასახიფათო ნარჩენი;
 - საკანალიზაციო და სხვა სახის დაბინძურებული ჩამავალი წყლები;
 - საწარმოო ნარჩენი წყალი მოიცავს ობიექტებში არსებულ ყველა სახის ნარჩენ წყალს, საკანალიზაციო წყლების გამოკლებით:
- მანქანების, დანადგარებისა და ტექნიკის რეცხვისას ნარჩენი წყალი;
- დალაგებისას წარმოქმნილი წყალი;
- აგრეგატების სათავსოებიდან, ჰაერის კონდიციონერების სისტემიდან, გასათბობი და სამაცივრე მოწყობილობებიდან წარმოშობილი ნარჩენი წყალი;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი - ჩვენი დაწესებულება არ აწარმოებს მყარი ნარჩენის აღდგენა/რეციკლირებას, ან ინსინერაციას. ორგანიზაცია აგროვებს ასეთი ტიპის ნარჩენს განცალკევებით განთავსებულ მეტალის თავსახურიან კონტეინერში და კონტრაქტის საფუძველზე გააქვს დასუფთავების მუნიციპალურ სამსახურს.

მყარი ნარჩენების მართვაში ორგანიზაცია გულისხმობს ნარჩენების სეგრეგაციას სამი ტიპის ნარჩენად:

- ქაღალდის და მუყაოს;
- პლასტმასის;
- შუშის ნარჩენებად.

ეკოლოგიურად საშიში ნარჩენი - ასეთი ნარჩენების სეგრეგაცია ხდება შემდეგ კატეგორიებად:

- ქიმიური ნივთიერებების ნარჩენები, როგორიცაა სადეზინფექციო-სარეცხი საშუალებები, დიელექტრიკული ქიმიური სითხე, რომელიც არ წარმოადგენს ცნობილ აგრესიულ ქიმიკატს, მაგრამ ტემპერატურული ზემოქმედების შედეგად გამოყოფს ადამიანისათვის საშიშ აირს;
- ქიმიური ნივთიერებები- ანტიფრიზი, გამხსნელები, ანტიკოროზიული სითხეები;
- ზემოაღნიშნული მასალების ცარიელი კონტეინერები;
- ლუმინესცენტური ნათურები, ვერცხლისწყლიანი თერმომეტრები;
- ქიმიური ნივთიერებები, რომელიც გამოიყენება მზა პროდუქტის დასამზადებლად და ახასიათებს გარემოზე კოროზიული ზემოქმედება;
- ტრანსპორტის და დანადგარების საპოხი მასალები, ჰიდრაულიკური ზეთები;
- თხევადი საწვავი;
- ელემენტები მართვის პულტების, სხვადასხვა ხელსაწყოების დამტენები;
- აზბესტმცველი მასალები;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- რადიაქტიული ნარჩენები.

ეკოლოგიურად საშიში ნარჩენების მართვის პროცედურა გულისხმობს მავნე ნარჩენების ცალკე მოგროვებას შესაბამისი მარკირებით და ლიცენზირებული კონტრაქტორის მიერ უნივერსიტეტის ტერიტორიიდან გატანას კონტრაქტით დადგენილი პერიოდულობით.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა **გარემოსდაცვითი პოლიტიკა**, რომელიც ავალდებულებს პერსონალს შეამციროს გარემოზე ზემოქმედება შემდეგი საშუალებებით:

- შეირჩეს ეკოლოგიურად უსაფრთხო მასალები;
- შესყიდვების დროს გათვალისწინებული იქნეს შესასყიდი მასალის შეფუთვის სახე;
- ყველა ქიმიურად აგრესიული ნარჩენი, რომელსაც მაღალი ზემოქმედება აქვს გარემოზე, შენახული იქნეს ჩაკეტილ სპეციალურ სათავსოში/კონტეინერში, რომლებიც მდებარეობს წინასწარ შერჩეულ ადგილას. განსაკუთრებით საშიში ნარჩენების კონტეინერი მარკირებული უნდა იყოს წარწერით ნარჩენის ტიპის შესაბამისად. ნარჩენები გაიგზავნოს სპეციალურ ნაგავსაყრელზე ლიცენზირებული კონტრაქტორის საშუალებით;
- ქიმიკატების ცარიელი ბალონები/კონტეინერები დაუბრუნდეს მომწოდებელს, ან გატანილი იქნეს ლიცენზირებული კონტრაქტორის მიერ;
- გამოყენებული ქიმიკატების MSDS-ები ხელმისაწვდომი უნდა იყოს პერსონალისთვის საჭიროების შემთხვევაში გამოყენებისათვის;
- ყველა ქიმიკატი უნდა ინახებოდეს ორიგინალურ შეფუთვაში;
- გამხსნელები, საოფისე ტექნიკის გამწმენდი სითხეები, კარტრიჯი - უნდა მოთავსდეს ნარჩენების კონტეინერში და გავიდეს საშიში ნარჩენების მართვის წესის შესაბამისად;
- მავნე ქიმიკატის შემცველი ნივთები: ლუმინესცენტური ნათურები, თერმომეტრები, პულტების და სხვა ხელსაწყოების ელემენტები გროვდება ნარჩენების კონტეინერში;
- მავნე ნარჩენების კონტეინერი უნდა განთავსდეს სასმელი წყლის, ადამიანებისა და ცხოველებისაგან მოშორებულ დაცულ ადგილზე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ქიმიკატის გაჟონვის, ან დაღვრის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს რეაგირების დადგენილი პროცედურა. ნარჩენების შენახვისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული:

- კონტეინერების კოროზია ან ცვეთა ამინდისა ან თვითონ ნარჩენისგან, ნარჩენის ყველა ტიპისთვის კონტეინერის სწორად შერჩევით.
- ქურდობა და დაზიანება მათი დაუცველ ტერიტორიაზე განთავსებით;

სახიფათო ნივთიერებების კლასიფიკაცია

H1	„ფეთქებადი“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შესაძლოა აფეთქდეს ცეცხლის ალის ზემოქმედებით, ან რომლებიც უფრო მგრძნობიარეა ხახუნის მიმართ, ვიდრე დინიტრობენზოლი.
----	--



შრომის უსაფრთხოების სამსახური

H2	„მჟანგავი“: ნივთიერებები/პრეპარატები, რომლებიც ავლენენ მაღალ ეგზოთერმულ რეაქციებს სხვა ნივთიერებებთან, კერძოდ კი აალებად ნივთიერებებთან ურთიერთქმედებისას.
H 3-A	ადვილად აალებადი თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც აალების ნიშნული 21°C-ზე ქვემოთ აქვთ (მათ შორის უკიდურესად აალებადი სითხეები), ან ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც ჰაერთან ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ურთიერთქმედებისას, ყოველგვარი ენერგიის გამოყენების გარეშე, შესაძლოა გაცხელდნენ და ცეცხლი გაუჩნდეთ ან მყარი ნივთიერებები ან პრეპარატები, რომლებსაც გააჩნიათ ცეცხლის გაჩენის მზაობა აალების წყაროსთან მცირე კონტაქტით და რომლებიც აგრძელებენ წვას ან შთანთქმას აალების წყაროს მოშორების შემდეგაც აირისებრი ნივთიერებები/პრეპარატები, რომლებიც ჰაერში აალებადია ჩვეულებრივი წნევის ქვეშ ან ნივთიერებები/პრეპარატები, რომლებიც წყალთან ან ნოტიო ჰაერთან ურთიერთქმედებისას გამოყოფენ ადვილად აალებად აირებს საშიში ოდენობით
H 3-B	„აალებადი“ - თხევადი ნივთიერებები და პრეპარატები, რომელთა აალების ნიშნული ტოლია ან მეტია 21 °C-ზე და ნაკლებია ან ტოლია 55 °C-სა.
H 4	„გამაღიზიანებელი“ – არა-კოროზიული ნივთიერებები ან პრეპარატები, რომლებმაც, კანთან ან ლორწოვან მემბრანასთან დაუყოვნებელი განგრძობადი ან განმეორებადი ურთიერთქმედებით შესაძლოა გამოიწვიონ ანთება.
H 5	„მაღნე“ – ნივთიერებები ან პრეპარატები, რომელთა შესუნთქვა, ჩაყლაპვა ან კანში შეღწევა ჯანმრთელობისათვის სარისკოა.
H 6	„ტოქსიური“ – ნივთიერებები და პრეპარატები (მათ შორის მეტად ტოქსიური ნივთიერებები და პრეპარატები), რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა ჯანმრთელობის სერიოზული, მკვეთრი ან ქრონიკული დაზიანება ან სიკვდილიც კი გამოიწვიოს.
H 7	„კანცეროგენული“ – ნივთიერებები/პრეპარატები, რომელთა შესუნთქვამ, ჩაყლაპვამ ან კანში შეღწევამ შესაძლოა გამოიწვიოს სიმსივნე, ან გაზარდოს მისი გაჩენის ალბათობა



შრომის უსაფრთხოების სამსახური

H 8	„კოროზიული“ – ნივთიერებები ან პრეპარატები, რომლებმაც შესაძლოა დაშალონ ცოცხალი ქსოვილი მასთან ურთიერთქმედებისას
H 9	ინფექციური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ ისეთ მიკროორგანიზმებს ან მათ ტოქსინებს, თუ ცნობილია ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანის ან სხვა ცოცხალი ორგანიზმის დაავადება
H 10	ტოქსიური რეპროდუქციისთვის“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის, ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შესაძლოა გამოიწვიონ არა-მემკვიდრეობითი თანდაყოლილი პათოლოგიები ან გაზარდონ ასეთის განვითარების ალბათობა.
H 11	მუტაგენური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებმაც შესუნთქვის ან ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვიონ მემკვიდრეობითი გენეტიკური დეფექტები ან გაზარდონ მათი განვითარების შესაძლებლობა
H 12	ნარჩენები, რომლებიც გამოყოფენ ტოქსიურ ან მეტად ტოქსიურ აირებს წყალთან, ჰაერთან ან მჟავასთან კონტაქტისას.
H 13	სენსიბილური“ – ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებსაც ჩაყლაპვის ან კანში შეღწევის შემთხვევაში შეუძლიათ გამოიწვიონ ისეთი ჰიპერმგრძნობიარე რეაქცია, რომ ამ ნივთიერების ან პრეპარატის ხანგრძლივი ზემოქმედების შემთხვევაში, შესაძლოა განვითარდეს დამახასიათებელი უარყოფითი გავლენა.
H 14	ეკოტოქსიური“ – ნარჩენები, რომლებიც წარმოადგენენ ან შესაძლოა წარმოადგენდნენ დაუყოვნებელ ან განგრძობად რისკს გარემოს ერთი ან რამდენიმე სექტორისათვის
H 15	ნარჩენები, რომლებსაც განთავსების შემდეგ შეუძლიათ გამოყოფნა სხვა ნივთიერება, მაგ. გამონაჟონი, რომელსაც აქვს ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე თვისება.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

სახიფათო ტვირთის საშიშროების ნიშნების ნიმუშები

ნიშნის N	საშიშროების კლასი	ნიშნის ნიმუში	სიმბოლო	ფონი	წარწერა
1	საშიშროების კლასი 1 ფეთქებადი ნივთიერებები	 ქვეკლასი 1.1, 1.2, 1.3	ფეთქებადი ბომბი – შავი	ნარინჯის- ფერი	ციფრი «1» – ქვედა კუთხეში, შავი ** ადგილი ქვეკლასის აღნიშვნისათვის ** ადგილი შეთავსებადობის ჯგუფის აღნიშვნისათვის
1.4			ციფრი «1,4» – შავი		



შრომის უსაფრთხოების სამსახური

		ქვეკლასი 1.4			
1.5		 ქვეკლასი 1.4	ციფრი «1,5» – შავი		
1.6		 ქვეკლასი 1.4	ციფრი «1,6» – შავი		
2.1	საშიშროების კლასი 2 აირები	 ადვილ-აალებადი	აღი – შავი ან თეთრი	წითელი	ციფრი «2» – ქვედა კუთხეში, შავი ან თეთრი
2.2			აირბალონი –	მწვანე	



შრომის უსაფრთხოების სამსახური

		არა-ალეზადი, არა-ტოქსიკური	შავი ან თეთრი		
2.3		 ტოქსიკური	თავის ქალა გადაჯვარედ ი-ნეზული ძვლებით – შავი	თეთრი	ციფრი «2» – ქვედა კუთხეში, შავი
3	საშიშროების კლასი 3 ადვილ აალეზადი სითხეები		ალი – შავი ან თეთრი	წითელი	ციფრი «3» – ქვედა კუთხეში, შავი ან თეთრი
4.1	საშიშროების კლასი 4 აალეზადი		ალი – შავი	თეთრი, შვიდი ვერტიკა- ლური	ციფრი «4» – ქვედა კუთხეში, შავი



შრომის უსაფრთხოების სამსახური

	მყარი ნივთიერებები	ადვილალუბადი მყარი ნივთიერებები		წითელი ზოლით	
4.2		 თვითაალებადი ნივთიერებები	ალი – შავი	ზედა ნახევარი თეთრი, ქვედა – წითელი	
4.3		 ნივთიერებები, რომლებიც წყალთან კონტაქტისას გამოყოფენ აალებად გაზებს	ალი – შავი ან თეთრი	ლურჯი	ციფრი «4» – ქვედა კუთხეში, შავი ან თეთრი
5.1	საშიშროების კლასი 5 მჟანგავი ნივთიერებები	 მჟანგავი	ალი წრებაზის ზემოთ – შავი	ყვითელი	ციფრი «5.1» – ქვედა კუთხეში



შრომის უსაფრთხოების სამსახური

	და ორგანული პეროქსიდები	ნივთიერებები			
5.2		 ორგანული პეროქსიდები			ციფრი «5.2» ქვედა კუთხეში, ნიშნის ქვედა ნახევარში შესაძლებელია წარწერა «ინფექციური ნივთიერება» ან/და «დაზიანების ან დაღვრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს»
6.1	საშიშროების კლასი 6 ტოქსიკური და ინფექციური ნივთიერებები	 ტოქსიკური ნივთიერებები	თავის ქალა გადაჯვარედ ი-ნებული ძვლებით – შავი	თეთრი	ციფრი «6» – ქვედა კუთხეში
6.2		 ნივთიერებები	წრებაზე დადებული სამი	თეთრი	



შრომის უსაფრთხოების სამსახური

		ინფექციური ნივთიერებები	ნახევარ- მთვარე – შავი		
7A	საშიშროების კლასი 7 რადიოაქტიუ რი ნივთიერებები და მასალები	 კატეგორია 1	სამყურა – შავი	თეთრი	ციფრი «7» ქვედა კუთხეში, ნიშნის ქვედა ნახევარში სავალდებულოა ტექსტი შავი ფერით: «RADIOACTIVE» (რადიოაქტიური) «CONTENTS.....» (შემცველობა.....) «ACTIVITY.....» (აქტიურობა.....)... სიტყვას «RADIOACTIVE» უნდა მოჰყვებოდეს ორი წითელი ვერტიკალური ზოლი...
7B		 კატეგორია 2		ზედა ნახევარი ყვითელი თეთრი ქობით,	ციფრი «7» ქვედა კუთხეში, ნიშნის ქვედა ნახევარში სავალდებულოა ტექსტი შავი ფერით: «RADIOACTIVE» (რადიოაქტიური) «CONTENTS.....» (შემცველობა.....) «ACTIVITY.....» (აქტიურობა.....)...



შრომის უსაფრთხოების სამსახური

				ქვედა – თეთრი	სიტყვას «RADIOACTIVE» უნ- და მოჰყვებოდეს ორი წითელი ვერტიკალური ზოლი...
--	--	--	--	------------------	--

შემცირება

ნარჩენების შემცირების შესაძლებლობები შემდეგია:

- ცელოფნისა და არაბიოდეგრადირებადი პარკების სრული ჩანაცვლება ბიოდეგრადირებადი შესაფუთი მასალით;
- ნარჩენების წარმოქმნისას მათი მოცულობის შესამცირებლად საჭიროა მცდელობა მათი ხელმეორედ გამოყენებისა ან გადამუშავებისა, სადაც კი ამის საშუალება არსებობს.
- მიწოდება გადამუშავების ადგილებზე. გადამუშავებადი ან ხელმეორედ გამოყენებადი ნარჩენების მაგალითებია: ქაღალდი, შუშა, პლასტმასის ბოთლები, პრინტერის კარტრიჯები და სხვა.

არ დაუშვათ გარემომცველი გარემოს ნებისმიერი სახით დაზიანება!

უზრუნველყავით ფლორის, ფაუნის, ბუნებრივი რესურსების, საკუთარი თავის და სხვების უსაფრთხოება!



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ნუ დაუშვებთ დაუდევრობის/შემთხვევითობის გამო გარემოს დაზიანებას!

ნარჩენების მართვის გეგმა

ნარჩენების ჩამონათვალი	მართვის (მოგროვება-გატანა) წესი	კონტრაქტი №	ნარჩენების შემცირების ღონისძიება	შენიშვნა



შრომის უსაფრთხოების სამსახური


--	--	--	--	--

წარმოქმნილი, დაგვივილი, გატანილი ნარჩენების აღრიცხვის ჟურნალი

თარიღი	სტატუსი/ადგილი	წარმოქმნილი ნარჩენი	დაგროვილი ნარჩენი	გატანილი ნარჩენი	ხელმოწერა/შენიშვნა



შრომის უსაფრთხოების სამსახური





შრომის უსაფრთხოების სამსახური



ინსტრუქტაჟი ოფისში
დასაქმებულთათვის



შრომის უსაფრთხოების სამსახური

აღნიშნული ინსტრუქტაჟი მოიცავს იმ საფრთხეების ჩამონათვალს, რომლებთანაც შეიძლება შეხება ჰქონდეთ ოფისში დასაქმებულებს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის შესრულების დროს. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ინფორმაციის და არა რეკომენდაციის წყაროს.

დაზიანებებისა და დაავადებების გამომწვევი მიზეზების ცოდნის გათვალისწინებით, უფრო მარტივია სათანადო ზომების შემუშავება და გატარება შემთხვევის და ინციდენტის პრევენციისთვის.

ტერმინთა განმარტება

ოფისის დასაქმებული - პირი, რომელიც სამუშაოს ასრულებს ოფისის პირობებში;

დასაქმებული - რომელიც მუშაობს ოფისში და მისი ქმედებები, ან გადაწყვეტილებები შეიძლება გახდეს საკუთარი, ან სხვა პირის ჯანმრთელობის დაზიანების მიზეზი.

სხვა პირი - პირი, რომელიც დამსაქმებლის ნებართვით ან სხვა ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სამუშაოს ან ახორციელებს საქმიანობას, აგრეთვე მიმწოდებელი, ვიზიტორი, საწარმოო/სამუშაო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი და სხვა;

საფრთხე - საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის (მანქანა-დანადგარების, მასალების, ნივთიერებების, სამუშაო მეთოდების, გარემო პირობების ან შრომის ორგანიზების) თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას;

სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეები

ინსტრუქციის მიზანია ოფისის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ისეთი საფრთხეების პრევენცია, როგორიცაა: ხანძარი, ბარიერები სამოძრაო გზებზე, ელექტროგაყვანილობა, ქიმიკატები, აალებადი და წვადი მასალების დაგროვება, კიბეზე დაცურება-წაქცევა, ფეხის წამოკვრა, ერგონომიკული და სხვა.

ოფისის პერსონალის სამუშაო ხშირად მოიცავს ფიზიკური ტრავმის საფრთხეს არაკომფორტულ სამუშაო პოზიციების გამო, მუდმივად განმეორებად/მონოტონურ მოძრაობებს, რაც შეიძლება გახდეს ფიზიკური ტრავმების და გარკვეული დროის განმავლობაში – ზურგის, ხელის და მკლავების ტკივილის მიზეზი.

ოფისის პირობებში მუშაობის დროს უნდა დაიცვა შემდეგი მარტივი წესები:

- იყავი ყურადღებით გადაადგილების დროს;
- საშიშია მოძრაობის დროს კითხვა;
- თუ არ იცი, ნუ დაიწყებ ელექტრომოწყობილობის შეკეთებას უნებართვოდ. აცნობე პასუხისმგებელ პირს;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

• სიგარეტის მოწვევაკრძალულია შენობაში ყველგან და ნებადართულია მხოლოდ ამისთვის განკუთვნილ ადგილზე.
დარწმუნდი, რომ კარგად ჩააქრეთ ასანთი, სიგარეტი და ა.შ.

- სასტიკად აკრძალულია ნარკოტიკის და ალკოჰოლიანი სასმელის შეტანა ოფისში. ასევე, აკრძალულია ნარკოტიკის დააღოკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პიროვნების ოფისის ტერიტორიაზე ყოფნა;
- არ გადაადგილო ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები ოფისის ტერიტორიაზე, თუ ამის აუცილებლობა არ არსებობს;
- ყურადღებით გაეცანი და შეისწავლე ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო პროცედურები, იცოდე, სად არის უახლოესისაგანგაშო სისტემა, სად არის უახლოესი სახანძრო გასასვლელი, როგორ უნდა მოხდეს ოფისის ევაკუაცია;
- ისწავლე ცეცხლმაქრის გამოყენების წესები;
- განგაშის შემთხვევაში არ ჩავარდე პანიკაში, არ დაიწყო ზედმეტი მოძრაობები და სირბილი, შეინარჩუნე სიმშვიდე, ეცადე გამორთო ძირითადი ელექტროხაზი, არ დაიწყო პირადი და ოფისის ნივთების გამოტანა, დახურე კარები და ფანჯრები და მოიქეცი კედელზე გაკრული ინსტრუქციის შესაბამისად - სასწრაფოდ დატოვე შენობა და გაეშურეთ თავშეყრის ადგილზე;
- კიბეზე მოძრაობისას, განსაკუთრებით ქვემოთ ჩასვლისას, აუცილებლად დაეყრდენი კიბის მოაჯირს;
- არასოდეს დატოვო ნივთები კიბის საფეხურებზე;
- არ იქნაო სამუშაო/საოფისე სკამზე;
- არ გათალო ფანქარი რაიმე ბასრი საშუალებით, გარდა სპეციალური ფანქრის სათლელისა;
- გამოიყენე ქაღალდის ანტისტეპლერი დამაგრებული ქაღალდების გახსნისთვის, გაუფრთხილდი თითებს;
- არასოდეს დატოვო იატაკზე დაგდებული წვეტიანი ნივთები, მასზე შეიძლება ვინმემ დააბიჯოს;
- თავი აარიდე მძიმე საგნების მაღალ თაროებზე შემოდებას;
- არასოდეს დატოვო მაგიდის კარები და უჯრები გამოღებული;
- არასოდეს ჩაყარო წვეტიანი და ბასრი ნივთები ქაღალდის სანაგვე ვედროებში, გახსოვდეს, რომ მათ ვიღაც ასუფთავებს;
- პრინტერების, ფაქსების და ქსეროქსების ქაღალდით შევსებისას, ან გასუფთავების დროს დარწმუნდი, რომ ისინი გათიშულნი არიან ელექტროქსელიდან;
- არ შედგე ბორბლებიან სკამებზე სიმაღლიდან ნივთების ჩამოსაღებად;
- ისეთი ნივთები, როგორიცაა საქაღალდე დანა, ჭიკარტები, სტეპლერები, მაკრატელი - შეინახე უსაფრთხოდ;
- ოფისში გამოყენებული ქიმიკატების MSDS-ები ხელმისაწვდომი უნდა იყოს პერსონალისთვის საჭიროების შემთხვევაში გამოყენებისათვის
- ყველა ქიმიკატი უნდა ინახებოდეს ორიგინალურ შეფუთვაში
- ყურადღება მიაქციეთ გამხსნელებს, საოფისე ტექნიკის გამწმენდ სითხეებს, კორექტორს, კარტრიჯის ტონერს. ეს უკანასკნელი შეიცავს კარბონს, რომელიც ელექტროგამტარია, ამიტომ კარტრიჯის გამოცვლისას ყოველთვის გამორთე პრინტერი;
- აღრიცხე და აკონტროლე მავნე ქიმიკატის შემცველი ნივთები: ლუმინესცენტური ნათურები, თერმომეტრები, პულტების და სხვა ხელსაწყოების ელემენტები;
- გამოიყენე დადგენილი რეაგირების პროცედურა ქიმიკატის დაღვრის შემთხვევაში;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- სიფრთხილე დაიცავი ელექტროხელსაწყოებთან მუშაობის დროს, ყოველი დაზიანება მოახსენე ადმინისტრაციას, ან უსაფრთხოების სამსახურს;

- ყურადღება მიაქციე, რომ სისტემა არ გადაიტვირთოს ზედმეტი მოწყობილობების ჩართვით;
 - გადახურების შემთხვევაში სასწრაფოდ გამორთე ელექტროსისტემა და აცნობე ადმინისტრაციას;
 - ყოველთვის გამორთე არასაჭირო ელექტროხელსაწყოები ოფისიდან გასვლის წინ;
 - შეამოწმე ნივთის სიმძიმე აწევამდე და თუ არის შესაძლებლობა, მძიმე ნივთის აწევაში მიიხმარე ვინმე;
 - თუ დარწმუნებული ხარ, რომ მარტო გაართმევ თავს, ეცადე ტვირთი გადაანაწილო ორივე ხელში. თუ ეს არ ხერხდება, მაშინ მოიხმარე მუხლებში და ტვირთის აწევისას აწევის ძალა გადაანაწილე არა ზურგისკენ, არამედ ფეხებისაკენ;
 - დარწმუნდი, რომ ტვირთის ტარებისას ხედავ გზას;
 - მძიმე ნივთები მოათავსე დაბალ თაროებზე;
 - ყველა ნივთი მოათავსე თავის ადგილზე;
 - არ ჩახერგო გასასვლელები;
 - ნაგვის ურნები განათავსე უსაფრთხო ადგილზე, არ დაბლოკო სამოდრაო გზები;
 - აუცილებლად მოასუფთავე იატაკზე, ან კიბეზე დაღვრილი ჩაი, ყავა, ან სხვა სითხე, რომელიც შეიძლება გახდეს ფეხისგაცურების მიზეზი;
 - ყურადღება მიაქციე საგანგებო სიტუაციების მართვის ინსტრუქციას და მითითებულ ტელეფონის ნომრებს;
 - ვიზიტორის და/ან კონტრაქტორის ოფისში შემოსვლისას შეხვდი მისაღებში და მიაცილე დანიშნულების ადგილამდე;
 - არ დაუშვა მათი ქმედებები, რომელიც ეწინააღმდეგება თქვენს შიდა რეგლამენტებს;
 - გააცანი მათ უსაფრთხოების და ევაკუაციის პროცედურები და მოუწოდე ამ პროცედურების დაცვისკენ - ამით მოიგებს თქვენი უსაფრთხოება და იმიჯი;
 - **მიწისძვრის** შემთხვევაში პანიკის გარეშე სასწრაფოდ დატოვეთ შენობა;
 - თუ შენობის დატოვება შეუძლებელია, დადექით შენობის საყრდენ კედელში დატანებული კარის, ან ფანჯრის ღიობში. თუ იქ დადგომა შეუძლებელია, ან არასაიმედოა შენობის კედლები, თავი შეაფარეთ მაგიდის ქვეშ;
 - ეცადე, არ მოხვდე იმ ადგილებთან ახლოს, სადაც ინახება ფეთქებადი, მომწამლავი, ან აალებადი მასალები;
 - მოერიდე ელექტროგადამცემ ხაზებთან სიახლოვეს ან, მათ ქვეშ დგომას;
 - გახსოვდეს! ძლიერი მიწისძვრის დროს ბიძგები რამოდენიმეჯერ მეორდება. ყველაზე საშიში პერიოდია მიწისძვრიდან პირველი 2-3 საათი;
 - ნუ შეხვალთ და ნურც მიუახლოვდებით აშკარად დაზიანებულ შენობას.
- ოფისის ტერიტორიაზე უსაფრთხოების სამსახურის სწორი ქმედებებია:
- თუ ხედავ, რომ ვინმე თავისი ქმედებით ქმნის საშიშროებას, შეაჩერე და მიუთითე, რასაც არ უნდა აკეთებდე;
 - პერიოდულად შეამოწმე ოფისის უსაფრთხოების დონე და მიიღე მონაწილეობა დარღვევების აღმოფხვრაში;
 - უმჯობესია, დაიცვა სიფრთხილე, ვიდრე მოგიწიოს რეაგირების მოხდენა;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- იყავი სამაგალითო უსაფრთხოების წესების დაცვაში და მოახდინე პოზიტიური დამოკიდებულების დემონსტრირება უსაფრთხოების წესების დამცველთა მიმართ;

- მოახდინე სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული რისკების შეფასება;
- აკრძალე ოფისში ხანძარსაშიში და ფეთქებადი მასალების არსებობა;
- ერთდროულად რამოდენიმე ძლიერი ელექტრომოწყობილობის ელექტროქსელში ჩართვა;
- დაზიანებული ელექტროგაყვანილობით სარგებლობა;
- თვითნაკეთი/კუსტარული ხელსაწყოების გამოყენება.

ჩაერთე შემთხვევის გამოძიებაში და გააანალიზე გამომწვევი მიზეზები.

უსაფრთხოების ელემენტარული წესების ყოველდღიური დაცვა ხელს შეუწყობს ბიზნესის უსაფრთხოებას.

ოფისის სამუშაოსთან დაკავშირებული საფრთხეები

შემთხვევითი საფრთხეები 	ელექტრო შოკი, სიმალიდან ვარდნა, განსაკუთრებით გადასატან კიბეზე, ან სკამზე დგომისას / მუშაობისას
	ჩავარდნა, ფეხის წამოკვრა, დაცემა (განსაკუთრებით მძიმე ან მოცულობითი ტვირთის ტარებისას), ფეხის დასრიალება
	ინსტრუმენტებით, ბასრი საგნებით გამოწვეული გაჭრები და დაზიანებები
	დამწვრობები გამოწვეული ელექტრობით, ან ელ. მოწყობილობების ცხელი ნაწილებით
	ელექტრული ტრამვები, გამოწვეული უხარისხო მონტაჟით ან ხელსაწყოებით
მძიმე ტვირთების აწევით და გადატანით გამოწვეული საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის, ხერხემლის და კუნთების დაზიანება (მაგ. ზურგის)	
ფიზიკური საფრთხეები	ცხელი სითხის (ჩაი, ყავა, მდუღარე წყალი) გადასხმა, ცხელი სტრესის გავლენა
ერგონომიკური, ფსიქოლოგიური და ორგანიზაციული ფაქტორები	დაზიანება და სხვა საყრდენ მამოძრავებელი პრობლემები, რომელიც გამოწვეულია განმეორებითი/მონოტონური მოძრაობებით, გადამეტებული დამაბულობით, უხერხულ სამუშაო პოზაში მუშაობით
	ფსიქოლოგიური სტრესი, რომელიც გამოწვეულია სამუშაო უკმაყოფილებით მოწყენილობის, მონოტონურობის, დაბალი ხელფასის, მეწყვილესთან ან ზემდგომთან პრობლემებით.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

პრევენციული ღონისძიებები

- შეამოწმეთ კიბე გამოყენებამდე. არასდროს ახვიდეთ მორყეულ, ან სრიალა საფეხურიან კიბეზე.
- შეისწავლეთ ყველა რეკომენდირებული უსაფრთხოების ზომები, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
- გამოიყენეთ ცხელი ზედაპირის საიზოლაციო ხელთათმანები ცხელი ნივთების აღებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- გაითვალისწინეთ ავარიული ღონისძიებები და საგანგებო სიტუაციების მართვის პროცედურები.
- შეისწავლეთ და გამოიყენეთ უსაფრთხო აწევისა და მოძრაობის წესები მძიმე ან მოცულობითი ტვირთებისთვის. აწევაში დახმარებისთვის გამოიყენეთ სხვა დასაქმებული.
- წინასწარ შეამოწმეთ სამუშაო გარემო და შეაფასეთ არსებული რისკები.



პერსონალური დაცვის საშუალებები



1. ძირითადი განმარტებები

დამცავი საშუალებები: საშუალებები, რომლებიც უგულვებელყოფენ ან ამცირებენ საშიში და მავნე ფაქტორების ზემოქმედებას ერთ, ან რამდენიმე ადამიანზე, ეწოდება დამცავი საშუალებანი.

ელ. დამცავი საშუალებები: გადასატან ან გადასაზიდ საშუალებებს, რომლებიც იცავენ ელ. დანადგარებთან მომუშავე პერსონალს ელ. დენისაგან, ელ. რკალისაგან ან ელ. მაგნიტური ველისაგან, ეწოდებათ ელ. დამცავი საშუალებანი.

ძირითადი ელ. დამცავი საშუალებები. დამცავ საშუალებებს, რომელთაც იზოლაცია ხანგრძლივად უძლებს ელ. დანადგარების მუშა ძაბვას და რომლებიც საშუალებას გვაძლევს შევუდეთ ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებს, ეწოდება ძირითადი ელ. დამცავი საშუალებანი.

დამატებითი დამცავი საშუალებები: დამცავ საშუალებებს, რომლებიც ავსებენ ძირითად დამცავ საშუალებებს, აგრეთვე ემსახურებიან შეხებისა და ძაბვისგან დაცვას, თავისთავად არ შეუძლიათ უზრუნველყონ მოცემულ ძაბვაზე ელ. დენისაგან დაცვა და გამოიყენებიან მხოლოდ ძირითად დამცავ საშუალებებთან ერთად, ეწოდებათ დამატებითი დამცავი საშუალებანი.

ბიჯური ძაბვა: ძაბვას, რომელიც ჩნდება ერთ ნაბიჯზე დაცილებულ ორ წერტილს შორის ერთდროულად ორივე წერტილზე ადამიანის ფეხის შედგმით, ბიჯური ძაბვა ეწოდება.



2. დამცავი საშუალებების დანიშნულება და მოხმარების წესი

დამცავი საშუალებების მოხმარების წესების ცოდნა იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება პროფესიას, ან თანამდებობას, სავალდებულოა პერსონალისთვის, რომელიც ემსახურება დანადგარებს და ახორციელებს მათ ექსპლუატაციას.

აკრძალულია იმ დამცავი საშუალებების გამოყენება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ დამცავი საშუალებების მოხმარების წესებს.

დამცავი საშუალებები მათი მოხმარების მიხედვით იყოფა ორ კატეგორიად:

- ა) კოლექტური მოხმარების;
- ბ) ინდივიდუალური მოხმარების.

მუდმივი შემოღობვები, სტაციონალური დამამიწებელი დანები, ელ. დანადგარების კონსტრუქციები, რომლებიც ასრულებენ დაცვის ფუნქციებს დამცავ საშუალებებში არ შედის.

პირები, რომლებიც მიიღებენ დამცავ საშუალებებს ინდივიდუალური მოხმარებისთვის, პასუხისმგებელნი არიან მათ სწორ ექსპლუატაციასა და დროულად გადამოწმებაზე.

2. დამცავი საშუალებების შენახვის წესი

დამცავი საშუალებები აუცილებლად უნდა ინახებოდეს და გადაიზიდოს იმ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ გამართულობას, ხმარებისათვის



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ვარგისიანობას, დაცული იყონ ფიზიკური დაზიანების, დანესტიანებისა და დასვრისაგან.

დამცავი საშუალებანი უნდა ინახებოდეს დაკეტილ შენობაში. ექსპლოატაციაში მყოფი რეზინის დამცავი საშუალებები უნდა ინახებოდეს სპეციალურ კარადაში თაროებზე ან ყუთებში ინსტრუმენტებისგან განცალკევებით. ისინი დაცული უნდა იყვნენ იმ მავნე

ფაქტორების ზემოქმედებისგან, რომლებიც იწვევენ მათ დაშლას (ზეთისაგან, ბენზინისაგან ან მზის სხივების

მოქმედებისგან). რეზინის სათადარიგო დამცავი საშუალებანი უნდა ინახებოდეს მშრალ შენობაში $0^{\circ}-25^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე.

ექსპლოატაციაში მყოფი დამცავი საშუალებები განლაგებული უნდა იყოს სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, როგორც წესი შენობა-ნაგებობების შესასვლელსა და მართვის ფართან. იქვე უნდა არსებობდეს დამცავი საშუალებების ჩამონათვალი.

დამცავი საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია ინდივიდუალური ხმარებისა და ოპერატიული გამსვლელი ბრიგადისათვის, უნდა ინახებოდეს ყუთებში, ჩანთებში და შალითაში.

მაიზოლირებელი საშუალებები და მოწყობილობები, რომლებიც იხმარება ძაბვის ქვეშ სამუშაოდ, მიზანშეწონილია ინახებოდეს მშრალ გამჭოლ ოთახში. ღია ცის ქვეშ



შრომის უსაფრთხოების სამსახური

შენახვისას ან გადატანისას ისინი უნდა ინახებოდეს შალითებში. ხმარების წინ უნდა გაიწმინდოს მშრალი ჩვრით, არ უნდა დავუშვათ მათი დანესტიანება, ასეთ შემთხვევაში უნდა გაშრეს და გადამოწმდე ელექტრულად.

4. დამცავი საშუალებების მდგომარეობის შემოწმება და მათი აღრიცხვა.

ექსპლოატაციაში მყოფი ყველა დამცავი საშუალება და დამცავი ქამრები, (ხალიჩების, სადგარების და უ.ტ. პლაკატების გარდა) უნდა იყოს დანომრილი. თუ დამცავი საშუალება რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, (ძაბვის მაჩვენებელი, მაიზოლირებელი შტანგა და ა.შ.) მაშინ თითოეული ნაწილი უნდა იყოს ერთი და იმავე ნომრით.

პერსონალი ვალდებულია გამოყენების წინ შეამოწმოს დამცავი საშუალებების გამართულობა, გარეგანი დაზიანების არარსებობა და დამლაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადა. გარდა ამისა, დიელექტრიკული ხელთათმანები გამოყენებამდე უნდა შემოწმდეს მასზედ არსებულ ნახვრეტებზე ხელთათმანის დაგორგვლით თითების მიმართულებით.

დამცავი საშუალებების გამოყენება, რომელთაც გასული აქვთ ვარგისიანობის ვადა, სასტიკად აკრძალულია !!!

5. ინდივიდუალური დამცავი საშუალებები



შრომის უსაფრთხოების სამსახური

დამცავი სათვალე - გამოიყენება, რკინის ან სხვა მასალის დამუშავების დროს ასხივური დანიშნულების მიხედვით უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტის და ტექნიკური პირობების მოთხოვნებს.

სამუშაო ხელთათმანი - გამოიყენება ნაპერწკლის, გამდნარი რკინის შხეფების, მუავის, მაღალი ტემპერატურის და მექანიკური დაზიანებისაგან ხელების დასაცავად. უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტს.

ჩაფხუტი - გამოიყენება მექანიკური დაზიანებისაგან თავის დასაცავად. ჩაფხუტით აუცილებლად უნდა სარგებლობდეს პერსონალი, რომელიც ემსახურება ელ.დანადგარებს. დამცავი ჩაფხუტის კორპუსი უნდა იყოს დენგაუმტარი, მისი ზედაპირი უნდა იყოს სწორი, ბზარების გარეშე. ჩაჩქანი უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს.



შრომის უსაფრთხოების სამსახური



პირველადი ექიმამდელი დახმარების აღმოჩენის
პროტოკოლი



შრომის უსაფრთხოების სამსახური

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი-ის სამუშაო სივრცეში პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებსა და პროცედურას.
2. ამ წესით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესით.
3. კომპანიის მომზადებული თანამშრომელი უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას დაწესებულების ტერიტორიაზე.

მუხლი 2. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

1. სამუშაო სივრცეში განთავსებულია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო საშუალებები.
2. უბედური შემთხვევის დროს აუცილებელია ნებისმიერმა პირმა შეასრულოს შემდეგი მოქმედებები:
 - დროულად მოუხმოს ექიმს.
 - შეატყობინოს უშუალო ხელმძღვანელს.
 - არ გადაადგილოს დაზარალებული ექიმის მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იქ დარჩენა საშიშაა.
 - აუცილებლობის შემთხვევაში აღმოუჩინოს დახმარება ამ წესის შესაბამისად.

პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები

გარემოება, რომელმაც გამოიწვია ადამიანის დაზავება, შეიძლება კვლავ მოქმედებდეს დასაფრთხეს წარმოადგენდეს. აქედან გამომდინარე, პირველადი დახმარების დაწყებამდე უნდა დავრწმუნდეთ, რომ საფრთხე არ გვემუქრება ჩვენ, დაზარალებულ(-ებს) და თვითმხილველებს.

სიცოცხლის შენარჩუნების ბაზისური ალგორითმი - DR CAB

D – Danger	გარემოს უსაფრთხოება
R – Responsiveness	ცნობიერების შემოწმება
C – Circulation	სისხლის ცირკულაცია
A – Airway	სასუნთქი გზები
B – Breathing	სუნთქვის რეფლექსი

სუნთქვის მოშლილობა

მდგომარეობა როდესაც გამოხატულია ცვლილებები სასუნთქი სისტემის დაზიანებით, რაც



შრომის უსაფრთხოების სამსახური

გამოიხატება ორგანიზმისათვის ჟანგბადის მცირე რაოდენობით მიწოდებით. სუნთქვის უკმარისობის განვითარების დროს ორგანიზმში ჟანგბადის ნაკლებობა (ჰიპოქსია) იწვევს სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის განვითარებას, ამიტომ აუცილებელია პირველი დახმარების დროულად გაწევა.

რესპირატორული მოშლილობა შეიძლება განვითარდეს:ა)

სასუნთქი გზების ობსტრუქციისას (უცხო სხეულით ან წყალში დახრჩობისას)

ბ) ფილტვებში აირების ნორმალური ცვლის მოშლის (კვამლის შესუნთქვისას)

გ)სუნთქვის გაძნელება შეიძლება გამოწვეული იყოს ზოგიერთი ქრონიკული დაავადებისას (მაგ.ბრონქული ასთმის დროს)

დ)სტრესული მდგომარეობისას (ჰიპერვენტილაციური სინდრომი)

ჰიპოქსიის ნიშნები	ა)სუნთქვის გახშირება, მისი სიღრმისა და რიტმის შეცვლით; ბ)აგზნებადობა, აგრესიულობა, ცნობიერების დაბინდვა, უგონო მდგომარეობა (ტვინის ნორმალური ფუნქციონირების დარღვევის გამო); გ)მორუხო-მოლურჯო ფერის კანი - ციანოზი (სისხლში ჟანგბადის ნაკლებობის გამო); დ)სუნთქვის ან გულის გაჩერება (თუ ჰიპოქსიაარ მოიხსნა)
--------------------------	--

პირველი დახმარება სასუნთქ გზებში უცხო სხეულის არსებობის დროს

სასუნთქი გზების უცხო სხეულით დახშობის დროს მოხრჩობის უნივერსალური ნიშნის საშუალებით,უნდა შევეძლოთ დაშავებულის ამოცნობა და გადაუდებელი დახმარება:

კითხვაზე - «**იხრჩობი ?**» თუ ადამიანი თავს გიქნევთ პასუხად და არ შეუძლია საუბარი, ეს ნიშნავს, რომ სასუნთქი გზების ობსტრუქცია მძიმეა. დაუკავშირდით სასწრაფო სამედიცინოსამსახურს. ობსტრუქციის მოსახსნელად მოზრდილებში და 1 წლის ზემოთ ასაკის ბავშვებში,გააკეთეთ ბიძგები მუცელზე მიმართულებით შიგნით და ზემოთ (**ჰეიმლიკის მანევრი**).

გაიმეორეთ მანევრი უცხო სხეულის ამოვარდნამდე ან სანამ დაშავებული დაკარგავს გონებას. თუადამიანი არის ორსული ან ჭარბი წონის, ნაცვლად მუცლისა ბიძგები ჩაატარეთ გულმკერდზე. ჰეიმლიკის მანევრს აკეთებთ მანამ სანამ უცხო სხეული არ ამოვარდება. თუ უცხო სხეული არამოვარდა და ადამიანი დამძიმდა (უგონო მდგომარეობა) დაიწყეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია.ჩაბერვების წინ შეამოწმეთ პირის ღრუ, ხომ არ არის უცხო სხეული ამოვარდნილი.

პირველი დახმარება კვამლის და მავნე აირების ინჰალაციის დროს

გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური. დაზარალებული უნდა განთავსდეს სუფთა ჰაერზე უსაფრთხოების ზომების გათვალისწინებით. თუ დაზარალებული უგონოაა, დააწვინეთ იგი ზურგზე და გახსენით სასუნთქი გზები. მოწმდება სუნთქვა და სისხლის ცირკულაციის ნიშნები. დარჩით დაზარალებულთან გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე. ყოველ 10 წთ-ში ერთხელ მოწმდება სუნთქვა, პულსი და ცნობიერების დონე. თუ სუნთქვა და პულსი არ ფიქსირდება, დაიწყეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

პირველი დროს

დახმარება

გულის

წასვლის

გულის წასვლა არის ცნობიერების დროებითი დაკარგვა, რომელიც განპირობებულია ტვინში სისხლის მიმოქცევის ხანმოკლე დარღვევით. ამ დროს პულისი იშვიათდება, მერე კი უცებ ხშირდება. გულის წასვლის შემდეგ ხდება ადამიანის ზოგადი მდგომარეობის სწრაფი აღდგენა. გულის წასვლის მიზეზი შეიძლება იყოს:

ა) ტკივილი(ბ)შიში

გ)ემოციური გადაძაბვა დ)გადაღლა ან შიმშილი

ე) ხანგრძლივი ფიზიკური უმოძრაობა

პირველადი დახმარების აღმოჩენისას, გაითვალისწინეთ, რომ ცნობიერების ხანმოკლე დაკარგვამ შესაძლებელია გამოიწვიოს დაზარალებულის დაცემა, რასაც თან სდევს მეორადი ტრავმები.

1. დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები ზევით;
2. უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება;
3. დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური
4. მას შემდეგ, რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება, გაამხნევეთ და დაეხმარეთ მასწავლელა წამოჯდომაში;
5. მეორადი ტრავმების დაფიქსირების შემთხვევაში იმოქმედეთ ვითარების შესაბამისად.

პირველი დახმარების ტაქტიკა ელექტროტრავმის დროს

ელექტროტრავმის მიღების შემდეგ ვითარდება კუნთების ძლიერი სპაზმი (შეკუმშვა), რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის დენის წყაროდან დაზარალებულის მოცილებას, ამიტომ შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე მნიშვნელოვანია დენის წყაროს გაიზოლირება უსაფრთხოების გათვალისწინებით. ამასთანავე, კუნთების ძლიერი შეკუმშვის გამო, ხშირად დაზარალებული გადაისროლება მნიშვნელოვან მანძილზე, რაც იწვევს მეორად ტრავმების - მძიმე დაზიანებების განვითარებას.

პირველადი დახმარების დაწყებამდე დარწმუნდით, რომ დაშავებული კვლავ არ იმყოფება ელექტრული დენის ზემოქმედების ქვეშ და დარწმუნდით რომ ენერგიის წყარო გაიზოლირებულია. ა)გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური.

ბ) დაზარალებულთან მიახლოებისთანავე გახსენით სასუნთქი გზები თავის უკან გადაწევისგარეშე, ქვედა ყბის წინ წამოწევით.

გ)შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები.

დ)საჭიროების შემთხვევაში განახორციელეთ გულ - ფილტვის რეანიმაცია.

პირველი დახმარება კრუნჩხვის დროს

კრუნჩხვა განპირობებულია ტვინის ნორმალური ფუნქციონირების მოშლით. კრუნჩხვას ხშირ შემთხვევაში თან სდევს ცნობიერების დაბინდვა ან დაკარგვა.

ეპილეფსიური კრუნჩხვა - უეცარი, არანორმალური, ჭარბი, არაკონტროლირებადი ელექტრული

იმპულსების გატარება ნერვულ უჯრედებში, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გონების დაბინდვა, მოტორული ან სენსორული უუნარობა და ქცევის მოშლა.

ექიმამდელი დახმარების პროცედურის დაწყებამდე გამოვიძახოთ სამედიცინო სამსახური. კრუნჩხვისას მნიშვნელოვანია თავიდან ავიცილოთ თავის და კიდურების დაზიანება და მეორადი ტრავმები. დავაწვინოთ პაციენტი გვერდზე და არ შევზღუდოთ. გავუხსნათ ტანსაცმელი და



შრომის უსაფრთხოების სამსახური

შევინარჩუნოთ უსაფრთხოება ცნობიერების სრულ დაბრუნებამდე.

პირველადი დახმარება დამწვრობის დროს

დამწვრობის დროს ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად დაზიანებულ არეში ვითარდება ქსოვილების დაზიანება და შეშუპება, რაც იწვევს ძლიერ ტკივილს. სისხლძარღვებიდან სითხე გადადის ქსოვილებში, რაც ამცირებს ცირკულაციაში არსებული სისხლის რაოდენობას და შესაბამისად მცირდება ჟანგბადის მიწოდება სხეულის სხვადასხვა ნაწილებში. დაზიანებულ არეში ქსოვილების დაზიანების შედეგად გამოიყოფა დიდი რაოდენობით მავნე ნივთიერებები - ტოქსინები. დამწვრობის დროს განვითარებული კანის დაზიანება და მთლიანობის დარღვევა ხელს უწყობს ინფექციის შეჭრას ორგანიზმში.

თერმული დამწვრობა - ვითარდება ცხელი საგნების ან ორთქლის ზემოქმედებით, ცივი ან ცხელი საგნების შეხებით კანის საფარველთან.

ქიმიური დამწვრობა - ვითარდება კანზე ქიმიური ნივთიერების მოხვედრის შედეგად.

ელექტრული დამწვრობა - კანზე ელექტრული დენის ზემოქმედებით. **გახსოვდეთ!**

თუ დაზარალებულზე იწვის ტანსაცმელი, არ დაიწყეთ მისი სხეულის გადაგორება, გადაასხით სხეულს წყალი. თუ ამის საშუალება არა გაქვთ, გადააფარეთ სხეულს არასინთეტიური ქსოვილი, ეს შეაჩერებს წვის პროცესს.

დამწვრობის დროს შესაძლებელია სიცოცხლისთვის საშიში ცხელი აირების ჩასუნთქვა. აუცილებელია დროულად დაიწყეთ დამწვარი ადგილის გაგრილება ცივი წყლით. დაზიანებულია რე ცივი წყლით ჩამოიბანება - თერმული, ელექტრული დამწვრობის დროს სულ მცირე 10 წუთის განმავლობაში, ქიმიური დამწვრობის დროს - მინიმუმ 30 წუთის განმავლობაში. დამწვრობის დროს მნიშვნელოვანია დაშავებულის დროული გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში კვალიფიციური დახმარების მისაღებად.

პირველი

დახმარება

მოწამვლის

დროს

მოწამვლა - ეს არის პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ვითარდება ორგანიზმში ტოქსინის შეღწევის შემთხვევაში. მომწამლავი ნივთიერების როლში შეიძლება აღმოჩნდეს პრაქტიკულად ნებისმიერი ქიმიური ნივთიერება, რომელსაც ორგანიზმში გარკვეული რაოდენობით მოხვედრისას შეუძლია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების ფუნქციის მოშლა.

ადამიანები იღუპებიან მოწამვლის შედეგად, მაგრამ დროულად და სწორად ჩატარებული პირველი დახმარების შემთხვევაში ბევრი მოწამლულის სიცოცხლის გადარჩენა შესაძლებელია. გადაუდებელი დახმარების ფორმა დამოკიდებულია ორგანიზმში ტოქსინის მოხვედრის გზაზე.

თუ ტოქსინი ორგანიზმში მოხვდა ინჰალაციის შედეგად, დაშავებული გამოიყვანეთ სუფთა ჰაერზე უსაფრთხო ადგილას.

თუ ტოქსინი ორგანიზმში მოხვდა კანის საფარველიდან, ჩამოიბანეთ ცივი გამდინარე წყლით. თუ ტოქსინი მოხვდა ორგანიზმში პერორალურად, არ გამოიწვიოთ ღებინება.

დროულად გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო სამსახური.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

რეანიმაცია

რეანიმაციის დაწყებამდე დავრწმუნდეთ, რომ გარემო უსაფრთხოა ჩვენთვის და დაშავებულისთვის. ამის შემდეგ ვუახლოვდებით დაზარალებულს საკუთარი უსაფრთხოების დაცვით. პირველ ეტაპზე მოწმდება დაზარალებულის ცნობიერება არაუმეტეს 10 წმ. მოწმდება სუნთქვის რეფლექსი არაუმეტეს 10 წმ. ვამოწმებთ პულის საძილე არტერიაზე არაუმეტეს 10წმ. თუ შემთხვევის ადგილას იმყოფებით მარტო და პაციენტი უგონო მდგომარეობაშია, მოუხმეთ ვინმეს დასახმარებლად და სთხოვეთ გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო სამსახური. თუ არავინ გამოგეხმარათ და დაშავებული 8 წლის ზემოთაა, თვითონ გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება. თუ დაშავებული 8 წლის ქვემოთაა, სასწრაფო სამედიცინო დახმარებას იძახებთ, გულფილტვის რეანიმაციის ერთი ციკლის ჩატარების შემდეგ.

გულის არაპირდაპირი მასაჟი კეთდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არ არის პულსი!

გულმკერდზე ზეწოლების ტექნიკა

1	დადექით დაშავებულის გვერდით
2	დარწმუნდით, რომ დაშავებული წევს მყარ და სწორ ზედაპირზე
3	გახადეთ ტანსაცმელი და გააშოშვლეთ გულმკერდი. თქვენ უნდა ხედავდეთ კანს.
4	მოათავსეთ ერთი ხელი დაშავებულის გულმკერდზე დვრილებს შორის ზუსტად შუა წერტილში.
5	მოათავსეთ მეორე ხელი პირველის ზემოთ. თითები გადააჭდეთ.
6	ხელები გამართეთ იდაყვის სახსარში. გადმოიხარეთ ისე, რომ თქვენი მხრები იყოს ზუსტად დაშავებულის სხეულის ზემოთ.
7	აწარმოეთ სწრაფი და ძლიერი ზეწოლები, ისე რომ ზეწოლის შედეგად გულმკერდმა ჩაიწიოს 4-5 სმ სიღრმეზე
8	დარწმუნდით, რომ თითოეული ზეწოლის შემდეგ გულმკერდი აღიდგენს საწყის მოცულობას. გულმკერდის საწყისი მოცულობის სრული აღდგენა უზრუნველყოფს ზეწოლებს შორის გულის მეტი რაოდენობის სისხლით შევსებას. გულმკერდის საწყისი მოცულობის არასრული აღდგენა გამოიწვევს ზეწოლებით მიღებული სისხლის ნაკადის შემცირებას.
9	აწარმოეთ ზეწოლები თანაბრად, სიხშირით წუთში 100 ზეწოლა
10	30 კომპრესიის შემდეგ ვაწარმოებთ 2 ჩაბერვას არანაკლებ 1 წმ თითო სულ 5წმ
11	შეინარჩუნეთ სასუნთქი გზების გამავლობა თავის უკან გადაწევით და ნიკაპის წინ და ზევით წამოწევით.
12	დაახშეთ ნესტოები ცერა და საჩვენებელი თითების საშუალებით (გამოიყენეთ შუბლზე მოთავსებული ხელი).
13	გააკეთეთ ჩვეულებრივი ჩასუნთქვა (არაღრმა) და მოათავსეთ თქვენი პირი დაზარალებულის პირის გარშემო ჰერმეტიკულად
14	გააკეთეთ ერთი ჩაბერვა (1 წამის მანძილზე). ჩაბერვის დროს დააკვირდით გულმკერდის ექსკურსიას.
15	თუ ჩაბერვის შედეგად გულმკერდის ექსკურსიას ვერ მიიღებთ, სცადეთ კიდევ ერთხელ სასუნთქი გზების გახსნა თავის უკან გადაწევით და ნიკაპის წამოწევით.
16	გააკეთეთ მეორე ჩაბერვა (1 წამის მანძილზე). დააკვირდით გულმკერდის ექსკურსიას.

გულ- ფილტვის რეანიმაციის ყოველი 5 ციკლის შემდეგ (2 წუთი) თავიდან უნდა მოხდეს პულისდა სუნთქვის შემოწმება, თუ პულსი აღსდგა და სუნთვა არა, შეგვიძლია გავაკეთოთ მხოლოდ ჩასუნთქვები 5-6 წამში ერთხელ (10-12 ჩაბერვა წუთში)



გულ-ფილტვის რეანიმაცია წყდება თუ:

ა) როდესაც დაშავებული იწყებს მოძრაობას ან/და აღსდგა სუნთქვა და გულისცემა ბ) სასწრაფო გადაუდებელი სამსახურის გუნდი მოვიდა და მზადაა მუშაობას შეუდგეს

ძვალ-კუნთოვანი სისტემის ტრავმა და პირველადი დახმარება

ტრავმის დროს შეიძლება განვითარდეს ძვალ-კუნთოვანი სისტემის სხვადასხვა დაზიანება: ა) ძვლის მოტეხილობა - მისი მთლიანობის დარღვევა.

ბ) ძვლის ამოვარდნილობა - მისი არაზუნებრივი გადაადგილება სახსარში. გ) რბილი ქსოვილების ტრავმა - კუნთების ან მყესების დაზიანება.

რბილი ქსოვილების დაზიანების ნიშნები:

ა) ძლიერი ტკივილი დაზიანების არეში, რომელიც ძლიერდება მოძრაობის დროს. ბ) მოძრაობის შეზღუდვა ან შეუძლებლობა.

გ) სისხლჩაქცევა ან შეშუპება დაზიანების არეში. დ) დეფორმაცია დაზიანების მხარეს.

პირველი დახმარება რბილი ქსოვილების დაზიანების დროს

რბილი ქსოვილების დაზიანებაზე ექვსის შემთხვევაში თქვენი მიზანია შეამციროთ ტკივილი დაშეშუპება და დროულად გამოძახოთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური.

1. მოასვენეთ და დააფიქსირეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი დაზარალებულისთვის მყუდრომდებარეობაში.
2. თუ ტრავმა ახალი განვითარებულია, დაადეთ დაზიანებულ არეზე ყინულიანი საფენი. ყინულის დადება უშუალოდ კანზე არ შეიძლება.
3. დაადეთ დაზიანებულ არეზე ზომიერად მჭიდრო ნახვევი. ნახვევის ქვეშ მოათავსეთ ბამბის ფენაან რბილი საფენი. თუ ნახვევის დადება თვითონ არ შეგიძლიათ მიმართეთ სხვას.
4. ასწიეთ ზემოთ და ასეთ მდებარეობაში დააფიქსირეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი. ეს შეამცირებს სისხლის ნაკადსა და სისხლჩაქცევას დაზიანებულ არეში.

პირველი დახმარება ამოვარდნილობის დროს

ძვლის ამოვარდნილობა შეიძლება განპირობებული იყოს ძლიერი ძალით გარეგანი ზემოქმედებით ან კუნთთა შეკუმშვით, რომელიც იწვევს ძვლის გადაადგილებას სახსარში. ეს დაზიანება ძალიან მტკივნეულია. ტკივილს, როგორც წესი თან სდევს, დაზიანების არეში დეფორმაცია, შეშუპება, მოძრაობის შეზღუდვა. ამოვარდნილობის დროს თქვენი ძირითადი მიზანია სხეულის დაზიანებული ნაწილის ფიქსაცია და გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის დროული გამოძახება.

არ შეასწოროთ ძვალი, რადგან ამით შეიძლება გამოიწვიოს დაზიანების გაღრმავება;

უთხარით დაზარალებულს, არ ამოძრაოთ სხეულის დაზიანებული ნაწილი და დაუფიქსირეთ იგი; თუ თქვენ არ შეგიძლიათ ზუსტად დადგენა, რა სახის დაზიანებასთან გაქვთ საქმე, ჩაატარეთ მოტეხილობის ანალოგიური პირველი დახმარება.

პირველადი გადაუდებელი დახმარება დახურული მოტეხილობის დროს

მოტეხილობა დგება მექანიკური ზემოქმედებით ძვლის მთლიანობის დარღვევისას. მთლიანობის



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ნაწილობრივი დარღვევის შემთხვევაში საქმე გვაქვს არასრულ მოტეხილობასთან (გაზარდა, ატკეჩვა). არჩევენ დახურულ და ღია მოტეხილობას. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ მოტეხილობას თან ახლავს სისხლდარღვევის და ნერვების დაზიანება, ძვალი დამსხვრეულია.

- ა) დაზარალებულს უკეთდება იმობილიზაცია
- ბ) მხრისა და ბარძაყის ძვლების მოტეხილობის შემთხვევაში უნდა დააფიქსირდეს არა ნაკლებსამი სახსარი.
- გ) არტამანი დაედება, ისე რომ დაზიანებული არე დაფიქსირდეს ორ მეზობელ სახსარს შორის(მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ);
- დ) არტამანი დაედება გარედან, ტანსაცმელზე და მიეცემა კიდურის ფორმა;ე) მოტეხილობის არეში ნახვევით ფიქსაცია არ კეთდება;
- ვ) საველე პირობებში გამოიყენება ფიცარი, ხის ტოტი ქამარი, თოკი და სხვა იმპროვიზირებული საშუალება;
- ზ) უკიდურეს შემთხვევაში დაზიანებული ფეხი ფიქსირდება ჯანმრთელ ფეხზე, ხოლო ზედა კიდური-ტანზე ნახვევის საშუალებით.
- თ) თუ მოტეხილი ძვლის ფრაგმენტი აზიანებს კანის მთლიანობას მაშინ საქმე გვაქვს ღია მოტეხილობასთან.

პირველადი სამედიცინო დახმარება ღია მოტეხილობის დროს

- ა) აუცილებელია კიდურის გაშიშვლება, ტანსაცმლის შემოჭრა;
- ბ) სისხლდენის შეჩერება: დამწოლი ნახვევის, არტერიული სისხლდენისას ლახტის დადება;გ) ჭრილობაზე სტერილური ნახვევის დადება;
- დ) კიდურის იმობილიზაცია;ე) ჰოსპიტალიზაცია/
- ვ) **არ შეიძლება!** ჭრილობაზე შეხება; ძვლის ნამსხვრევების ჩასწორება; უცხო სხეულების მოცილება.
- ზ) წვივის ძვლების მოტეხილობის დროს დაშავებულს არტამანი უნდა დაედოს ორივე მხრიდან ტერფიდან შუა ბარძაყამდე.
- თ) აკრძალულია დაზარალებულის გამოძრავება დაზიანებული ნაწილის სრულ ფიქსაციამდე. დაზარალებულის მოძრაობა ტრავმის დროს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

პირველადი სამედიცინო დახმარება კისრის ან ხერხემლის დაზიანების დროს

- კისრის ან ხერხემლის დაზიანებისას ან მასზე ეჭვის მიტანისას არ შეიძლება დაზარალებულისთვის თავისა და კისრის მოძრაობა.
- დაზარალებულს დაუფიქსირეთ თავი და კისერზე გაუკეთეთ სპეციალური საყელო;
- თუ კისრის საყელო არ გაქვთ, გამოიყენეთ რამე იმპროვიზირებული საშუალებები. მაგ. მარლაში გადახვეული სქელი ბამბის საყელო.
- კისრისა და ხერხემლის ტრავმის შემთხვევაში ან მასზე ეჭვის მიტანისას, დაზარალებულის ტრანსპორტირება მოახდინეთ სპეციალურ ფარზე, ხის ან ფანერის ზედაპირზე. ამ მიზნით შეიძლება შენობის კარის გამოყენებაც.
- შეინარჩუნეთ ხერხემალი სწორ და უძრავ მდგომარეობაში.

პირველადი გადაუდებელი დახმარება მენჯის ძვლების მოტეხილობის დროს



შრომის უსაფრთხოების სამსახური

მენჯის ძვლების მოტეხილობისას ან მასზე ეჭვის მიტანისას დაზარალებულს ზურგის ქვეშ დაუდეთხის ფარი ან რამე იმპროვიზირებული საშუალება.

დააწვინეთ “ბაყაყის” პოზიციაში: ფეხები მოუხარეთ მუხლის სახსარში და გადაუწიეთ განზე; ტერფები დაუფიქსირეთ ერთად;

მუხლების ქვეშ დაუდეთ ბალიში ან ტანსაცმელი.

პირველადი გადაუდებელი დახმარება გარეგანი სისხლდენის დროს

მოაშორეთ დაზიანებულ არეს ტანსაცმელი. დაათვალიერეთ ჭრილობა. დარწმუნდით, რომ ჭრილობაში არ არის მახვილი საგნები, რომლებითაც შეიძლება თქვენ დაზიანდეთ. მოახდინეთ ზეწოლა ჭრილობაზე თითებით ან მტევნით. სასურველია ჭრილობა წინასწარ დაფაროთ სუფთა საფენით. მაგრამ ნუ დაკარგავთ დიდ დროს ამ საფენის მოსაძებნად. თუ ჭრილობაში არის უცხო სხეული, არ ამოიღოთ (უცხო სხეულის ამოღებისას შეიძლება გაძლიერდეს სისხლდენა ან გაღრმავდეს დაზიანება).

თუ შესაძლებელია, ასწიეთ დაზარალებულის დაზიანებული კიდური გულის დონეზე ზემოთ. ამით შემცირდება სისხლის ნაკადი დაზიანებულ არეში, რაც შეუწყობს ხელს კოლტის განვითარებას და სისხლდენის შეჩერებას. კიდურების მაღლა აწევა არ არის რეკომენდირებული თუ კიდური შეშუპებულია, დეფორმირებულია ან მტკიცუნელია, რაც მიუთითებს მოტეხილობის ან ამოვარდნილობის შესაძლებლობაზე;

დამწოლი ნახვევი გამოიყენება ვენური სისხლდენის დროს, ჭრილობაზე დადებული სუფთა საფენის ზემოთ დაადეთ დამწოლი ნახვევი: ჭრილობაზე მსხვილი ტამპონი და მჭიდრო ნახვევი ისე, რომ არ დაირღვეს სისხლის მიმოქცევა ნახვევის ქვემოთ. თუ სისხლი ჟონავს დამწოლი ნახვევიდან, ზემოდან დაადეთ მეორე მსხვილი საფენი და გადაუჭირეთ მჭიდროდ.

ლახტი გამოიყენება მხოლოდ არტერიული სისხლდენის დროს ან კიდურის ამპუტაციის შემთხვევაში, იდება მხოლოდ ბარძაყის ან მხრის ძვალებზე, უნდა დავადოთ ჭრილობიდან 5-7სანტიმეტრით ზემოთ მისი არასწორად ანუ არასრულად მოჭერა იწვევს მხოლოდ ვენების დაზიანებას და აძლიერებს არტერიულ სისხლდენას. ლახტი დაედება იმდენად მჭიდროდ რამდენადაც ეს საჭიროა - სისხლდენის შეჩერებამდე. ლახტის დადებისას აუცილებელია დავაფიქსიროთ ლახტის დადების დრო და მივაწოდოთ ინფორმაცია სასწრაფო დახმარებას. სისხლდენის გასაჩერებლად დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები (ჩაუდეთ ფეხებს ქვეშ ბალიში). ამ მდებარეობაში მცირდება სისხლის დინება ფეხებისკენ და სისხლი მეტირაოდენობით მიედინება ადამიანის სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილებისაკენ. სისხლდენის შეჩერებისას ზეწოლის წერტილებში ზეწოლა მოახდინეთ არაუმეტეს 10 წუთისა. დამწოლი ნახვევის დადების შემდეგ, აუცილებელია ნახვევის ქვემოთ პულსისა და მგრძნობელობის შემოწმება ყოველ 10 წუთში ერთხელ სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე.

გველის კბენა - ექიმამდელი დახმარება

დამახასიათებელი ნიშნები და სიმპტომები:

- წყვილი ნაკბენი;
- ტკივილი ნაკბენის მიდამოში;
- შეშუპება და ტკივილი დაზიანების მიდამოში;
- სუნთქვის გაძნელება;



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- მხედველობის დაბინდვა;

- ოფლიანობა და გაძლიერებული ნერწყვის დენა, ქმედების

თანმიმდევრობა:

1. მოათავსეთ ნაკბენი კიდური გულის დონიდან ქვემოთ;
2. ჩამოხანეთ ნაკბენი და შეამშრალეთ სუფთა მარლით;
3. მოახდინეთ ნაკბენის ზემოთ კიდურის კომპრესია ისე, რომ არ გადაიკეტოს არტერია;
4. მოახდინეთ კიდურის იმობილიზაცია;
5. აკონტროლეთ CABC;
6. განახორციელეთ სწრაფი სწრაფი კომუნიკაცია კვალიფიციურ სამედიცინო სუბიექტებთან.



შრომის უსაფრთხოების სამსახური





შრომის უსაფრთხოების სამსახური





საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

1. შესავალი

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების, „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებისა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მეთოდების საფუძველზე.

გეგმის მიზანი - გეგმა განსაზღვრავს ორგანიზაციის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტურ მიმართულებებს და ღონისძიებებს. ასევე, მართვის პროცესის განხორციელებას საობიექტო დონეზე.

გეგმის მიზანია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან თანამშრომელთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა. ასევე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება/ორგანიზება და შესაბამის პირთა კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფა.

2. ტერმინები და განმარტებები

საგანგებო სიტუაცია – ობიექტზე, გარკვეულ ტერიტორიაზე ბუნებრივი მოვლენების, სტიქიური უბედურების, ხანძრის, ავარიის, კატასტროფის ან სხვა სახის უბედურებების, აგრეთვე დაზიანების საბრძოლო საშუალებათა გამოყენების შედეგად წარმოქმნილი სიტუაცია, როდესაც ირღვევა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზარალდება მოსახლეობა და ზიანდება ბუნებრივი გარემო;

საგანგებო სიტუაციის ზონა – განსაზღვრული ტერიტორია ან აკვატორია, სადაც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია;

საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება – სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, საინჟინრო-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ბუნებრივ გარემოსა და საშიშ საწარმოო ობიექტზე მონიტორინგისა და კონტროლის ორგანიზების, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის პროგნოზირებისა და პროფილაქტიკის, საგანგებო სიტუაციისათვის მომზადების, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – ზარალის შემცირების მიზნით;

სახანძრო-სამაშველო დანაყოფები – სახანძრო დაცვისა და სამოქალაქო თავდაცვის საქმიანობის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოები.

3. მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შეფასება



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში (ქალაქში). იგი მდებარეობს ზომიერი მიწისძვრის ინტენსივობის რაიონში. მისი განთავსების ტერიტორია მოქცეულია შემდეგი ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების ტერიტორიაზე: (მეწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა და. ა. შ.); „ობიექტის“ ტერიტორია ემიჯნება საცხოვრებელ შენობებს.

4. ობიექტის დახასიათება

ობიექტის ცალკე მდგომი შენობა არის მრავალსართულიანი მონოლითური აგებულების, რომელთანაც განთავსებული გარე პარკინგი. ტერიტორიაზე განლაგებულია ბლოკით ნაშენები სასაწყობე ფართები. შენობას აქვს რამდენიმე საევაკუაციო გასასვლელი, რომელიც მიემართება გარეთ და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განცალკევებულ ნაგებობაში განთავსებულია ცენტრალური გათბობისა და გაგრილების სისტემები, რომელიც აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს. შენობა უზრუნველყოფილია წყლითა და ელექტროენერგიით. მათი ჩამკეტი/გამშვები მარეგულირებელი მოწყობილობების და გაყვანილობის არასწორი ექსპლუატაციის გამო შესაძლოა წარმოიქმნას ხანძარი/ავეთექება. გაზის მიწოდება ხორციელდება განცალკევებულ ნაგებობაში (საქვებში). შენობაში არის დამონტაჟებული შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება, რომელიც აკმაყოფილებს სახანძრო ნორმებსა და წესებს. ობიექტს გააჩნია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაცია, რომელიც აკმაყოფილებს სახანძრო ნორმებს. შენობაში დამონტაჟებულია, როგორც სახანძრო სიგნალიზაცია და განთავსებულია საევაკუაციო გეგმები.

5. უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების სწავლება

უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და სტუდენტების გადამზადება ითვალისწინებს მათთვის საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების გამომუშავებას, მათი შრომითი და საწარმოო-ტექნოლოგიური უსაფრთხოების ამაღლებას. უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და სტუდენტების სწავლება ხდება უშუალოდ ადგილზე, სულ მცირე ექვს თვეში ერთხელ.

საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები
საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა

6. საგანგებო შტაბის შემადგენლობა:

1. საგანგებო შტაბის უფროსი;
2. საევაკუაციო ჯგუფის უფროსი;
3. შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი;
4. ექიმი;
5. სახანძრო ჯგუფის უფროსი;
6. წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი;



7. საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები

7.1. საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის უფროსი

უნივერსიტეტის საგანგებო შტაბის უფროსი ანგარიშვალდებულია, ზემდგომ დარგობრივი ხელმძღვანელობის წინაშე. იგი პასუხისმგებელია „ორგანიზაციის“ საგანგებო სიტუაციებზე მუდმივი მზადყოფნისათვის, რეაგირების დაგეგმვისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე მშვიდობიან და ომის შემთხვევაში.

მას ევალება:

- „ორგანიზაციის“ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს.
- თანამშრომლებისათვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება.
- მართვის და შეტყობინების ორგანიზება.
- თანამშრომელთა დადგენილი წესის მიხედვით დროული ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში.
- ექსტრემალური სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება.
- ორგანიზაციაში ყველა დონის სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებების სწავლების ორგანიზება და განხორციელება.

7.2. საევაკუაციო ჯგუფის უფროსი

საევაკუაციო ჯგუფის უფროსი ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს იგი ვალდებულია:

- შეიმუშაოს „ორგანიზაციის“ ევაკუაციის გეგმა;
- განსაზღვროს შენობის საევაკუაციო გზები და გასასვლელები, იზრუნოს მათზე მანიშნებელი ნიშნების დაყენებაზე;
- ორგანიზება გაუკეთოს თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრას მათი ოპერატიულად ევაკუაციის მიზნით;
- მონაწილეობა მიიღოს ევაკუაციის შემთხვევაში ევაკუირებულთა მომარაგებაში პირველადი მოხმარების ნივთებით;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს ობიექტის რეაგირების გეგმის შემუშავებაში, ევაკუაციას საკითხების დაზუსტებაში;
- საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში იცოდეს და წინასწარ ჰქონდეს მომზადებული თანამშრომელთა უსაფრთხო ადგილებში გადაადგილებისათვის საჭირო მონაცემები;
- ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში იგი ვალდებულია:
 - ა) სპეციალური სიგნალებით, დროულად შეატყობინოს თანამშრომლებს ევაკუაციის დაწყება;
 - ბ) ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით თანამშრომელთა გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადასაყვანად.



7.3. შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი

შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და

იგი

ვალდებულია:

- აქტიური მონაწილეობა მიიღოს რეაგირების გეგმის შემუშავებაში.
- ორგანიზება გაუკეთოს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას.
- დროულად განახორციელოს შეტყობინება ხელმძღვანელი პირების და პერსონალის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებისგანხორციელების თაობაზე.

7.4. ექიმი

ა) ექიმის მოვალეობები მშვიდობიან პირობებში:

- შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში ზრუნავს პერსონალისა და სტუდენტების ჯანმრთელობის დაცვაზე;
- ატარებს გეგმით გათვალისწინებულ ტრენინგებს სამედიცინო უსაფრთხოების თემებზე;
- აღმოუჩენს პირველად სამედიცინო დახმარებას დაზიანებულ

ადამიანებს; ბ) ექსტრემალურ ვითარებაში :

- ადგილზე აღმოუჩენს პირველ სამედიცინო დახმარებას დაზარალებულებს, რომლებიც შემდეგ გადმოჰყავთ უსაფრთხო ადგილებში;
- საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულები გადაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ;
- „ორგანიზაციაში“ შექმნილი საგანგებო ვითარების შესახებ აცნობებს შესაბამის მუნიციპალურ სამედიცინო დაწესებულებას.

7.5. სახანძრო ჯგუფის უფროსის ამოცანები:

ა) მშვიდობიან პირობებში:

- ჯგუფის უფროსი მოვალეა იცოდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, სამუშაო ადგილი. ჰქონდეს ჯგუფის პირადი შემადგენლობის სია საჭიროების შემთხვევაში მათი სწრაფი შეკრებისათვის;
- შეისწავლოს “ორგანიზაციის” შენობა და ელექტროგაყვანილობა სახანძრო დაცვის თვალსაზრისით;
- იცოდეს ელექტროენერგიის მოწოდების წყარო, მისი საერთო გამომრთველის ადგილმდებარეობა, ელექტროგაყვანილობის ვარგისიანობა, სუსტი ადგილები;
- სისტემატიურად ახორციელებდეს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს; უნდა ამოწმებდეს ელექტრო ხაზების მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას და სხვა;
- უნდა ატარებდეს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას პირად შემადგენლობასთან.
- იცოდეს “ორგანიზაციაში” პერსონალის რაოდენობა, ავარიის შემთხვევაში მათთვის



შრომის უსაფრთხოების სამსახური

დახმარების გაწევის მიზნით.





შრომის უსაფრთხოების სამსახური

ბ) ექსტრემალური ვითარების განვითარებისას

ჯგუფის უფროსი მოვალეა სწრაფად შეკრიბოს ჯგუფის პირადი შემადგენლობა

- მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება, თითოეულ წევრს დაუსახოს ამოცანები;
- სისტემატიურად ახსენებდეს საგანგებო შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- სასწრაფოდ შეატყობინოს არსებული სიტუაცია შესაბამის საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოს.
- არსებული საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზირება, თუ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.
- ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება.

7.6. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი

- საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში უზრუნველყოს ჯგუფის ოპერატიული შეკრება;
- დაიცვას წესრიგი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში;
- უზრუნველყოს საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზება და წესრიგის დაცვა მისი განხორციელების პროცესში;
- სასტემატიურად ჩაატაროს გეგმით გათვალისწინებულ თემებზე, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობები პირად შემადგენლობასთან;
- რეგულარულად შეამოწმოს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა.

განგაშის ზარი


საგანგებო სიტუაციების განვითარებისას ჩაირთვება განგაშის ზარი (წინასწარ შეთანხმებული ხმოვანი სიგნალის იმიტაციით) და ორგანიზება უკეთდება პირველ რიგში გასატარებელი შემდეგი ძირითადი ღონისძიებების განხორციელებას:

- „ორგანიზაციის“ თანამშრომელთა ევაკუაცია ხანძრის, შესაძლო დატბორვის ან ნგრევის ზონიდან;
- პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში;
- სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება;
- კავშირი განხორციელდეს სატელეფონო საშუალებებით. სატელეფონო კავშირის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კავშირი განხორციელდეს სპეციალური რაციებით ან კურიერის მეშვეობით.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის შეტყობინების სქემა





შრომის უსაფრთხოების სამსახური

სამაშველო გეგმა
სიმაღლეზე მუშაობისას



შრომის უსაფრთხოების სამსახური

უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და მისი შენარჩუნება არის ყველა თანამშრომლის, კონტრაქტორის და სამუშაო ობიექტზე შემოსული პიროვნების ვალდებულება და პასუხისმგებლობა. კომპანიის პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპებია უზრუნველყოს დროული რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, გაუწიოს დაშავებულს პირველადი დახმარება, გამოიკვლიოს ინციდენტის მიზეზები, რათა არ მოხდეს მათი მომავალში გამეორება. ამ პოლიტიკის ნაწილია სიმაღლეზე მუშაობისას მომხდარი ინციდენტის დროს დაშავებულის უსაფრთხოდ გამოყვანისა და პირველადი დახმარების აღმოჩენა.

სიმაღლიდან ჩამოვარდნილი მუშის, რომელიც დაკიდებულია უსაფრთხოების ქამრით, დროული დახმარება და ჩამოხსნა აუცილებელია მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად (10 წუთის განმავლობაში) შემდეგი მიზეზების გამო:

- შესაძლებელია ვარდნისას მუშამ მიიღო დაზიანება შეჯახების შედეგად და ესაჭიროება გადაუდებელი სასწრაფო დახმარება.
- როდესაც მუშა დაკიდებულია უსაფრთხოების ქამრით, ხდება ზეწოლა სხეულზე, შესაბამისად იზღუდება სისხლის მიწოდება კიდურებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს განგრენა.
- ჩამოკიდებული მუშა შეიძლება ჩავარდეს პანიკაში და შოკურ მდგომარეობაში თუ ვერ მოხერხდება მისი დროულად ჩამოხსნა.
- ამ გარემოებამ შესაძლებელია გამოიწვიოს დამატებითი რისკ ფაქტორები.

სიმაღლეზე მუშაობისას მომხდარი ინციდენტის დროს სამაშველო გეგმა აგებული უნდა იყოს სამ პირითად პრინციპზე:

1. ჩატარებული იქნას შესაბამისი სწავლება, შეიქმნას სამაშველო ჯგუფი.
2. შემუშავდეს სიმაღლეზე მომხდარი ინციდენტის საგანგებო სიტუაციის რეაგირების გეგმა.
3. ინფორმირებული იყოს სრული პერსონალი საგანგებო გეგმის შესახებ.

სწავლება:



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ყველა პერსონალს უნდა ჩაუტარდეს სწავლება საგანგებო სიტუაციების შესახებ. პერსონალი უნდა იყოს ინფორმირებული სიმაღლიდან ვარდნის დროს ინციდენტისას როგორ მოიქცეს, ვის უნდა შეატყობინოს ინციდენტი, როგორ მოახდინოს შემდგომი რეაგირება სიტუაციაზე. სწავლების დროს უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალური სამაშველო ჯგუფი. სამაშველო ჯგუფმა უნდა იცოდეს საგანგებო სიტუაციისათვის განკუთვნილი სპეც. ეკიპირების გამოყენება, მათი ადგილმდებარეობა. ყოველ ორ კვირაში უნდა გადაიხედოს სამაშველო პროცედურა, რომელშიც ჩართული უნდა იყოს ამწის სპეციალური ჯგუფი. სწავლების შინაარსი დასაბუთებული და დამოწმებული უნდა იყოს მონაწილეთა ხელმოწერებით.

სიმაღლეზე მომხდარი ინციდენტის საგანგებო სიტუაციის რეაგირების გეგმა:

სიმაღლეზე მომხდარი ინციდენტის საგანგებო სიტუაციის რეაგირების გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ საფეხურებს:

1. სამუშაოთა მწარმოებელი და ჯგუფის უფროსი ვალდებული არიან იყვნენ საქმის კურსში თუ რა სახის სამუშაო მიმდინარეობს ობიექტზე და რა სექტორში, რა სიმაღლეზე მიდის სამუშაო და რა ტიპის დაცვის საშუალებები არის გამოყენებული.
2. ინციდენტის დროს სამუშაოთა მწარმოებელი ახორციელებს ორ გრძელ ხმოვან სიგნალს, რის შემდეგაც სამუშაო ჩერდება და პერსონალი იკრიბება თავშეყრის ადგილას.
3. საჭიროების შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელი იძახებს სასწრაფო დახმარებას.
4. საგანგებო სიტუაციისას ამწის ოპერატორი იმყოფება მოლოდინის რეჟიმში, ამწე საშუალება თავისუფალი უნდა იყოს ტვირთისგან და მზად უნდა იყოს სამაშველო ღონისძიებისას დასახმარებლად.
5. აუცილებელია სახიფათო ზონის შემოსაზღვრა გამაფრთხილებელი ლენტით.
6. რადიო კავშირის არსებობის შემთხვევაში უნდა შენარჩუნდეს რადიო სიჩუმე, რათა მაშველმა ჯგუფმა და ამწის ოპერატორმა მოახდინონ შეუფერხებელი რადიოკავშირი.
7. სამაშველო ჯგუფი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სამუშაო ტერიტორიაზე და უნდა მივიდეს ინციდენტის ადგილას დაუყოვნებლივ.

სამაშველო ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ტიპის მექანიზმების გამოყენებით:

ა) სამაშველო პლატფორმის მეშვეობით:

თუ ობიექტზე ხელმისაწვდომია სამაშველო პლატფორმა, უსაფრთხოების ქაშკაშით დაკიდებული მუშის ჩამოყვანა უნდა მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით:



შრომის უსაფრთხოების სამსახური

1. სამაშველო პლატფორმა უნდა მიიტანონ ინციდენტის ადგილას. შემოისაზღვროს პლატფორმის სამუშაო არეალი.
2. სამაშველო ჯგუფის ყველა წევრი სრულად უნდა იყოს ეკიპირებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.
3. დავრწმუნდეთ, სამაშველო პლატფორმა გაუძლებს სამაშველო ჯგუფის და დაზარალებულის წონას.
4. სამაშველო პლატფორმა უნდა დაყენდეს დაკიდებული მუშის ქვეშ, მუშის ჩახსნა უსაფრთხოების ბაგირიდან უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამაშველო ჯგუფის ყველა წევრი დარწმუნებულია, რომ მისი პლატფორმაზე დაშვება მოხდება უსაფრთხოდ.
5. პლატფორმის დაშვების თანავე დაშვებულს უნდა ჩაუტარდეს პირველადი დახმარება.
6. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაშვებულის ტრანსპორტირება საავადმყოფოში.

ბ) სამაშველო კიბის მეშვეობით:

1. კიბე მაქსიმალურად ახლოს და უსაფრთხოდ უნდა იყოს მიტალინი უსაფრთხოების ქამრით დაკიდებულ მუშასთან.
2. სამაშველო კიბე უნდა იყოს გამაგრებული პლატფორმაზე.
3. თუ დაშვებულს თავად არ შეუძლია უსაფრთხოების ბაგირიდან ჩახსნა, კიბეზე უნდა ავიდეს მაშველი, რომელმაც უსაფრთხოდ უნდა ჩამოხსნას დაშვებული.
4. სამაშველო ჯგუფმა უნდა ჩამოიყვანოს დაშვებული მიწაზე (პლატფორმაზე).
5. დაშვების თანავე დაშვებულს უნდა ჩაუტარდეს პირველადი დახმარება.
6. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაშვებულის ტრანსპორტირება საავადმყოფოში.

გ) დაშვებულის ჩამოხსნა სამუშაო ტერიტორიიდან ან ქვედა სართულიდან:

1. დარწმუნდით, რომ სამაშველო ჯგუფის შესვლა ინციდენტის ტერიტორიაზე უსაფრთხოა.
2. საჭიროების შემთხვევაში გაამაგრეთ დამატებითი სამაშველო ბაგირი.
3. დაშვებულის ამოყვანა უნდა მოხდეს სულ ცოტა ორი მაშველის მეშვეობით.
4. დაშვებული გადაყვანილი უნდა იქნას უსაფრთხო ადგილას და უნდა ჩაუტარდეს პირველადი დახმარება.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

5. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაშავებულის ტრანსპორტირება საავადმყოფოში.

დ) დაშავებულის ჩამოხსნა სამაშველო კალათის მეშვეობით:

1. უნდა გათავისუფლდეს ინციდენტის ადგილალ მისასვლელი გზა და შემოისადვროს ინციდენტის არეალი.
2. სამაშველო ჯგუფის ყველა წევრი სრულად უნდა იყოს ეკიპირებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.
3. დავრწმუნდეთ, სამაშველო კალათა გაუძღვება სამაშველო ჯგუფის და დაზარალებულის წონას.
4. სამაშველო კალათა უნდა დაყენდეს დაკიდებული მუშის ქვეშ, მუშის ჩახსნა უსაფრთხოების ბაგირიდან უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამაშველო ჯგუფის ყველა წევრი დარწმუნებულია, რომ მისი კალათაზე დაშვება მოხდება უსაფრთხოდ.
5. კალათის დაშვების თანავე დაშავებულს უნდა ჩაუტარდეს პირველადი დახმარება.
6. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს დაშავებულის ტრანსპორტირება საავადმყოფოში.

სამაშველო ღონისძიების შემდგომი პროცედურები:

1. მუშა პერსონალი უნდა დარჩეს უსაფრთხო ადგილას (თავშეყრის ადგილას) და დაელოდოს სამუშაოთა მწარმოებლის დირექტივას.
2. უნდა მოხდეს ინციდენტის გამომწვევი მიზეზების გამოძიება.
3. თუ ვარდნის მიზეზი გახდა ტექნიკური აღჭურვილობა, დროებით უნდა შჩერდეს ობიექტზე ანალოგიური აღჭურვილობის გამოყენება. მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სრული ინსპექტირების შემდეგ.
4. ინციდენტის ტერიტორია უნდა შემოისაზღვროს.
5. გადახედილი იქნას სამაშველო-საევაკუაციო გეგმები. შეფასდეს რამდენად ეფექტურად მოხდა ამ გეგმების განხორციელება ინციდენტის დროს.
6. უნდა გაკეთდეს ჩანაწერი ინციდენტის დროს ობიექტზე არსებული სამუშაოების სპეციფიკის, გამოყენებული ტექნიკა-აღჭურვილობის, უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების, ამინდის, მუშა-პერსონალის, ობიექტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.



შრომის უსაფრთხოების სამსახური





შრომის უსაფრთხოების სამსახური

1. შრომის დაცვის ზოგადი მოთხოვნები:
 - 1.1. კვებით ბლოკში დამოუკიდებლად მუშაობის ნება აქვთ დართული პირებს არანაკლებ 18 წლის ასაკისა, რომლებმაც შეისწავლეს რესტორნის შრომის უსაფრთხოების წინამდებარე ინსტრუქცია, აქვთ აუცილებელი განათლება მოქმედი საკვალიფიკაციო მახასიათებლების შესაბამისად, ფლობენ თეორიულ ცოდნას და პროფესიულ უნარებს თანახმად მოქმედი ნორმატიული სამართლებრივი აქტებისა, არ აქვთ სამედიცინო უკუჩვენებები მოცემული სპეციალობით მუშაობაზე. მუშაკები ვალდებული არიან გაიარონ წინასწარი(სამუშაოზე მოწყობისას) და პერიოდული(მუშაობის პერიოდში) სამედიცინო დათვალიერებები, სწავლება სამუშაოების შესასრულებლად უსაფრთხო საშუალებებსა და ილეთებზე, შესავალი ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებაზე, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების ცოდნის შემოწმებაზე, თუკი აუცილებელია გაიაროს სტაჟირება სამუშაო ადგილზე.
 - 1.2. კვების ბლოკის(სამზარეულოს) მუშაკებს უნდა ჰქონდეთ ჩატარებული აცრები, აცრების პროფილაქტიკური ეროვნული კალენდრის შესაბამისად; აგრეთვე, ეპიდემიოლოგიურ მაჩვენებლებზე, პირადი სამედიცინო წიგნაკი დადგენილი ნიმუშის შესაბამისად, რომელშიდაც შეტანილია სამედიცინო დათვალიერების და ლაბორატორიული გამოკვლევები, ცნობები აცრებზე, გადატანილ ინფექციურ დაავადებებზე და პროფესიული ჰიგიენური მომზადების და ატესტაციის, სამუშაოზე დაშვების შესახებ;
 - 1.3. ტექნოლოგიურ ელექტრომოწყობილობასთან მუშაობის დროს თანამშრომლები ვალდებულიები დაიცვან რესტორნის, კვებითი ბლოკის(სამზარეულოს) მუშაკთა შრომის დაცვის ინსტრუქცია, ჰქონდეთ ელექტროუსაფრთხოების პირველი ჯგუფი და გადიოდნენ ყოველწლიური ცოდნის შემოწმებას ელექტროუსაფრთხოების პირველი ჯგუფის მოთხოვნათა შესაბამისად.
 - 1.4. კვებითი ბლოკის(სამზარეულოს) მუშაკები შრომის დაცვის მოთხოვნათა დაცვის მიზნით უნდა:
 - იცავდნენ შრომის დაცვის მოთხოვნებს, ასევე ორგანიზაციის ტერიტორიაზე ქცევის წესებს, საწარმოო, დამხმარე და საყოფაცხოვრებო სათავსოებში
 - იქონიოს წესრიგში და სუფთად თავიანთი სამუშაო ადგილი
 - ხელი შეუწყოს და ითანამშრომლოს დამკირავებელთან შრომის ჯანმრთელი და უსაფრთხო პირობების შესაქმნელად, დაუყოვნებლის აცნობოს თავის უშუალო ხელმძღვანელს ხელსაწყოების დაცვის საშუალებების უწესრიგობაზე, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებაზე.
 - გაიაროს კანონით განსაზღვრული რიგითი სამედიცინო დათვალიერებები წინასწარ, პერიოდული(არანაკლებ 1-ჯერ წელიწადში) და რიგგარეშე(ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას), მომზადება(სწავლება), გადამზადება, სტაჟირება, ინსტრუქტაჟი, კვალიფიკაციის ამაღლება და ცოდნის შემოწმება შრომის დაცვის საკითხებზე
 - შეასრულოს სხვა ვალდებულებები, რომლებიც დადგენილი შრომის დაცვის კანონმდებლობით.
 - შეასრულოს ყველა ნორმა და ვალდებულება შრომის დაცვაზე, რომლებიც დადგენილია კოლექტიური ხელშეკრულებით, შეთანხმებით, შრომითი



შრომის უსაფრთხოების სამსახური

ხელშეკრულებით, შრომითი განაწესის წესებით თანამდებობრივი მომავლობები.

- დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები, იცოდეს ხანძრის ქრობის საშუალებების ადგილმდებარეობა.
 - ყურადღებით შეასრულოს თავის თანამდებობრივი მოვალეობები, არ მოადუნოს ყურადღება.
 - ისარგებლოს მოწყობილობებით და ინსტრუმენტებით, რომლებიც მკაცრად განსაზღვრულია მწარმოებელი ქარხნების მიერ.
 - გამოიყენოს და სწორად იხმაროს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები(იდს) და კოლექტიური დაცვის საშუალებები თანახმად შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის და პირობებისა;
 - თუკი არ არსებობს იდს დაუყოვნებლივ ჩააყენოს საქმის კურსში და აცნობოს ამის ესახებ პირდაპირ ხელმძღვანელს.
 - საქმის კურსში ჩააყენოს პირდაპირი ან ზემდგომი ხელმძღვანელი ნებისმიერი სიტუაციის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის მუშაკთა და გარშემო მყოფთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, უკვე მომხდარ უბედურ შემთხვევაზე, თავისი ჯანმრთელობის გაუარესებაზე.
 - მიჰყევს ყველა უსაფრთხოების ნიშნის, სასიგნალო ფერების და მონიშვნის მოთხოვნებსა და მითითებებს.
 - შეეძლოს აღმოუჩინოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულებს უბედური შემთხვევების დროს.
 - იცოდეს ტელეფონების აუცილებელი ნომრები ექსტრემალური სამსახურების გამოსაძახებლად.
 - სამსახურიდან გადაადგილებისას ერთი სამუშაო ადგილად მეორე სამუშაო ადგილისაკენ დაიცვას უსაფრთხოების ყველა ზომა. ატაროს გადაადგილებისათვის მოსახერხებელი ფეხსაცმელი. კიბეებზე გადაადგილებისას აუცილებლად მოჰკიდოს ხელი სახელურებს. იყოს უკიდურესად ფრთხილად სველ ამინდში გადაადგილებისას(ყინვისას, თოვის დროს, შეზღუდული მხედველობისას).
- 1.5. დაუშვებელია სამუშაო ადგილზე ყოფნა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეულია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების მოხმარებით. კატეგორიულად აკრძალულია სპირტიანი სასმელების სმა, არ მოიხმაროთ ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებები სამუშაო ადგილზე ან სამუშაო დროს, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა.
- 1.6. სამუშაოების შესრულების დროს კვების ბლოკის(სამზარეულოს) მუშაკების გარკვეული პირობებისას შესაძლებელია შემდეგი მავნე საწარმოო ფაქტორების ზემოქმედება:
- ელექტრომექანიკური მოწყობილობის, მოძრავი ნაწილაკებისა, შესარჩევი საქონლისა, ნედლეულისა, ტარისა.
 - ელექტრო ქსელში მომატებული ძაბვისა, რომლის დამიწებაც შეიძლებამოხდეს ადგიანის სხეულის მეშვეობით
 - ინფრაწითელი(თბური) გამოსხივების მომატებული დონე.
 - მაღალი ან დაბალი ტემპერატურა მოწყობილობების ზედაპირზე, საქონელზე, ნედლეულზე, პროდუქტებზე.
 - ჰაერის მაღალი ტემპერატურა სამუშაო ზონაში
 - სამუშაო ადგილზე ხმაურის მაღალი დონე
 - ჰაერის მოძრაობის მომატებული ან მოკლებული დონე.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

- ტემპერატურის ტენიანობის მაღალი დონე
- სამუშაო ზონის ცუდი განათება
- მოწყობილობების და ინსტრუმენტების ბასრი ნაპირები, ჯაგრისები და ხორკლიანი ადგილები ინსტრუმენტების, მოწყობილობების ტარის ზედაპირებზე
- ფიზიკური გადატვირთვები

1.7. კვების ბლოკის მუშაკები თანახმად დადგენილი ნორმებისა უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სანიტარული ტანსაცმელით, სანიტარული ფეხსაცმელით და სანიტარული საშუალებებით.

1.8. კვების ბლოკის(სამზარეულოს) მუშაკებმა უნდა :

- შეინახონ სანიტარული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი მათთვის განკუთვნილ ადგილას
- ზედა ჩასაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავები, ასევე პირადი ნივთები უნდა დატოვონ გარდერობში
- შეასრულოს სამუშაო მხოლოდდამხოლოდ სუფთა სანიტარულ ტანსაცმელში და შეცვალოს გაჭუჭყიანებისთანავე
- კულინარიული ნაწარმის მომზადებისას მოიხსნას საიუველირო სამკაულები.

1.9. კუჭ-ნაწლავური, პარაზიტული და სხვა დავადებების თავიდან აცილების და სხვა დაავადებების გაუვნებლობის მიზნით აუცილებელია მათ იცოდნენ და მკაცრად იცავდნენ პირადი ჰიგიენის ნორმებს და წესებს:

- მოკლედ დაიჭრან ფრჩხილები.
- გულდასმით დაიბანონ ხელები საპნით(რომელთაც აქვთ სადეზინფექციო მოქმედება) მანამ, სანამ დაიწყებდნენ მუშაობას, ერთი ოპერაციიდან მეორეზე გადასვლისას, სამუშაოში შესვენების შემდეგ, დაბინძურებულ დაბინძურებულ საგნებზე შეხების შემდეგ, ასევე სანიტარულ კვანძებში შესვლის შემდეგ საჭმლის მიღების წინ და სამუშაოს დასრულების შემდეგ.

1.10. მუშაკს კატეგორიულად ეკრძალება დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება იმ მოწყობილობაზე, რომელზედაც მას დაშვება არ აქვს, ასევე გაუწიოს ექსპლუატაცია იმ მოწყობილობას, რომელიც მუშაობს წნევის ქვეშ, იმ შემთხვევაში თუკი ისინი უწესრიგონი არიან ან ამოწურული არ აქვთ გამოცდისა და შემოწმების ვადა კონტროლისა და დაცვის ხელსაწყოებზე, რომლებიც დაყენებულია მათზე.

1.11. კვების ბლოკის(სამზარეულოს) მუშაკმა ფიზიკური დატვირთვისა და დაღლილობის შესამცირებლად არ უნდა აწიოს და გადაადგილოს ხელით სიმძიმეები, რომლებიც აღემატება დასაშვებ ნორმებს. სამუშაოს ჩატარებისას უნდა ისარგებლოს მცირე მექანიზაციის საშუალებებით(ურიკებით), ასევე თანაბრად გადაანაწილოს ფიზიკური დატვირთვები სამუშაო დღის განმავლობაში.

1.12. გაყინული პროდუქტებიდან საკვების მომზადებისას(ხორცი, თევზი, სუბპროდუქტები და სხვა პროდუქტები) საჭიროა მათი გაღებვა. მათთან მუშაობისას(დაჭრა და ა.შ.) შეიძლება მათი 50°C ტემპერატურის მიღწევის შემდეგ ხელების გასათბობად უნდა გამოვიყენოთ მშრალი ხელსახოცები.

1.13 . რათა ავიცილოთ თავიდან დამწვრობები შესაწავი კარაღების გამოყენების დროს, რომელთაც აქვთ გადასაწევი თაროები, უნდა გადავაგოროთ და გადმოვაგოროთ თაროები პროდუქტებითურთ მხოლოდდამხოლოდ მოსახსნელი ტარით ან სპეციალური დამცავი ხელთათმანებით.



შრომის უსაფრთხოების სამსახური სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები

1.14

1.14.1 აკრძალულია:

- კვებით ბლოკში, სათავსოში და მის ტერიტორიაზე მოწევა.
- გამოვიყენოთ უწყვეტი ელექტროხელსაწყოები (ელექტროაპარატები)
- კვების ბლოკში და სათავსოებში ელექტროგამათბობლების ჩართვა ამაზე სპეციალური ნებართვის გარეშე.
- დავტოვოთ უკონტროლოდ ელექტროაპარატები, რომლებიც ჩართულია ქსელში
- გაუთვალისწინებელ ადგილებში ადვილად აალებადი ნივთიერებების შენახვა
- ღია ცეცხლის გაჩაღება შენობასა და მის ტერიტორიაზე

1.14.2 მუშაკი ვალდებულია დარწმუნებით იცოდეს შეტყობინების სიგნალები, ხანძრის შემთხვევაში მოქმედებათა თანმიმდევრობა, ადგილი, სადაც განთავსებულია ცეცხლმაქრობი საშუალებები, შეემლოს გამოიყენოს ხანძრის მაქრობი საშუალებები.

1.15. თუკი აღმოჩენილია მოწყობილობების, ხელსაწყოების, ინსტრუმენტების, დაცვის საშუალებების უწყვეტილობები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) არ არსებობისას, ნებისმიერი დარღვევისას ტექნოლოგიურ პროცესებში, მუშაკმა აუცილებლად უნდა აცნობოს ამის შესახებ უშუალო ხელმძღვანელს.

1.16. ნებისმიერი უბედური შემთხვევისას, რომელიც მოხდა წარმოებაში, დაზარალებულმა ან თვითმხილველმა უნდა შეატყობინოს პირდაპირ ხელმძღვანელს, რომელმაც თავის მხრივ უნდა:

- ორგანიზება გაუკეთოს პირველადი დახმარების აღმოჩენას დაზარალებულისადმი და თუკი აუცილებელია გამოიძახოს „სასწრაფო სამედიცინო დახმარება“ ანგადაიყვანოს ის

სამედიცინო დაწესებულებაში:

- მოახსენოს შემდგომ ხელმძღვანელობას, სპეციალისტს ან ინჟინერს შრომის დაცვის საკითხებში, მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ.
- მიიღოს ყველა აუცილებელი ნორმები ავარიული სიტუაციის შემდგომი განვითარების აღმოსაფხვრელად და სხვა დანარჩენი მუშაკების ტრავმული ფაქტორების შესაჩერებლად;
- უზრუნველყოს დაცულობა მომხდარი უბედური შემთხვევის გამოძიების დაწყებამდე, სამუშაო ადგილზე ვითარების და მოწყობილობების მდგომარეობის იმ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად როგორც ისინი იმყოფებოდნენ შემთხვევის მომენტისათვის, თუკი ეს არ შეუქმნის საფრთხეს გარშემომყოფი მუშაკების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და არ გამოიწვევს ავარიას.

1.17. მუშაკების მიერ რესტორნის, სამზარეულოს მუშაკების შრომის დაცვის მოცემული ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევა განიხილება როგორც, შრომის დისციპლინის დარღვევა.

1.18. მუშაკები, რომლებიც დამნაშავენი არიან რესტორნის, სამზარეულოს (კვების ბლოკის) შრომის დაცვის ნორმების და წესების მოთხოვნათა დარღვევაში, გადიან რიგგარეშე ინსტრუქტაჟს და რიგგარეშე ატესტაციას შრომის დაცვის საკითხებში და იღებენ პასუხისმგებლობას შრომის შინაგანაწესის შესაბამისად.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

2. შრომის დაცვის მოთხოვნები სამუშაოს დაწყების წინ

2.1. სამუშაოს დაწყების წინ კვების ბლოკის, (სამზარეულოს) მუშაკმა უნდა:

- ჩაიცვას ნორმებით დადგენილი სპეცტანსაცმელი, ფეხსაცმელი. სპეცტანსაცმელი აუცილებელია შევიკრათ ყველა დილზე, არ დავუშვათ თავისუფლად ჩამოკიდებული ტანსაცმლის ბოლოები, თმები კარგად ავიკრათ თავსაბურავში(ქუდში, წინსაფარში). აკრძალული ტანსაცმელში ნემსების, საინძების ჩასმა, ასევე ტანსაცმლის ჯბეებში იყოს მინის,წვეტიანი და დარტყმადი საგნები
- ყურადღებით დაათვალიეროს თავისი სამუშაო ადგილი და მოამზადოს ის ისე, რომ გამოირიცხოს შეხება ცხელ და გაყინულ ნაწილებთან და ასეთი საგნების მდებარეობა ირგვლივ, რათა თავიდან ავიცილოთ დამწვრობები, გადახურებები და მოყინვები.
- მოახდინოს საწარმოო მაგიდის სიმყარის შემოწმება, თაროების, მოწყობილობების სამაგრების მიმაგრების მდგომარეობა ფუნდამენტსა და დანადგარებზე
- მყარად დავაყენოთ(მივამაგროთ) გადასატანი(გადასაადგილებელი) მოწყობილობა და ინვენტარი სამუშაო მაგიდაზე, დანადგარზე, გადასატან ურიკაზე
- მოხერხებულად და მყარად განვალაგოთ ნედლეულის მარაგი, ნახევარფაბრიკატები მათი გამოყენების და გახარჯვის სიხშირის მიხედვით
- შეამოწმოს ფეხსაგები ხის ფიცარნაგის არსებობა და მომართულობა , დიელექტრიკულ ხალიჩებისა და ელექტრონული დანადგარების მახლობლად
- დარწმუნდეს, რომ ზედმეტი საგნები არ არის გამოსაყენებელი მოწყობილობის შიგნით და გარეთ
- აკრიბოს არასაჭირო და ხელისშემშლელი საგნები დარწმუნდეს მუშაობისათვის საჭირო ინსტრუმენტის, მოწყობილობის, ინვენტარის არსებობასა და გამართულობაში
- შეამოწმოს გამწოვი ვენტილაციის მუშაობა, საპაერო ჭავლები, სამუშაო მაგიდის სამუშაო ზედაპირის საკმარისი განათება და სამუშაო ადგილზე სამუშაოდ საჭირო ინვენტარებით, მოწყობილობებით, დამხმარე საშუალებებით და დანადგარებით უზრუნველყოფა.
- დარწმუნდეს საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოების(სგხ)-ს არსებობაში და გამართულობაში, ასევე შეამოწმოს უსაფრთხოების ხელსაწყოების, რეგულირების და ავტომატიკის(სადაც მანომეტრის ისარი ნულოვან დანაყოფზე უნდა იდგეს და დატანილი უნდა იყოს წითელი ხაზი(პლასტინები), რომლებიც უჩვენებენ სამოუშაოზე წნევას, მინის მთლიანობა და რაიმე დაზიანების არსებობა მათსზე, რომელიც გავლენს მოახდენს სგხ-ს მაჩვენებელზე) სასიგნალო ნათურების გამართულობა და ა.შ.
- გააკონტროლოს სგხ-ს სახელმწიფო შემოწმების გავლის ვადები(არის თუ არა დამღები და პლომბები) და დამცავი კლაპანების გამოცდის ვადები მოსახარშ ქვაბებში, წყლისმდუღრებზე და სხვა ამგვარ მოწყობილობებზე, რომლებიც წნევის ქვეშ მუშაობენ და მათი დადასტურების ვადები
- დარწმუნდეს გამშვები-მარეგულირებელი აპარატების, ჩასართავი მოწყობილობების გამართულობაში(გამშვები, საპაკეტო გადამრთველები, გამთიშველები, შტეპცელის გამთიშველები, გამთიშველების დაბოლოებები და ა.შ.).
- დაათვალიეროს იატაკის მდგომარეობა(არ უნდა იყოს ორმოები, უსწორმასწორო ადგილები, ასრიალებული ადგილები და სხვ.), ასევე უნდა დარწმუნდეს ჩაღრმავების, ნაპრალების და სხვა უსწორმასწორო ადგილების არსებობაში სამუშაო ზედაპირზე, საწარმოო მაგიდაზე.
- შეამოწმოს გამართულობაზე გამოსაყენებელი ინვენტარი, მოწყობილობები და ინსტრუმენტები(სპეციალური ტარის ზედაპირები, დასაქუცმაცებელი დაფები, სახელურები გასატარებელ ინსტრუმენტებზე, ნიჩბებზე და ა.შ. ისინი უნდა იყოს



შრომის უსაფრთხოების სამსახური

სუფთა, ბზარების, ნაპრალების, დანახვევების გარეშე. დანების ტარები უნდა იყოს მყარად დამაგრებული, არ უნდა სრიალებდნენ და უნდა იყოს მოსახერხებელი ხელის შემოსაჭდენად, უნდა ქონდეს საკმაო ტარი ხელის თითებისთვის, არ უნდა განიცდიდნენ დეფორმაციას ცხელი წყლის ზემოქმედების შემდეგ, დანის ტარები უნდა იყოს სწორი, პოლირებული, ამონამტვრევების და ბზარების გარეშე.

2.2. მანამ სანამ ჩაირთვება ელექტრომოწყობილობა (უნივერსალური ამძრავი, სახეხი მანქანები, ბოსტნეულის დამჭრელი მანქანები, ელექტრომადუღარები, ელექტრო ხორცსაკეპები, ორთქლიანი მხარშველები, ელექტრო ღუმელები, გრილები და სხვ.) აუცილებელია გადაუდებლად დავრწმუნდეთ:

2.2.1. რომ არ არის თავისუფლად დაკიდებული და გაშიშვლებული ელექტროგამტარი ხაზები, ჩასართავები გამართულია, ელექტრომკვებავი კაბელების ხაზები და ელექტრომოწყობილობების შემაერთებლები გამართულია.

2.2.2. რომ გამართულია დამცავი დამიწება (დანულება)-არის და მყარადაა დამამიწებელი შენაერთები, რომ არ არის ჩაწყვეტილი ადგილები, მყარია კონტაქტები მეტალისა და დენის არმატარებელ ნაწილებს შორის, მანქანებზე და დამამიწებელ სადენზე, არ უნდა იყოს მექანიკური დაზიანებები. არ შეიძლება მუშაობის დაწყება, თუკი არ არის ან არასაიმედოა დამიწება.

2.2.3. რომ გამართულია, სწორადაა დაყენებული და მყარადაა მოძრავი ნაწილების შემოფარგლული ნაწილები. (კბილებიანი, ცეფიანი, გამჭედლვედიანი და სხვა სახის გადამცემები, შემაერთებული და სხვა) მოწყობილობების გახურებადი ზედაპირები.

2.2.4. აუცილებელია ასევე დავრწმუნდეთ საცხობი და საწვავი კარადების სახელურების გამართულობაში

- გამოღებული კარებები უნდა ფიქსირდებოდნენ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში
- დახურული კარებები მჭიდროდ უნდა მიეხუროს სამუშაო საგნების ნაპირებს
- კატეგორიულად აკრძალულია გამოვიყენოთ საცხობი და საწვავი კარადები უწესრიგო სახელურებით და კარებების ზამბარებით, საპაკეტო გადამრთველებით, ტემპერატურის მარეგულირებლით, სასიგნალო ნათურებით, თუკი არ არის დამკრავი ნაწილები ელექტროხელსაწყოებზე და ელექტრო-საკომუნიკაციო აპარატურაზე.

2.2.5. აუცილებლად უნდა დავრწმუნდეთ, რომ გამართულია ამომქაჩველები. თუკი არ არის ან უწესრიგოა ამომქაჩი ქოლგა, არ არის ნებადართული საცხობი და შესაწვავი მოწყობილობებით სარგებლობა.

2.2.6. ელექტრონული ტაფების, ელექტროგრილებისა და სხვათა გამოყენების წინ აუცილებლად უნდა:

- მოხდები ტაფის გადასაწევი სახურავის მოხერხებულად და იოლად გაღების შემოწმება ასევე მისი ნებისმიერ მდგომარეობაში ფიქსირება, ხოლო გადასაბრუნებელ ტაფებზე-შემოწმდეს გამართულობაზე გადასაბრუნებელი მექანიზმი.
- დავრწმუნდეთ, რომ აპარატის ზეთის პერანგის თბომატარებელი ირიბი გათბობით (ტაფები, გრილები, და სხვა) შეესაბამება იმ ტიპს რაც პასპორტშია მითითებული



შრომის უსაფრთხოების სამსახური

2.2.7. საკვები ნედლეულის დამაქუცმაცებელი მანქანის გამორთვის წინ(ელექტროხორცსაკვები,სახეხი მანქანები, ბოსტნეულის დამჭრელები, უნივერსალური ამძრავები) უნდა დავრწმუნდეთ მისი მუშა ნაწილების სწორ აწყობაში და მათ ამძრავთან მყარ მიმაგრებაში.

2.2.8.მანამ, სანამ ჩავრთავთ გასტრონომიული პროდუქტების დამჭრელ მანქანას,აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ მათ არ აქვთ ხილული დაზიანებები და დაყენებულია სწორ, მყარ საფუძველზე, რომ სრულიად გამორიცხულია ფეხი დავაბიჯოთ შემაერთებელ კაბელებს ან ფეხი წამოვდეთ მათ.მანამ სანამ ჩავრთავთ საჭმლის მხარშავ ელექტრო ქვაბს უნდა:

- როცა ვხდით ქვაბის სახურავს, შევამოწმოთ სუფთაა, თუ არა სახარში ჭურჭელი, დავრწმუნდეთ, რომ ადგილზეა ფილტრი ჩამომსხმელ ნასვრეტში და ამრეკლი სახურავის სარქველზე, ასევე შეამოწმოთ წყლის დონე წყლის ორთქლის პერანგში მაკონტროლებელი ონკანის მეშვეობით
- მოახდინოს დამცველი სარქველის წესრიგში ყოფნის შემოწმება
- დააყენოს ზღვარული ნორმები ქვაბის წყლის ორთქლის, პერანგში წნევის მარეგულირებელი ელექტრო-საკონტაქტო მანომეტრით
- არაგადასაბრუნებელი ქვაბის სადუღარი მოცულობა შეავსოს ისე, რომ სითხის ზედა დონე იყოს 10-15 სმ-ით დაბლა ზედა ნაპირიდან
- პროდუქტების ჩაწყობის და წყლის ჩასხმის შემდეგ სადუღარ მოცულობაში, უნდა შემოწმდეს სახურავზე სარქველის მუშაობა.
- გახსნას საჭაერო ონკანი დამცავ სარქველზე და იმ შემთხვევაში თუკი ის არ არის, გახსნას შემავსებელი ძაბრის ონკანი და დახუროს ის ორთქლის გამოჩენამდე. მას შემდეგ რაც ქვაბის პერანგი გახურდება, საჭაერო სარქველი(ძაბრის ონკანი)დაკეტოს.
- დახუროს ქვაბის სახურავი,დაუჭიროს ორ ეტაპად ჩამოსაცმელი სახელურები საჭერმეტიზაციო სახურავზე. თავიდან მხოლოდ სახურავის თავის შეხებამდე, შემდეგ, კი ბოლომდე,შემდეგი თანმიმდევრობით:ჯერ წინა, შემდეგ შუა, ბოლოს უკანა.

2.3 აუცილებელია შევასრულოთ საჭირო მოწყობილობების აწყობა, სწორად დაყენდეს და მყარად მიმაგრდეს მოსახსნელი დეტალები და მექანიზმები.

2.4. უნდა უზრუნველვყოთ თავისუფალი გასასვლელების არსებობა მუშათა უსაფრთხო გადაადგილებისათვის და ნედლეულის, ნახევარფაბრიკატების, მზა პროდუქციის და ტარის გადასატანად, ასევე ტექნოლოგიური მოწყობილობების რემონტის და ტექნოლოგიური მოწყობილობების დასასუფთავებლად.

2.5. მოწყობილობის, ინსტრუმენტების, ხელსაწყოების ნებისმიერი უწესრიგობებისას, რომლებიც წარმოიშობა მუშაბისას, აუცილებელია მოვახსენოთ პირდაპირ ხელმძღვანელს.

2.6. კატეგორიულად აკრძალულია მუშაობის დაწყება დაზიანებულ მოწყობილობებზე, დაირღვეს სამუშაო უსაფრთხო, კაფეს ან სასადილოს მუშაკების შრომის დაცვის ინსტრუქცია,გამოყენებული იქნეს დაზიანებული ინსტრუმენტები და ინვენტარი.

3.შრომის დაცვის მოთხოვნები სამუშაოების შესრულებისას



შრომის უსაფრთხოების სამსახური

3.1 კვების ბლოკის(სამზარეულოს) მუშაკს ნებადართული აქვს მხოლოდ იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც მას აქვს შესწავლილი, მიიღო ინსტრუქცია შრომის დაცვაზე და რომელზედაც დაშვებულია თავის უშუალო ხელმძღვანელის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სამუშაოს უსაფრთხო შესრულებაზე.

3.2. კვების ბლოკის მუშაკს კატეგორიულად აკრძალული აქვს დაუშვას მის მიერ შესასრულებელ სამუშაოზე სწავლება გაუვლელი და უცხო პირები.

3.3. სამზარეულოს თანამშრომელს ნებადართული აქვს ისარგებლოს მხოლოდ აუცილებელი და უსაფრთხო მუშაობისათვის განკუთვნილი გამართული მოწყობილობების, ინსტრუმენტებით, საშუალებებით და გამოიყენოს ის მხოლოდ იმ სამუშაოებისათვის რომლითვისაც არიან ისინი განკუთვნილი.

3.4. სამუშაოს შესრულებისას დაცული უნდა იქნას სისუფთავე და წესრიგი სამუშაო ადგილზე, დაცული იყოს რესტორნის, სამზარეულოს მუშაკის შრომა, არ გადაიკეტოს ის და მასთან მისასვლელი გზები, მოწყობილობებს, მაგიდებს, თაროებს შორის სამართავი პუნქტებისა და გამთიშველების, ევაკუაციის გზები და სხვა გასასვლელები არასაჭირო საგნებით, ცარიელი ტარით, ინვენტარით, ნედლეულის ზედმეტი მარაგებით, კულიანარიული პროდუქციით. ცარიელი ტარა საჭიროა დროულად იქნას აღებული და გატანილი მისთვის განკუთვნილ ადგილას.

3.5. აკრძალულია აწიოს და გადაიტანოს მძიმე საგნები დადგენილ ნორმებზე ზემოთ, ამწევი საშუალებების და მექანიზაციის გარეშე.

3.6. ქალის შრომის გამოყენების სამუშაოებზე სავალდებულოა მიეყვებოდნენ ქალების მიერ ხელით ასაწევი და გადასატანი სიმძიმეების ზღვრულ ნორმებს და დაცული იყოს ისინი:

- სხვა სამუშაოსთან მონაცვლეობით(ორჯერ საათში)-10კგ
- მუდმივად სამუშაოზე მთლიანი ცვლის განმავლობაში-7კგ
- ქალების მიერ ყოველ საათში, ცვლის განმავლობაში ყოველ საათსი გადატანი ტვირთის საერთო მასა სამუშაო ზედაპირიდან-350კგ, იატაკიდან-175კგ- მდე. ასაწევ- გადასატანი მასის და გადასატანი ტვირთის ოდენობაში ითვლება ტარის და შეფუთვის მასაც. ურიკებით და კონტეინერებში ტვირთის გადატანისას საჭირო მიწოლა არ უნდა იყოს 10კგ-ზე მეტი. ხელით ტვირთის გადასატანი მანძილი არ უნდა იყოს 5მ-ზე მეტი. ტვირთის ასაწევი სიმაღლე იატაკიდან არ უნდა იყოს 1მ-ზე მეტი, ხოლო სამუშაო ზედაპირიდან(მაგიდა სხვა)50სმ.
- მამაკაცებისათვის 18 წელს ზემოთ ხელით გადასატანი ტვირთის ასაწევი დასაშვები ნორმები-50 კგ.

3.7. აუცილებელია დროულად იქნას მიღებული ზომები დაცემის თავიდან ასაცილებლად გადაადგილების დროს, შემთხვევით დაღვრილი სითხეების, ცხიმის, იატაკზე დავარდნილი პროდუქტების ასაღებად და დასასუფთავებლად.

3.8. დაუშვებელია გაბზარული და ნაპრალებიანი ჭურჭლის გამოყენება. აუცილებელია მაშინვე აიკრიბოს გატეხილი ჭურჭლის ნამსხვრევები, გამოიყენოს ამისთვის აქანდაზი, ცოცხი ან ჯაგრისი. შიშველი ხელით ნამსხვრევებით ნამსხვრევების აღება აკრძალულია.

3.9. სამუშაო, რომელიც სრულდება დანების, ბასრის და მჭრელი ინსტრუმენტებით, უნდა განხორციელდეს ძალზედ ფრთხილად. არ შეიძლება შევამოწმოთ თითებით დანის პირების ალესილობა და მჭრელი ნაპირები ინსტრუმენტებზე, ასევე მათი გადატანა და გადაცემა წაწვეტებული თავით წინ.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

3.10. დანით მუშაობისას უნდა იყვნენ ფრთხილად, დაიცვან ხელები გაჭრისაგან. დანები უნდა შეინახოს სპეციალურ კასეტებში, მუშაობაში შესვენების დროს დანა უნდა ჩაიდოს კასეტაში, პენალში(ჩიხოლში). არ შეიძლება გადაადგილება და დახრა წინ დანით ხელში და გადაიტანო დანა, რომელიც არაა მოთავსებული ჩიხოლში(პენალში).

3.11. დანით მუშაობის დროს აკრძალულია:

- დანების გამოყენება ცუდად დამაგრებული პირებით, ტარებით, რომელთაც აქვთ ნაპრალები დაბლაგვული პირებით
- შეასრულონ მკვეთრი მოძრაობები
- მუშაობაში შესვენებისას დატოვონ დანა დასამუშავებელ ნედლეულზე ან მაგიდაზე ჩიხოლის გარეშე
- დაეყრდნონ სალესს დანის ლესვისას. დანის ლესვა უნდა მოხდეს სხვა მუშაკებიდან მოშორებით.

3.12. დაკონსერვებული პროდუქტებიანი ქილები უნდა გაიხსნას სპეციალური ხელსაწყოების დახმარებით, აკრძალულია ქილების გახსნა დანებით ან სხვა რაიმე ინსტრუმენტით ან მოწყობილობით, რომლებიც ამისთვის არაა განკუთვნილი.

3.13. არ არის ნებადართული ნედლეულის დაჭრა ხელით სასწორებზე, ამისათვის უნდა გამოიყენებოდეს აუცილებლად დასაჭრელი დაფები, რომელიც დადებულია მაგიდის ზედაპირზე.

3.14. გაყინული თევზის ან ხორცის დამუშავება აუცილებელია მხოლოდ მათი გაღებების შემდეგ. ხორცის დასაჩეხად გამოიყენება ხის კუნძი სწორი, ჰორიზონტალური ზედაპირით.

3.15. ორგანიზმზე ინფრანთელი (თბური) გამოსხივების უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ელექტროლუმელებზე მუშაობის დროს უნდა:

- მაქსიმალურად უნდა დავფაროთ ჭურჭლით სამუშაო ლუმელის ზედაპირები, დროულად გამოვრთოთ კანფორკები ან როცა ეს შესაძლებელია გადაირთოს ისინი უფრო მცირე სიმძლავრეზე.
- არ ჩაირთოს კანფორკები მაქსიმალურ ან საშუალო სიმძლავრაზე მოსამზადებელი საჭმლის ჩატვირთვის გარეშე.

3.16. დამწვრობებისა და ზიანების თავიდან ასაცილებლად არ უნდა სითხეების მოხვედრა ელექტროლუმელების გახურებულ კანფორკებზე და შესაწავი კარადების გახურებული საკნების იატაკზე.

3.17. დაუშვებელია გამოვიყენოთ ქვაბები, პატარა ქვაბები და სხვა ჭურჭელი, რომელთაც დეფორმირებული აქვთ ფსკერი ან ნაპირები, რომლებსაც არ აქვთ ან ცუდად აქვთ მიმაგრებული ტარები.

3.18. ხელების დამწვრობისაგან დასაცავად აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ ხელების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და არ დავუშვათ შიშველი ხელებით შევეხოთ საცხობ და შესაწავი კარადებს, ცხელ სამზარეულო ჭურჭელს და ინვენტარის გახურებულ ზედაპირებს(ლუმელის, ქვაბების ტარებს, და სხვ.)

3.19. ლუმელზე დასადგმელი ჭურჭლი და ქვაბების მდულარე საკვებით გადატანისას უნდა იყოს გავსილი არაუმეტეს მოცულობის $\frac{3}{4}$ -სა. ლუმელის ზედაპირზე უნდა გადაადგილდეს ძალიან ფრთხილად ზედმეტი მოძრაობების გარეშე და არა დიდი ძალით მიწოლით. ჭურჭლის სახურავები, სადაც ცხელი საჭმელია, უნდა მოიხადოს დიდი სიფრთხილით, მოძრაობით „შენკენ“, ჩაიწყოს ნახევარფაბრიკატები გახურებულ ტაფებზე და ნაპირებზე მოძრაობით „შენიდან“.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

3.20. ღუმელზე დასადგმელი ჭურჭლის გადაადგილების წინ, სადაც ცხელი საჭმელია, აუცილებელია წინასწარ დავრწმუნდეთ, რომ არ არის არასაჭირო საგნები და სრიალა ზედაპირი იატაკზე და მისი გადაადგილების მთელ გზაზე და თუ აუცილებელია გააფრთხილოს ამის შესახებ ახლოს მდგომი მუშაკები. დამწვრობების თავიდან ასაცილებლად გადაადგილებისას დაუშვებელია მივიკრათ ჭურჭელი საკუთარ სხეულზე.

3.21. ცხელი საჭმლით სავსე ქვაბის ღუმლიდან ასაღებად საჭიროა იმოქმედოს ორმა ადამიანმა უცებ აწევის გარეშე, ფრთხილად, მშრალი ხელსახოცების ან ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებით (ხელთათმანები და ა.შ.)

3.22. ცხელი საჭმლით სავსე სათავსოები აუცილებელია განლაგდეს სპეციალურ, მყარ სადგარებზე, რომელთა ზედაპირები უნდა იყოს ჭურჭლის ფსკერზე დიდი, რომელიც მათზე უნდა დაიდგას (ქვაბები, ჯამები და სხვ.)

3.23. მუდმივად უნდა ვაკონტროლოთ, რათა ცხიმები, რომლებიც დადგმული არიან ღუმელზე გასაცხელებლად, არ აშხეფდეს მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებისაგან.

3.24. დაუშვებელია წყლის მოხვედრა მადულარა ცხიმში, მათშუნახევარფაბრიკატების (კარტოფილის და სხვა),
ბოსტნეულის ჩაშვებისას.

3.25. დამწვრობის თავიდან ასაცილებლის მიზნით ორთქლწყლიანი აპარატის საკნის კარების გაღებისას, აუცილებელია დადგომა უსაფრთხო მანძილზე, მისგან მოშორებით.

3.26. ელექტრომაღურებთან მუშაობა იმ მიზნით, რომ არ მივიღოთ დამწვრობები ორთქლისგან ან მდუღარებისგან, არ უნდა გავხსნათ მდუღარის ნაკრების სახურავი და ასევე უნდა ვიყოთ ფრთხილად მდუღარეს ჩამოსასხმელად ონკანის გაღებისას.

3.27. გამტარ მიწებზე არსებული ვენტილები და ონკანები უნდა გავხსნათ აუქჩარებლად, მკვეთრი მოძრაობების გარეშე და დიდი ძალის გამოყენების გარეშე. არ არის ნებადართული ამისათვის გამოვიყენოთ ჩაქუჩები, ბოლტების ქანჩადამჭერები ან სხვა საგნები.

3.28. საკვები ნედლეულის დამაქუცმაცებელ მანქანებთან მუშაობისას მკაცრად უნდა დავიცვათ შემდეგი უსაფრთხოების მოთხოვნები:

- არ მოიხსნას და არ იქნას დაყენებული შემასრულებელი მექანიზმები ჩართულ ელექტროძრავზე
- სამუშაო ნაწილების შემოწმება და გამართვა სანიტარული დამუშავება, გაწმენდა, უნდა მოხდეს გამორთულ ელექტროძრავზე, მისი საბოლოოდ გაჩერების შემდეგ.
- ბოსტნეულის დამჭრელის მუშაობისას კატეგორიულად აკრძალულია მივმართოთ და ჩავტენოთ პროდუქტები ხელით, ჩავჩრათ ხელები სამუშაო საკანში.
- ელექტროხორცსაკეპის მუშაობის დროს ხორცის წინ წაწევისთვის უნდა გამოვიყენოთ სპეციალური მიმწოლი, დაუშვებელია ხორცის წინ წაწევა ხელებით და სამუშაოს შესრულება მოხსნილი ჩამტვირთი ფიალის გარეშე.

3.29. მიკროტალღური ღუმელი, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელებას (გაჟონვას), მჭიდროდ ეკვრის კარს, არ უშვებს ელექტრომაგნიტურ ტალღებს და მინა დამცველი ბადით. დაზიანებული კარიანი ღუმელის ან მინის გამოყენება დაუშვებელია.



შრომის უსაფრთხოების სამსახური

3.30. იმისათვის, რომ თავი ავარიდოთ ნაპერწკლების წარმოშობას საკვების ჩალაგებისას მიკროტალღურ ღუმელში, აუცილებელია დავიცვათ მანძილი არანაკლებ 2სმ კედლიდან.

3.31. მიკროტალღური ღუმელის გამოყენებისას დაუვებელია:

- ჩავრთოთ მიკროტალღური ღუმელი დაუტვირთავი მუშა საკნით
- გამოვიყენოთ ღუმელი ღია (ჩაუკეტავი) კარით (გამორთული ან უწყესრიგო დამცავი ბლოკირებით).
- შევაცხელოთ პროდუქტები ჰერმეტიკულ შეფუთვაში და მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში, რათა თავიდან ავიცილოთ ამ ჭურჭლის დაშლა ორთქლის ჭავლის ზემოქმედებით. ჭურჭელი სასმელებით, რომელიც უნდა შეთბეს მიკროტალღური ღუმელში, მათ არ უნდა ჰქონდეთ თავსახურავები (უნდა იყოს ღია)
- შეცხელდეს ცხიმები და მცენარეული ზეთები (რათა თავიდან ავიცილოთ ადუღებული ზეთებით დამწვრობები) და მოვხარშოთ კვერცხები
- გამოვიყენოთ ლითონის მომჭერები სპეციალური პლასტიკური ტომრებისა და ხურვისას საჭმლის მოსამზადებლად.

3.32. კონვეიერული ღუმელი ხორცის, ნახევარფაბრიკატების მოსაწვავად ნებადართულია ჩავრთოთ, როგორც გამოწვლისი, მხოლოდ მომუშავე ვენტილაციის დროს. დავაყენოთ და მოვხსნათ ნახევარფაბრიკატებიანი ყალიბები, ღუმელის გვერდითი კარების გახსნა შეიძლება მხოლოდ კონვეიერის სრულლი გაჩერების შემდეგ.

3.36. ცივი მოწყობილობის ექსპლუატაციის დროს:

- გამაგრებული მოცულობის ჩატვირთვა გამაციებელ მოწყობილობაში აუცილებელია გამაციებელი მანქანის გაშვების შემდეგ და პროდუქტების შენახვისთვის საჭირო ტემპერატურის მიღწევის შემდეგ.
- ჩასატვირთი პროდუქტების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნორმას, რაზედაც გათვლილია სამაცივრო საკანი.
- სამაცივრე მოწყობილობის კარების გაღება რეკომენდებული გაიღოს მცირე დროით და რაც შეიძლება იშვიათად.
- თუკი გამაციებელ ხელსაწყოებზე (ამაორთქლებლებზე) გაჩნდება ხავსი (თოვლის ნადები) რომლის სისქეც 0.5 სმ-ს აღემატება უნდა გაჩერდეს კომპრესორი, გამოვალაგოთ პროდუქტები საკნიდან, რათა ნადები გაქრეს
- თუკი აღმოვაჩენთ გამაციებლის გაჟონვას, სამაცივრე დანადგარი დაუყოვნებლივ უნდა გამოვრთოთ.

დაუშვებელია:

- ჩავრთოთ აგრეგატი თუკი არ არის დამცავი დამიწება ან დანულება ელექტროძრავებზე
- მუშაობა ისე, რომ არ იყოს გამოყოფილი სამანქანო განყოფილება დამუშაობა დაზიანებული ხელსაწყოებით ავტომატიკაზე.
- სივრცის ავსება სამაცივრე აგრეგატის მახლობლად, პროდუქტების დაწყობა, ტარის და სხვა არასაჭირო ნივთებით
